ლიტერატურული გაზეთი

№1 (137) 16 - 29 იანვარი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

აკა მორჩილაძე

პრუსტიაკი

II

რატი ამაღლობელი

ეოლოსი

IV

გიორგი ლობჟანიძე

ოპერაცია

IV-V

პაატა შამუგია

საქმიანი პოეტი

V

პოეზია

რეცენზია

ჩანაწერები

პროზა

ინტერვიუ

ეს იყო მეტად ღელვისმომგვრელი რამ, რომ აზნაურიშვილ გიორგი მორბელაძეს მოულოდნელად სახაშეში დაურეკა ტელეფონმა.

არც უპასუხებდა იმ ზარის წკრიალს, რომ არ დაენახა ტელეფონის ეკრანზე ნაცნობი სამი სიტყვა — „ჩემო ცოლო მართაო.“

ასე იმის ტელეფონში აღინიშნებოდა მეუღლის დანარეკები.

ცოლს კი ნამდვილ საბჭოთა დროს დარქმეულ სახელად საკანონმდებლო ენაზე ირინე, ადამიანურად კი ირა ერქვა, მაგრამ ოდეს მონათლეს, უხმაუროდ მონათვლის ახალმოდიანობის ჟამს, იმას წმინდა მართას სახელი დაანათლა ერთმა პირკეთილმა მოძღვარმა ფურცელაძის ქუჩიდან, ჯერ კიდევ ლეონიდე ბრეჟნევის დროს და როცა კი მორბელაძემ პირველად შეიტყო, რომ მის ცოლს ნათლობის სახელად მართა ერქვა, გაახსენდა ის ძველი ლექსი, ცხონებულმა საყვარელმა ლექტორმა, გოგი დემეტრაძემ რომ ასწავლა რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ საკურსოს წერისას:

ჩემო ცოლო მართაო,
პორტ არტურში ვართაო,
აქ ქალები არა გვყავს და
ერთმანეთსა ვთხნამთაო.

ის ლექსი იმ ძველი საბრალო ქართველი ჯარისკაცებისა იყო, რომლებიც რუსეთის იმპერიამ იაპონიასთან საომრად გაირეკა და მართას სულაც არ უჩანდა საწყენად, რადგან იცოდა, რომ მაშინ მოქალაქე, აწ კი აზნაური გიორგი მორბელაძე კაცებს არა სდევდა და მობილურობა კი რაც შემოვიდა, მორბელაძემ თავის ტელეფონში ამ ლექსის პირველ სტრიქონად ჩასწერა ცოლის სახელი.

ახლა კი, როგორც ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი, ამ რიჟრაჟზე თბილისისა, რომელისაც პოეტმა ერთ საგალობელში უწოდა, რა არყისფრად გათენდაო და სწორადაც გამოუვიდა, ვინაიდან თბილისში სრულიად არაფრის ფერით იცის გათენება, მართას ზარმა შეაშფოთა აზნაური მორბელაძე.

ეს როდის იყო, რომ მართა დილის მეშვიდე საათზე რეკავდა ხოლმე.

ამ წკრიალის გამგონემ, უკვე მეოთხე თხლაშოიგადაშვებულმა გიორგი მორბელაძემ, ერთი გაიაზრა, რომ ფარსაგია და ან ის წყეული ბლის გამხმარი ხე დეიძრა და დეეცა სახლს, ან წყალმა წაიღო იქაურობა, ანაც კი, ძაღლმა ფრიდონამ კვლავაც რაღაცა ოხრობა მოათრია ახლო მდებარე ტბიდან.

საქმე ის იყო, რომ ირა, მართად წოდებული და ორიც სხვა მისი ამხანაგნი იმყოფებოდნენ მორბელაძიანთ ძველ სააგარაკო სახლში და იქიდან დილის შვიდ საათზე მორეკვა მხოლოდ ნამეტან ცუდს ნიშნავდა.

თვითონ მორბელაძეც იქ იყო წინა საღამომდინ, მაგრამ, რა არის რომ მეგობრებმა ამოუარეს და ამინდი კარგია, წყალი რაკრაკით ჩხრიალებს და მაღლა გრილობებში ერთი ჯერ კაი ხინკალი მოვიღოთო და იმ ხინკალს კი ასე მოჰყვა, რომ ბოლოს ქალაქამდეც მოაწიეს და იქაც გააგრძელეს დაუტანებელი სმა ჯერ ვერანდებზე, მერე კიდევ სადღაც მტკვრისპირა კუპეებში, საცა გებჟალიასა ხვრეპდნენ უაზროდ და ოდენობით და თანაც კიდევ ცივ ღვინოსა სვამდნენ.

მერე კი დაიშალ-მიიშალნენ ღამის სამისთვის და რახან აგარაკზე აბრუნებას იმ ჟამს აზრიც არა ჰქონდა, აზნაურიშვილმა მორბელაძემ და მისმა გულის მეგობარმა ლაშა მესხმა გადასწყვიტეს, მოდი, ჯერ დაუკეტავებში ჩავიდეთ და მერე კი ავლაბარში ხაშები ვჭამოთ, ხოლო, ამის მერეთ დავიჭიროთ მანქანა, ავიდეთ აგარაკზე და მთელი დღე ვიძინოთ, საღამოს კიდევ გოგოები რამეს გემრიელებს გვაჭმევენ და ჩვენ კი საზამთროებიც ავაგოროთ და იმის ზემოდან კიდევ ერთი ოჩინ სტარის ბოთლიც მივცეთ, რომელიც აგარაკზეა კარადასა და კედელს შუაო.

შაბათი გათენებულიყო და რით არი ცუდი აზრი?

საზოგადოდ, აზნაურიშვილი მორბელაძე გაბმულ სმასა და აზარფეშობაში ძლიერი არ იყო და არც უყვარდა. მხოლოდ ახლო, გულის ძველ თანშეზრდილ ოთხ მეგობართან ერთად თუ ასე გაატარებდა ღამეს დუქან-დუქან და შეთრობა-გამოსვლაში და ახლაც იმას და უკვე გულზე ორსტენტიან ლაშა მესხს ეთქოთ, მარტო ერთი ბოთლა მედოფი მივცეთ ხაშზეო, დაჩაზე რო ავალთ, კაი დათენთილს დაგვეძინოსო და პახმელიაც არ იყოს გამოღვიძებაზეო და სწორედ ამ დროს დარეკა.

ლაშა მესხს კოვზი გაუშეშდა ხელში და იკითხა:

„ცუდი ამბავია?“

„რა მოხდა,“ ჩასძახა ტელეფონს აზნაურიშვილმა მორბელაძემ, მერე ერთი შეისუნთქა ცოლის სმენისას და უხალისოდ გამოსუნთქულზე თავი გააქნია:

„არაფერიო.“

მერე დიდხანს იყო უფრო მსმენელი, აწვალებდა თითებით სალფეთქს და ამბობდა:

„ხოოო... ხოოო... აუფ... და ვერ უთხარი? და რა ვქნა ეხლა, მე და მესხიევი მოვიდოდით ეხლა მანდ, ვიცდით აგერ, რო გაგღვიძებოდათ... ეეეეეე... ეხლა სად ვიპარსო... ნახე, თავისთვის კი უჩალიჩია. აუჰ... დავიქეცი... და მოვდიოდით მანდ... და სად ვიქირავო ჩოხა ამ შაბათ დილას... რა ლენტიო... სად არი... ვისი ფრაკი? ლევანა ავალიანის ფრაკი?.. უთხარი, რეებს მეუბნება... ამ დილის შვიდ საათზე... გაგაცეცხლა, ხო ვიცი... მზე ლამაზად ამოვიდა?.. არა, ჩოხას ვერ ვიშოვი... და ლევანას სისქე ვარ მე?.. ვარ? მალადეც... შენ არა, მე... ეს კი, კაცო... მესხიევი გადმოგწვდა... და სად მოვალთო?.. კაი... კაი, აბა, დღეს რაღას ამოვალ. ალბათ დაგვტოვებენ იქ... კაი, კაი, დაიძინე. მე ბოდიში... რა ვქნა, არ ვყოფილვარ ამ სახლში და მოსაწვევი დატოვეს, თუ არხიდეის თესლები, რა ვიცი... ამოვიტან, ხო, ამოვიტან იმ თესლებსაც. ამოვაღწიო... კაი, ხო. თერთმეტამდე ვიზამ რამეს.“

იდგა დილის მეშვიდე საათი და ნირწამხდარი ხაში ორს ძველს მათლაფაზე. სირჩები შემცბარი, პაპიროსები მოწყენილი. აგია ცხოვრება? ზაფხული — მშვენიერი. ფორტოჩკაში ავლაბარის კანტიკუნტი ხმები.

„რაიო?“ ჰკითხა მესხმა.

„ჯანდაბაიო. მოსაწვევი გამოუგზავნიათ. ვერ დარეკავენ?“ ამოიოხრა აზნაურიშვილმა მორბელაძემ, „ეხლა დაურეკია ვინცხა წინამძღვარ ეფემიას, მეუფის სახელით, მე მაქვს დავალებულიო, თერთმეტზე მოვა მანქანაო და დრესკოდით დახვდეს, მიღებაა ლამისყანაშიო. ირას ნომერი უპოვნია, შენ არ პასუხობდიო.“

„არ პასუხობდი და,“ გაიცინა მესხმა.

„უცხოს რეიზა ვუპასუხო, მაგნების,“ მწარედ ჩაიცინა გიორგი მორბელაძემ, „უჰ, დაგაცლიან რამეს?“

„მაგ არაფერი, კაცო, მე სახლშიც კარგა დავიძინებ. მარა შენ მოკვდები, შე საწყალო. მთელი დღე.“

„და ღამეც, ალბათ, სიმონ.“

„და ამ პერეგარით... ჟუვაჩკა იყიდე და ახალ-ახალი ჩაიდე ხოლმე. თუმცა, მაგით უფრო იწვები,“ თქვა ჩაფიქრებით მესხმა, „რა მიღებააო?“

„რა ვიცი. უფლისწულის რაცხა ვარსკვლავების ჭვრეტაო... რა სიტყვაა დილის შვიდ საათზე. რაღაცა, მოკლედ. კი მარა აზნაურებს რატო პატიჟებენ?“ პაპიროსს მოუკიდა მორბელაძემ.

„ნუ, ალბათ, სელებრითი აზნაურებს,“ დაასკვნა ლაშა მესხმა, „გავიდეთ, რაღას უკიდებ...“

„სად გავიდეთ, გათენდეს წესიერათ, ლევანამ გაიღვიძოს, ფრაკი უნდა გამოვართვა. ჩოხაო. ან ჩოხაო, ან ფრაკიო, მარა ფრაკზე ლენტი გაიკეთოს იმერეთის სადროშოსიო.“

„და გაქ?“

„თუ ვიპოვე, მაქ. ხო მომანიჭეს... ვიყავი გადანასკვული პრაჟსკი ტორტის კარობკასავით,“ მორბელაძემ კვამლი სტყორცნა ავლაბრის ფორტოჩკას.

„არ დეგეძინოს, შეჩემა, ბანოვანის კალთაზე,“ გაიცინა მესხმა.

„არა, ესპრესოს მივცემ ფალიაშვილზე.“

„მურაბიან ჩაის. კარგათ წავა ამაზე... და ირა არ უნდა წამოვიდეს?“

„კი... მარა უთქვია, მე ხელი მაქ მოტეხილიო... დეეზარა და გამოძვრა... მაგის მოგონილი არ არი?“ იწყინა მორბელაძემ.

„აუ, რა მაგარია... ნეტა შენზეც ეთქვა, ორივემ ხელი მოვიტეხეთო. ავარიაში მოვყევითო...“ ჩაიხითხითა ლაშა მესხმა, „ბიჭო და, ტო, დღეს არი ბუნიობა. ალბათ, მაგ ვარსკვლავებიო.“

„ბუნიობა და მაგის... აუ, რა ტკბილად დავიძინებდით?“

„მე კი დავიძინებ... ბიჭო... მისმინე... აი, რო იღვიძებ, სწრაფად იღვიძებ?“

„აუ, ვეღარ. ერთი საათი ვიღვიძებ... ეხლა თუ წამომაგდე, ავდგები, მარა, აზრზე მოსვლა მინდა.“

„აუ, მეც,“ ლიმონათის ბოთლს გადაწვდა მესხი „და რეებს ვფიქრობ, იცი?! რეები მეჩითება? სულ ბავშვობის რაღაცები შუალედში. მაგარი სტრანნი. აი, მაგარი... კომბრე, ბალბეკი, დონსიერი, პარიზი, დაჟე ვენეცია.“

„სადაც გიცხოვრია, რა,“ სევდა შეუცურა აზნაურიშვილმა მორბელაძემ „დარჩენილიყავით შეჩემა, სად მორბოდით...“

აქ უნდა ითქვას, რომ ექიმი-ინფექციონისტი ლაშა მესხი არ გახლდათ ტომით საქართველოს ქართველი.

ის იყო ჩამონავალი 1921 წელს რუსის ტყვიის ჭექა-ქუხილის და ამ მიწაზედ დარჭობილ წითელ დროშებს გარიდებული და დაიბადა პარიზში 1965 წელს და როცა შესრულდა თხუთმეტი წლისა, მამამისმა დადუკი მესხმა მოჰკიდა ხელი თავის ცოლს ჟერვეზას და ორს ვაჟს და გადმოსახლდა საქართველოში, იმ დროის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში.

ასე რომ, ლაშა მესხი, სხვანაირად კი ლორენ მესკი გათბილისელდა და გათბილისელდა სრულად, ნამდვილად ქალაქურად და ფრანგული კი არ დაავიწყდა და ქალაქური კი ისრუტა სრულად. ეს კი ეიღბლა მესხების ოჯახს, რომ დადუკის თითზე კბენანი და ცოლის საყვედურები უცებ გაათავა პერესტროიკამ და უცებ საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობაც აღიდგინეს და ჟერვეზი კი სამუდამოდ წავიდა იქეთ და მალევე კი ლაშას უფროსი ძმა სვიმონ-კლოდიც მიჰყვა და დადუკიმ კი აღარაფრით დაიხია უკან და დარჩა და დარჩა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და სანამ ფილტვის კიბო არ დაუდგინდა და სანამ სამოქალაქო ომებისა და ყოველგვარი ომების და სროლიანობის დროებამ საბოლოოდ არ ატირა, საფრანგეთისკენ ვერ დაძრეს და ბოლოს კი იქავ, გუსტავ რუსის კლინიკიდან გამოწერილი, გარდაიცვალა, ოღონდ კი, თურმე, როცა რომ ბოლოს იწვა ლოგინში, მეთოთხმეტე უბანში, სადაც ჟერვეზს თავის ჭკვიანობით ადრიდანვე ჰქონდა დედისეული სახლი და არც თავის რამ ფულადი ქონება გაენძრია საფრანგეთში, როცა ქმარმა თავის რომანტიულ ქართველიანობით ჯოჯოხეთისკენ გამორეკა, გამოიშვერდა თითს თურმე ლაშა მესხისკენ და არაფერს ეტყოდა. და ეს გამოშვერა კი ლაშამ იცოდა, რო შენ ხარ იქაურიო და ასეც საბოლოოდ გამოვიდა, რომ ლაშა მესხმა ფრანგის საბუთი კი ჩაიდო ჯიბეში, მაგრამ ხელახლა სწავლა ნამდვილად აღარ მოიწადინა და დარჩა ერთ თბილისელ ექიმად, რომელსაც რომ უკვე კაი წონის და თმისვერცხლის მიუხედავად, მაინც შემორჩა ის ძველი თქმა ოთხმოციანი წლებისა, ფრანგია, შეჩემაო, რაიც ოდესღაც გარკვეულ რაღაცეობებსაც სჩუქნიდა მას თბილისელ გოგოების თვალში, ან კი უფრო მისწრაფებაში, რომლის კვალიც, ეეეე-ჰეეეეი, საით მიდენის ფიქრსა. ზუსტად ისე, როგორც მესხების თბილისში გადმოსახლების დროს ეწერა ტელევიზორის ეკრანებზე, სადაურსა სად წაიყვანო.

ეს უეშმაკო სლოგანობა მაშინ მეტად მოსწონდა ცხონებულ დადუკი მესხს და

დასასრული მე-8 გვერდზე

როსტომ ჩხეიძე

ბობ დილანის მწერლური გარდასახვა

პირველი შეხვედრა ბობ დილანისა ბობ ნოივირტთან ის იქნებოდა, რომ ნოივირტი მეგობრებთან ერთად შევიდოდა ტავერნაში და დიდ აყალმაყალსაც ატეხდა. და ეს მაშინვე შეატყობდა, პროვოკაციის მოყვარული და თავისუფალი ბუნების კაცი უნდა იყოს, ერთთავად მომართული ვინმესთან დასაპირისპირებლადო.

მოგვიანებით, საკმაოდ რომ დაუახლოვდებოდა, თუმც მასთან საუბრისას სულ დაძაბული იყო, მაინც სწორედ მას აირჩევდა თანამგზავრად მოგზაურობისას და ის ფიქრიც გაუჩნდებოდა: ნოივირტის უკვდავყოფაც ისევეა საჭირო, როგორც ჯორჯ კერუაკმა უკვდავყო ნილ ქესედი რომანში „გზაზეო“.

ბოლომდე ვერასოდეს გაიგებ, რა კაცია ან ერთი, ან მეორე?

მაგრამ რაც უნდა იყოს, მრავალი ნიჭიც რომ მომადლებიათ?

და თუ არაერთ ადამიანს აღიზიანებენ, ყველას ხომ არა... ის კი არა, აგერ გამოუჩნდებათ კერუაკი იქნება თუ დილანი, ყველაფერი რომ მოსწონთ მათი, რაც უნდა ჩაიდინონ. ერთნაირი გემოვნებაც რომ აქვთ?

საერთოდ კერუაკის სახელმა არაერთხელ უნდა გაიელვოს ბობ დილანის ავტობიოგრაფიულ რომანში „ქრონიკები“.

მაშინაც, როდესაც ის განწყობილება წამოუტივტივდება, რაღაცას რომ ეძებდა. მაინც რას? რას და, რაც კერუაკის ამ რომანში წაეკითხა — ნაცრისფერ ქალაქს, დიდ სისწრაფეს, სისწრაფის ხმაურს, ეძებდა იმას, ალან გინსბერგი „წყალბადის ჯუკბოქსის ხმაურს“ რომ უწოდებდა, და რაც ბობ დილანს ეგებ ისედაც ნაპოვნი ჰქონდა და სულაც იქ ცხოვრობდა.

მაშინაც, როდესაც გულღიად განაცხადებს: „გზაზე“ ჩემთვის ბიბლიასავით იყოო.

თუმც ეს უჩვეულო აღტაცება უნდა გაფანტვოდა და უკვე სხვა თვალითაც შეეხედა ბიტნიკური სულის გამომხატველი ამ რომანისათვის, მწერლის მიერ აღწერილი ჰიპსტერების მიმართ სრულიად რომ დაეკარგებოდა ინტერესი. და თუმც მოწონებით კვლავაც მოსწონდა ერთი ამოსუნთქვით დაწერილი, დინამიკური, ბიბოპის პოეტური ფრაზები, ჯეკის კალმიდან რომ მოედინებოდა, ახლა მისი პერსონაჟი მორიარტი უადგილოდ მოეჩვენებოდა, არავითარი მიზანი რომ არ გააჩნდა მის არსებობას და მხოლოდ მათი გმირი შეიძლება ყოფილიყო, იდიოტიზმი ვისაც აღაფრთოვანებთ.

ერთხანს სულაც ბიბლიასავით, მაგრამ...

ხოლო თაკო ჭილაძე ამ ორ თხზულებას რომ შეუდარებდა ერთმანეთს, ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა:

— ნიუ ორლეანი „ქრონიკებში“ უფრო შთაბეჭდავად ჩანს, ვიდრე ბიტნიკების ერთ-ერთი წინამძღოლის გახმაურებულ რომანში „გზაზე“.

ეგაა, რაკიღა თაობისა თუ ეპოქის ბიბლიად მარტოდენ ეს მუსიკოსი კი არ აღიარებდა, არამედ უამრავი ადამიანი, ის კი არა, მთლად ჯერომ სელინჯერის გვერდითაც მიუჩენდნენ ადგილს, იძულებულია ამ შეფასებას... დიდი მობოდიშება წაუმძღვაროს ჯეკ კერუაკის აჩრდილთან.

გადაივლიდა აჟიოტაჟი და... დრო საგრძნობლად დააცილებდა ერთმანეთს სელინჯერსა და კერუაკს, იმას მაღლა რომ ატყორცნიდა და უკეთეს ამერიკელ მწერალთა შორის დაუმკვიდრებდა ადგილს, კერუაკის „ბიბლიას“ კი ბევრად მოკრძალებულ თაროზე შემოსდებდა.

და აგერ... ბობ დილანთანაც ვეღარ უძლებს კონკურენციას.

მერე რა, რომ თვითონ განთქმული მუსიკოსი ვერასოდეს იფიქრებდა, მის ავტობიოგრაფიულ რომანს თუ დაამჯობინებდნენ მისთვის ერთხანს სულაც სათაყვანო, მოგვიანებით კი ერთ-ერთ საყვარელ რომანს (ბოლომდე მაინც ვერ შეელეოდა!), რეალობა სხვაგვარად განსჯიდა და არამცთუ მუსიკალურ ტალანტს, მწერლურ ნიჭიერებასაც დაუფასებდა და ამ მხრივაც არ მოაკლებდა პატივს.

თაკო ჭილაძის დაკვირვებასა თუ შეხედულებას კი ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ ორივე ქმნილება მისი ამეტყველებულია ქართულ ენაზე — ჯეკ კერუაკის „გზაზეც“ და ბობ დილანის „ქრონიკებიც“ — და ეს მოწმობს, რაოდენ ღრმადაა შესული თვითეულის ფარულ ნიუანსებშიც და მინიშნებებშიც და ბოლომდე აქვს განცდილი ერთიც და მეორეც.

და თუ კერუაკს არ მოაკლდებოდა კრიტიკოსთა მხურვალე გამოხმაურება და აღმტაცი ეპითეტები, დილანის პირველი ცდაც ლიტერატურაში ერთბაშად გახმაურდებოდა და არა მუსიკოსის ასპარეზზე გამორჩეული პოპულარობის გამოისობით, არამედ სწორედაც მწერლური ხელოვნების წყალობით, მთარგმნელისეულ წინასიტყვაშიც რომ არის მოხმობილი ზოგიერთი ესთეტიკური შეფასება, ვთქვათ, „სანდი თაიმსის“ ფურცლებზე გამოთქმული:

— თუ წიგნის დასასრულს მადლიერებით არ აქვითინდი, ჩათვალე, რომ ეპოქამ გვერდით ჩაგიარა.

ანდა „დეილი ტელეგრაფის“ მიერ უშურველად გამეტებული ქება:

— როკ-ენ-როლის ენით რომ ვთქვათ, ეს წიგნი შექსპირის დაკარგული დღიურის აღმოჩენას უტოლდება.

ოოო, ეს უკვე ნამეტანია, შექსპირს ასე ადვილადაც ნუ გავუთამამდებით, მაგრამ... მოდი, ამჯერად, სულ სხვა კუთხიდან შევხედოთ ამ ფრაზას და ვიმარჩიელოთ: თავის დროზე თუ არა, ოდესმე მაინც თუ შეიძლება დასცდეს ვინმეს: ანზორ ერქომაიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა რუსთველის დაკარგული დღიურის აღმოჩენას უტოლდებაო?.. და ეს ჩვენში, სადაც ჰიპერბოლიზებისას საზღვარი არ ვიცით. ხოლო ამ შემთხვევაში...

ის კი არა, ვერსად წააწყდებით დაახლოებით იმგვარ შეფასებასაც, რაც ბატონი ანზორის ნაწერებზე სიტყვა-სიტყვით შეიძლება გადმოვიტანოთ თუნდ ბობ დილანის ავტობიოგრაფიული თხზულების რეცენზიიდან:

— ყოველ გვერდზე და ყველა აბზაცში არის რაღაც მნიშვნელოვანი, რასაც უყურადღებოდ ვერ დატოვებ. ზუსტია მისი ისტორიის შეგრძნება, ადგილისა კი — შესანიშნავი... ლამაზად წერს მუსიკაზე, შთაგონებით, პოეტურად, ჩანს, რომ ნამდვილი მუსიკოსის ალღო აქვს.

„გზაზე“ ჩემთვის ბიბლიასავით იყოო...

ასე ბევრი გაიძახოდა იმჟამად და გასაკვირიც არა ყოფილა, რაკიღა კერუაკი მოდურ მწერლად გადაქცეულიყო, მაგრამ ბობ დილანს ის გამოარჩევს იმ ბევრისაგან, რომ მოდას წუთითაც არ აჰყოლია და ამჯერადაც პირად შთაბეჭდილებას გამოთქვამს, რადგანაც იგი იმ იშვიათ მუსიკოსებს მიეკუთვნება, საკმაოდ რომ გათვითცნობიერებულიყვნენ ლიტერატურაში და არავის კარნახი და მიყურადება არ სჭირდებოდა დასკვნების გამოსატანად. და თუ ვინმეს დაუგდებდა ყურს და გაითვალისწინებდა მის მოსაზრებას, უსათუოდ თავისნაირი ნამდვილი მკითხველისა.

ამიტომაცაა მისი ფსევდონიმი „დილანი“ უშუალოდ ნასესხები არა მუსიკოსის, არამედ პოეტის — დილან ტომასის — სახელიდან.

ამიტომაცაა მისი „ქრონიკები“ გადავსებული მწერალთა ლანდებით და მათზე გაფანტული ღრმაზროვანი დაკვირვებებით.

ჩვეულებისამებრ შუაში გადაშლიდა ხოლმე წიგნს, რამდენიმე გვერდს წაიკითხავდა და... თუ მოეწონებოდა, მერე უკვე თავიდან იწყებდა.

ანტიკური ხანაც გაიტაცებდა და ფრანგული, ინგლისური, რუსული რომანებიც, განსაკუთრებით კი მაინც პოეზიის კითხვა უყვარდა — ლორდ ბაირონის, პერსი ბიში შელის, ჰენრი უორდსუორთ ლონგფელოსი და ედგარ ალან პოსი. მის „ზარებს“ ზეპირადაც დაისწავლიდა და გიტარაზე მელოდიასაც აჩხაკუნებდა, როდესაც ხმამაღლა კითხულობდა.

ონორე დე ბალზაკის მხატვრულ სამყაროშიც ჩაეფლობოდა და მისი ფილოსოფია მარტივი და გასაგები მოეჩვენებოდა: ძირითადად იმას გვეუბნება, რომ წმინდა მატერიალიზმი სიგიჟისაკენ მიმავალი გზაა. როგორც ჩანს, ცრურწმენაში ხედავდა ჭეშმარიტებას და ყველაფერს განსჯის თემად აქცევდა. ენერგიას თუ თავს მოუყრიდი, ცხოვრების საიდუმლოც ეს იქნებოდაო.

— ბატონი ბალზაკისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

მუსიკოსისთვისაც, თორემ მწერლისათვის — თავისთავად.

ხოლო როდესაც შეეცდებოდა გადაჩვეოდა მოკლე სიმღერების წერას, დაიწყებდა... გრძელი პოემების კითხვას. თავიდან აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა მათ



დამახსოვრებას. გონებას ავარჯიშებდა, სურდა ცუდი ჩვევები გადაეგდო და სწავლობდა, თავი როგორ დაემშვიდებინა.

ლორდ ბაირონის „დონ ჟუანს“ რომ წაიკითხავდა თავიდან ბოლომდე და ყურადღებით, მიაყოლებდა სემუელ ტეილორ კოლრიჯის „კუბლა ხანსაც“ და ასე ჩაიჭედავდა გონებაში ყველანაირ ღრმა შინაარსის პოემას.

— ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს აქამდე ცარიელ ვაგონს მივათრევდი, ახლა კი დავიწყე მისი შევსება და უფრო და უფრო მეტი ძალა მჭირდებოდა მის საზიდად.

უილიამ ფოლკნერის წაკითხვას ამ სიტყვებით ურჩევდნენ: რასაც იგი აკეთებს, ძნელი საქმეა, ძნელია ღრმა გრძნობები სიტყვებით გადმოსცე, თორემ „კაპიტალის“ დაწერას რა უნდაო.

როდესაც არჩიბალდ მაკლიშის, კარლ სენდბერგისა და რობერტ ფროსტის მხატვრული აზროვნების ძირითად თავისებურებებს ამ ლიტერატურულ ფორმულებში ჩაწურავდა თავისთვის: ერთს ღამის ქვებისა და სწრაფი მიწის პოეტად რომ მოიხსენიებდა, მეორეს — პრერიებისა და ქალაქის, მესამეს კი — ბნელი მედიტაციებისა, უფრო ცხადი და თვალსაჩინო სურათის წარმოსადგენად, თუ როგორ შეძლეს ამ გრანდიოზულმა ფიგურებმა XX საუკუნის ამერიკის ესკიზის მოხაზვა, მათ მიიჩნევდა ახალი სამყაროს იეიტსად, ბრაუნინგად და შელიდ.

რაოდენ ზუსტი და მოხდენილი პარალელებია.

არა, მაინც რა დრო იყო, რომ ოდესღაც ნიუ იორკში, ამ ობობას ქსელივით ჩახლართულ ქალაქში, წამლადაც რომ არავის იცნობდა, თავისი ბედის შეცვლას მოელოდა და თან ძალიან სწრაფადაც ეს მეოცნებე და ყოვლად არაპრაქტიკული ადამიანი, ვინც 50-იანელთა კულტურას იმ მოსამართლეს ადარებდა, უკანასკნელად რომ იჯდა თავის სკამზე.

არადა, მისი დრო იწურებოდა.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში კიდევ რამდენჯერმე უნდა გაებრძოლა ამ კულტურას ფეხზე წამოსადგომად და... საბოლოოდაც დანარცხებულიყო ძირს.

მაგრამ ბობ დილანისათვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, რაკიღა:

— ფოლკი ისე მქონდა გონებაში ჩაბეჭდილი, როგორც რელიგია. ფოლკი სცდებოდა იმჟამინდელი კულტურის საზღვრებს.

ხოლო დაუმცხრალ ძიებებში რომ ჩაეფლობოდა, გრეგორი კორსოს ლექსს „ბომბი“ ყველაზე ზუსტ გამოხატულებად მიიჩნევდა თანადროული სულიერი განწყობილებისა — უსარგებლო, მექანიზებული მსოფლიო, გახვეული დავიდარაბასა და წეწვა-გლეჯაში. და იგი არც აპირებდა რამეზე დაემყარებინა იმედები, რადგან ისედაც პარალელურ სამყაროში იმყოფებოდა, სადაც არქაული პრინციპები და ფასეულობანი მოქმედებდა და თვალდათვალ ამოიზიდებოდა კულტურა, რომელსაც ქმნიდნენ კანონდამრღვევი ქალები, სუპერ ბანდიტები, დემონის მოშიშნი... ქუჩები და მინდვრები, ტორფით მდიდარი ჭაობები, მიწათმფლობელნი და ნავთობის კაცები, და ასე იქსოვებოდა უხილავი სამყარო, რომელიც ზემოდან დაგყურებდა.

ასეთი გახლდათ ეს სამყარო — იდეალური და ღვთისმოშიში, ოღონდ... შენ უნდა გეპოვნა, თავისით არ გეახლებოდა.

— ფოლკის მუსიკა კი რეალობა იყო, ოღონდ სხვა ბრწყინვალე განზომილებაში. ფოლკი გასცდა ადამიანური გაგების შესაძლებლობას, და თუ თავისკენ მოგიხმობდა, გაქრებოდი, შეგიწოვდა და შეესისხლხორცებოდი.

ეს მაშინ, თუკი ამ მუსიკალურ მიმდინარეობა-ტრადიციას ბობ დილანივით გაუიგივდებოდი და აღარც გეცოდინებოდა, რა იყავი დამოუკიდებლად და რა ხდებოდი მასთან შერწყმული. და ეს პარალელური და ღვთისმოშიში სამყარო, ეს იდუმალება უნდა მოეტანა ჩვენამდე მელოდიებითაც და... ავტობიოგრაფიული რომანითაც, რომელშიც მხოლოდ ჩინებულ მთხრობელად კი არ წარმოგიდგება, არამედ დაკარგული რიტმების მეგზურად, იდუმალების მაცნედ და შემაგრძნობლად, ისევე რომ გითრევს, როგორც გულისშემძვრელი აკორდები.

და მზერას ამიტომაც მიადევნებ, თუ როგორ ესისხლხორცება ამ იდეალურ სამყაროს, რომელიც პიროვნებათაგან კი არ შედგება, არამედ — არქეტიპებისაგან, თვითეული ძლიერი სულის პატრონი რომ არის, თანდაყოლილი ცოდნითა და შინაგანი სიბრძნით მდიდარი.

და საკუთარ სამეფოში რომ იგრძნობდა თავს, იმდენად რეალური მოეჩვენებოდა, თვით ცხოვრებაზე მეტადაც რეალური.

ფოლკმუსიკის სცენა რისთვის შეიძლება შეედარებინა?

ალბათ მაინც... სამოთხისათვის, რომელიც ადამივით უნდა დაეტოვებინა.

რამდენიმე წლის მერე ქაოსს უნდა ემძლავრა და ყველაფრის დაწვა დაეწყოთ — ლიფების, ჯარში გაწვევის შეტყობინებათა, ამერიკის დროშების, ხიდებისაც. ეროვნული განწყობა უნდა შეცვლილიყო და ცხოვრება საშინელებათა ფილმს — „ცოცხალი მკვდრების ღამე“ — უნდა დამსგავსებოდა.

და იქიდან გამოსასვლელი საიმედო გზა არ მოჩანდა.

არ იცოდი, საით წაგიყვანდა.

მაგრამ ბობ დილანი მაინც უნდა დადგომოდა ამ გზას.

წინ რომ უცნაური სამყარო ელოდა?

ჭექა-ქუხილის მომასწავებელი ღრუბელი, რომელიც უნდა გახსნილიყო?

რას დაგიდევდა მოსალოდნელ ხიფათს და... პირდაპირ შეაბიჯებდა იმ გაორებული განცდით აღვსილი: სამყაროს ღმერთის ხელი არ მართავს, ოღონდ არც ეშმაკისო.

ამ ყველაზე მძაფრი აკორდი თუ დაბოლოვდებოდა ათასგვარი მღელვარებით გაჟღენთილი თხრობა, თვითონ ავტორი სტრიქონთა შორის მიმალვას, მიფარებას რომ ამჯობინებდა უზომო თავმდაბლობის გამოისობით.

და თუ თვითონ ფერენც ლისტის მიმართ შეეძლო გამოეთქვა ეს აღფრთოვანება: მომწონდა, როგორ შეეძლო ერთ ფორტეპიანოს მთელი ორკესტრის ეფექტის მოხდენაო, — თაკო ჭილაძე ამ ფრაზაში აღმოაჩენდა გასაღებს ბობ დილანის ხელოვნების შთამბეჭდაობისაც და თავისებურებისაც: მიკვირდა, როგორ შეეძლო პატარა, ტუჩის ჰარმონიკით ისეთი ემოცია გამოეწვია, რასაც მთელი ორკესტრი თუ აღგიძრავსო.

* * *

რაღაც ამგვარ შთაბეჭდილებას გიტოვებს „ქრონიკებიც“, ერთი წიგნი თავისი სისავსით წიგნთა მთელი წყების შეგრძნებას რომ გიჩენს და... ეგებ მთლად რეალობისაგან მოწყვეტილიც არ იყოს ის შეფასება, ბობ დილანის მწერლური გარდასახვა შექსპირის დაკარგული დღიურის აღმოჩენასთანაც რომ შეუდარებიათ.

თორემ „გზაზე“ და ამისთანები ხომ რა სათქმელია...

თუმც ასე ადვილადაც ნუ წამოვკრავთ ხელს.

ერთხანს იყო თუ არა, ბობ დილანს ხომ არც განერჩეოდა ბიბლიისაგან და ამერიკის გზებსა თუ საკუთარი სულის ბილიკებზე მოგზაურობისას ეს რომანიც შთააგონებდა.

* * *

არა მაინც როგორ შეეძლო ფერენც ლისტს ერთი ფორტეპიანოთი მთელ ორკესტრად დაგტყდომოდა თავზე?!.

რატი ამაღლობელი

ეოლოსი

ეოლოსს ეფრინოს, ეოლოსს ევლოს,
უქროდეს ფიქრის აფრებს და არფაზე
უკრავდეს, უკვირდეს, უყვარდეს, ეულს რომ
მომძებნის მითოსის ცარიელ დარბაზში.

ქუსლზე რომ უკბინა გველმა ევრიდიკეს,
ეოლოს მინდვრებით იფრინე იქითკენ,
მაგ შენი ქარული კალთების ქარავანს
გავყვები, მინდა რომ იქ ვიდგე.

განცდების ზღვებში რომ გიყვარდა შებერვა,
გრძნობების ამღვრევა, ერთხელაც შენ ქრისტემ
თუ გახსოვს გიყვირა, შეგთოკა, შეგრისხა —
მას მერე ისურვე ნიავად შეფარვა.

ეოლოს ოდისევსს ეგ სიო როდი სდევს,
იგი ქარიშხლებით დაბურე,
მე კი გაქვავებულ სივრცეში ლოდინს ვერ
ვუძლებ და ზღვა მიდგას ირგვლივ უდაბური.

ეოლოს დაბერე, ზღვისპირა ზეფიროსს
აფრებში ეფრინოს, ეყვიროს, ესუნთქოს,
მე თვალებს დავხუჭავ და ქარით შესუდრულ
სივრცეებს ხომალდით გავყვები ზეპირად.

ეოლოს გევლოს, ეოლოს გეფრინოს,
ეოლოს ამ ხომალდს, ამ სხეულს დამსხვრეულს
მოგანდობ, სრულიად რომ შემომეფინო
და ვერ განგასხვავო.

პოეზიის ანგელოსი

როგორც მოლანდების ელდა — მოალდები,
თვალწინ ამენთები როგორც მოჩვენება,
რაც კი დაკარგულა ზღვაში ხომალდები,
შენში უპოვნიათ მოსვენება.

როცა სიზმრებიდან მაკვირდები,
გიყვარს ჩურჩული და შთაგონება,
მე კი თვალღიას და გაკვირვებულს
ცხადში არაფერი მაგონდება.

მდგარი ძილღვიძილის გალავანთან
წვეთ-წვეთ, ნაწილ-ნაწილ, ალაგ-ალაგ
ვცდილობ ასო-ასო ვთარგმნო სიზმრებიდან
შენი ბაგე-სიტყვა და ქარაგმა.

როცა გამოითქმი — გარეთა ხარ,
სიტყვის დინება ხარ, ნაკადი ხარ,
მთავარანგელოზის ბაგეთაგან
ქალწულის წიაღში გადადიხარ.

შორის ღვთისმშობლის და გაბრიელის
თავად უწყება ხარ, ხარება ხარ,
კაბა უხილავი გიფრიალებს,
შინაგანიდან რომ გარე გახვალ.

კაბა უქსოველი პერანგივით
შროშნებით ამოკემსილი გაქ,
ზევიდან გზვერავს სერაფიმი,
გვერდიდან წმინდა სესილია.

ხარების შროშანი

აყვავდი როგორც ხარების შროშანი,
დაძლიე დრო-ჟამი, რომ ფერი მოშავო
მოშალო შენში და იცვალოს ზნე-ჩვევა,
გაოცდე იმგვარად, რომ ქრისტე გეჩვენოს.

დაე, მე არ მენდო, ანგელოსს გაენდე,
მოძებნე, აინთე, დილიდან ღამემდე
შენშივე, შენს წიაღ, შენს წილ და შენში რომ, —
„ანგელოსს ეჭიროს გრძელი პერგამენტი“.

გიკითხოს ძილისწინ ღვთისმშობლის გზავნილი,
კითხვაში ჩაგთვლიმოს დაღლილი მგზავრივით,
შენს ნაპირს მოადგეს ხომალდი ზღვა ვლილი —
ცა იყოს ბაღი და ვარსკვლავი — ყვავილი.

შროშანთა სურნელით შიგნიდან აყვავდი,
გეაროს შემხვედრთა შვებათ და შენდობათ,
მშვიდობით ოდესმე შემთხვევით ნახვამდე
და მერეც მშვიდობით.

სამშვინველი

აგვისტოს ბოლოს ხშირ-ფოთლოვან, მრუმე, ვეება
ღამეულ ტყიდან ვრცელ მინდორში გასვლა ხარ, ვიდრე
მინდვრის გარშემო ისევ გიგრძნეს ტყის სიღრმეებმა —
გავაკება ხარ, გამინდვრება, რომ ციდან მკვიდრი

შენ ვარსკვლავების ნახო ცვენა, გახდე მოწმე და
დამკვირვებელი, აღმრიცხველი, ციდან მოწყვეტილ
მნათობთა, მერე სახელდება უნდა ითავო
მათი და ასე, ასო-ასო თქვა — სათითაოდ.

შუქი, წამით რომ გაიელვა და გაანათა
ტბის ნახევარი, ჰორიზონტი, სიმაღლე ტყეთა,
შუქი, მოწყვეტილ ვარსკვლავების შეკრიბე ერთად,
გახდი მიზანი მათი ვარდნის, გახდი კალათა,
რომელსაც ავსებს სინათლის და ხილვების ელდა.

თუ კი არ მოგხვდა ვარსკვლავეთი, ვაი, თუ აგცდა
ცეცხლმოდებული მისი მტვერი კომეტარული,
ვერ მოგწვდა ზეცა, როგორც ფიქრი, აზრი და განცდა,
მოგწვდება ძილი უსიცოცხლო და ლეტალური.

რა არის სული პოეზიის, რომელიც ქრება,
თუ არა ჩვენში ჩამოცვენილ ვარსკვლავთა კრება.

გიორგი ლობჟანიძე

* * *

დიდი ხანია განიავდა კალოზე ბრელო,
ვსვამ გიორგობის სადღეგრძელოს
თლილი ჭიქიდან,
ტყე შეიშალა,
გადაიცვა სამოსი ჭრელი,
ყელზეც კუნელის ცელქი მძივი ჩამოიკიდა.
ყინვით გადამზრალ ბალახებზე
კიაფობს თრთვილი,
როგორც კურცხალი ქალის,
ქმრისგან ნაღალატევის,
თავში რომ ფიქრი ულანლაწებს
ისე უღონოდ,
თითქოს შარაზე მიდიოდნენ სოფლის ბატები.
ისეთი ცრუა ყველაფერი,
იქნებ აქ დარჩათ
ეშმაკს ფეხები
და მელიებს გრძელი კუდები...
შენ თუ არ მოხვალ,
მოსასვლელი ცოტა აქვს ზამთარს,
ხელებს გავუშლი და
უგონოდ ჩავეხუტები...

* * *

ისე მყიფეა, როგორც სურვილი
სიყვარულის,
მინასავით ხელში მეფშვნება
და მომუჭულ ხელისგულებს მისისხლიანებს...

ნუ გეგონება, პრინცი ვიყო,
არ დაიჯერო!

ისევ ასე ვიყიყინებ
და უარესად...

ოპერაცია

მთელი ცხოვრება ვერ ვხედავდი.
ბრმა დავიბადე.
შავმა ფერმა შემიცვალა
ფერად-ფერადი,
საკუთარ თავში ჩაძირული
წყვდიადს ვეწვნოდი
და იქიდან ამომქონდა ყველა ფერი
წარმოსახვაში,
რომელებიც გარეთ არსებულ და
მზის სინათლეზე მბრჭყვინავ ფერებს
არ ემთხვეოდნენ.
თვალები შიგნით, გულში მქონდა ჩახორცებული
სიხარულის თუ ნაღველისას,
როგორც უფსკრულში ვარსკვლავები
იქ ცვიოდნენ
თავგამეტებით.
მე ვერ გხედავდით,
მაგრამ გგრძნობდით
როგორც ნადირი,
სუნით,
ფაჩუნით,
მიხვრა-მოხვრით
და გენდობოდით
და მინდოდა,
რომ დამენახეთ.

საშინლად მახსოვს ის ნანატრი ოპერაცია,
როცა თვალები გულის კუნთიდან ამომკვეთეს,
ქუთუთოებში გადამინერგეს
და მომიმარჯვეს ყველა ფერის დასანახვად.
რა თქმა უნდა, არავისაც არ უკითხავს,
თუ ემთხვეოდა ჩემი ფერები
გარეთა ფერებს.
ყველა ფერი უპირობოდ უნდა მიმეღო,
რაღაცნაირად განწირულად,
უშეღავათოდ...
მაგრამ ამაზე მაშინ სულაც არ მიფიქრია.
სიხარულისგან ატაცებულს
თავბრუს მახვევდა
ეს ქვეყანა — პირველნანახი,
ჯერ მზე, ცა და მზისქვეშეთი მოვისურვილე,
მერე მეტროში ჩავედი და შინისაკენ
გზას დავადექი.

ვაგონში ბევრი ხალხი იყო
და ის ბიჭი
ჭუჭყიანი, თმაგაჩეჩილი,
ვიღაცას გვერდით ამოუდგა
და კოსტუმის შიდა ჯიბიდან
ტყავის საფულე ოსტატურად ამოაცალა.
ჩემ გარდა იგი არავისაც არ დაუნახავს,
იმანაც მიგრძნო
ზურგით,
ფრთხილად შემოტრიალდა
დიდხანს მზვერავდა,
მერე ჩუმად, ულვაშებში ჩაიღიმა
და უსიტყვო გაგების ნიშნად,
ჩამიკრა თვალი...

* * *

ჩვენს აივანზე ისე ხარობენ
და ჭიკჭიკებენ მერცხლის გუნდები,
თითქოს ატოცში ღამე ვათიეთ
და ახლა ყველა სახლში ვბრუნდებით;
თითქოს ახსნია ამ სახლს ყოველი
ჩაჟანგებული ბოქლომ-საკეტი,
და შენც აქა ხარ,
კვლავ ძველებურად
გიხდება შენი თეთრი ჟაკეტი,
რომელიც ისე ფრთხილად გაცვია,
თითქოს სუყველას გვებოდიშები,
რომ ერთხელ რაღაც შენთვის იყიდე,
გარეთ ხეები დგანან შიშველი
და შენც მათსავით გამხდარს და დაღლილს
შარშანწინდელი ბუდეებივით
შეგიდგამს მხრებზე პატარა სახლი,
სადაც ექვსივე და-ძმა შინა ვართ —
ჩვენი სამყოფი დარდით, ფიქრებით,
ნურსად გაგვიშვებ, დედა, ასეთი
ბედნიერები ვერსად ვიქნებით.

ყველაზე მარტივი წინასაახალწლო ლოცვა

ნაძვის წვერზე
ჩემი გირჩა
თავს ვერ იჭერს თურმე
ყინჩად,
რაღა მომკლავს,
ღმერთო, თუკი
მე ეს გირჩი გადამირჩა...

აღარ ვიცი ლოცვა, მაგრამ
თუ ოდესმე მილოცია,
გევედრები, შემეწიე,
ააცილე ყველა ხინჯი,
ნაძვის ტოტზე
აქანავე
ჩემი საყვარელი გირჩი...

იობის სახარება

ეს ზღაპარი ჩემი შვილისთვის უნდა მეამბო
და ზღაპარი სიზმრად იქცა,
ყელზე თოკად შემომეხვია,
თავისაკენ გამიწია
გულჩახურული....

ღამის ვენახის შუაში ვდგავართ,
ბელტებივით გვაყრია თავზე
შავი მტევნები....

ჩემი პატარა, მკვდარი შვილი მიჭირავს ხელში,
აღარ ვიცი, საით წავიდე,
სად დავმალო,
რომელ ზღაპარში,
რა უმღერელ იავნანაში....

სიხარულის ნაპერწკალი
მარადიულ ცეცხლად იქცა,
თავის თავში შემითრია,

მანამდე კი ასე ვწერდი გაგიჟებული:

რითი ველარ გამომცადე, შენ თუ არსებობ... თუ ყველაფერი შემთხვევითობის მადლი არ არის? როგორ მოვკლა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაგვარია? რომ ნეკნები სხვანაირად დაულაგდა დედის საშოში... როცა მასთან სხივი აღწევს, ის სახეზე ხელებს იფარებს... ადამიანი კატა არ არის, რომ თავისი ავადმყოფი შვილი შეჭამოს... სულაც პირიქით: უფრო უყვარს, ყველას ჯინაზე... მე ის მიყვარს და მწამს: ორივეს ეს გვეყოფა, რომ მან იცოცხლოს უფრო ზუსტად: მე ვაცოცხლებ — შენ წაიყვანე... ოღონდ მერე ნუ გაიკვირვებ, თუ არ გენდობი...

მე არ ვიცი,
იქნებ ამ სიზმარს
სულ სხვა ცხადში უდგას ფესვები,
საიდანაც ნდობა საზრდოობს...

მასალა თან გაქვს? —
მეკითხება პათანატომი...

ეს მასალა
ჩემი შვილია,
რომელიც აქ ვერ დაიბადა
და ამაშიც კი ვერ ენდობიან,
თუ არ გაკვეთეს
იმისათვის,
რომ სიკვდილი დაუდასტურონ...

წვერიანი ქალი არის პათანატომი,
უკვე მოხუცი
და ეტყობა, რომ ღმერთი არ სწამს...
არც სახარება წაუკითხავს,
მითუფრო, არც იობის წიგნი,
სადაც ღმერთი დამდგარა და
ხმელ ფოთოლს ებრძვის...

მეგობარი კი, ვისაც ყველაზე მეტად ვენდობი,
მეუბნება:
როგორ გითხრა, მაგრამ ის, რაც შენ დაგემართა,
უბედურებას არაფრით არ ჰგავს! –
ზუსტად ვიცი,
რასაც გულისხმობს...

მაგრამ ჩემთვის სახარება
შობით იწყება,
სახარება მკვდრადშობილთა წიგნი არ არის
და იქ შვილი არ ისჯება
მამის ცოდვისთვის...

რამდენ ვინმეს ექცა ცოდვად სხვანაირობა...
უპატიებელ შეცოდებად
და სიცოცხლით ზღო...

შენც გიშვებ, შვილო,
ყველაზე დიდ განსხვავებულთან,
ის ჩაგიხუტებს...

აქ
შრიალებს ხმელი ფოთოლი...

და მისი ხმა ისე მოისმის,
თითქოს ზუზუნით წვერს იპარსავს
პათანატომი....

დასასრული

ყველგან ჭირია: აქაც და იქაც,
და რაც არ უნდა მზეები ხატო,
ვერ გამოცხვება ღვთიური პური
იქ, სადაც ფქვილი ქცეულა ქატოდ...
ველზე ეშვება ღორების კოლტი,
ირგვლივ ყველაფერს მსუნაგად ხაპავს,
დავიწყებია პაპას ზღაპარი
სძინავს და ბოლო არ უჩანს ზღაპარს...
მინდვრის ბოლოს კი ეული ალვა
მაინც შრიალებს — ქარების ურჩი,
თითქოს ცხოვრება, ლექით კი არა,
ქადა-ნაზუქით უვსებდეს ხურჯინს...
და ლხინი აქა და ფქვილი აქა,
თავის ადგილას — ჭირიც და ქატოც...
და შენც არა ხარ ღორების კოლტი,
როცა გინდა, რომ მზეები ხატო...



პაატა შამუგია

საქმიანი პოეტი

მიმოვდივარ ენაში (უვიზოდ),
ვდებ საქმიან კონტრაქტს ზმნებთან და
არსებით სახელებთან,
შორისდებულებს შორის ვდებ ზავს.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვაწარმოებ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს
ბინარულ ოპოზიციებთან,
ზმნისწინის უკან ვდგები — თავაზიანი ვარ,
მაგრამ წარსულ დროს ზურგს ვაქცევ — თავხედი!
ფუძეს ვუსინჯავ საკუთარ თავს — მყარად უნდა ვიდგე.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვხვეწ ურთიერთობის ფორმებს — ფორმაში ვარ.
ვაწესრიგებ ჩემი სხეულის
ჩამოქცეულ ინფრასტრუქტურას — დავრბივარ.
განტვირთვის მიზნით, პირველსავე შემხვედრ გოგოში
ვდებ ჰორმონების ინვესტიციას — ოჰო!
არაფერი პირადი, მხოლოდ ლექსი.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ის, ვინც წლობით ცხოვრობდა მზა პასუხების ციხეში,
ყველა ამნისტიით გამოვუშვი.
დროა, ყველას მოგვესაჯოს მშვიდობა!
დროა, ყველას მოგვესაჯოს სიყვარული!
ახია ჩვენზე!
ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმან გატაცებებს!
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვცდილობ აღმოვფხვრა სეპარატიზმი —
გაუცხოება ენას (ანუ სახელმწიფოს)
და ადამიანს (ანუ ადამიანს) შორის.
ის, ვინც ლაპარაკობს, ყოველთვის ტყუის.
ვინც წერს, მას კი მუდამ ამჟღავნებს
ის, რასაც წერისას ტყუის.
ჩემი ტყუილი საშუალოა,
ჩემი ლექსები — უშუალო.

მე საქმიანი პოეტი ვარ.

გენიოსი*

დღეს დილით, როცა შფოთიანი სიზმრების შემდეგ,
გამოვიღვიძე,
აღმოვაჩინე, რომ საშინელ გენიოსად ვქცეულვარ.
ფსიქოლოგიურად ამისთვის ყოველთვის მზად ვიყავი,
მაგრამ მაინც გადავამოწმე:
სარკეში ჩავიხედე და ჰაბიტუსი შევითვალიერე,
წყალი არ გაუვა, გენიოსი ვარ.
მხრებშიც კი მოვხრილვარ,
როგორც პატიოსან ტიტანს შეჰფერის,
აღარაფერს ვამბობ აწეულ მარცხენა წარბზე.
გავდივარ ქუჩაში
და ჩემზე შეყვარებული გოგოების ურდოებს
მუჯლუგუნით ვიგერიებ,
ღმერთო ჩემო, მაინც რამდენნი არიან,
მაინც რა რთულია ცხოვრება,
როგორ უნდა გაუძლო ამდენ სიყვარულს!
პრეზიდენტის ესკორტი ჩერდება,
გადმოდის ქვეყნის პირველი პირი
და მეც სულ პირველ პირზე კოცნით ვხვდები,
ის, თავის მხრივ, გენიოსურ ხელზე მკოცნის,
დაჩოქებას არ ვანებებ, მე თავმდაბალი გენიოსი ვარ.
მლოცავს პატრიარქი, პაატა ბურჭულაძე კი
სახელდახელოდ შექმნილ ჩემს ხატს
ვერტმფრენით დაატარებს.
ქალები ჩემს სურათს ლიფქვეშ მალავენ.
რა მაქვს საწუწუნო.
მართალია, ანგელოზის გარეგნობა არ მაქვს,
და საერთოდაც, არჩევა რომ შემეძლოს,
უფრო მოხდენილ სხეულს ავირჩევდი,
დაკუნთულს და მუქკანიანს,
და ჩემი ცხვირიც, რომელიც ასე უზარმაზარია
და რომელზეც, პრაქტიკულად, მთელი ქართული
გენეტიკური კოდი განისვენებს,
უფრო მოკლე იქნებოდა, აპრეხილი, დონჟუანისებრი.
მაგრამ რაც არის, ეგ არის.
მე მხოლოდ გენიოსი ვარ
და ამასაც უნდა დავჯერდე.

* * *

თვალცრემლიანმა დაჭრილმა სირიელმა ბიჭუნამ ამოიტირა: „ყველა თქვენგანს ვუჩივლებ ღმერთთან, ყველაფერს მოვუყვები“. ამ სიტყვებმა არა მარტო საავადმყოფოს მედპერსონალზე იმოქმედა, არამედ მთელი მსოფლიო შეძრა.

როგორც ამბობენ, ბავშვი გადაარჩინეს ექიმებმა. მისი სიტყვები დაუვიწყარია და შემაძრწუნებელი — ომის ავტორებისთვის კი წყევლასავით უნდა ისმოდეს.

* * *

ჩვენი ცხოვრება, სხვა ყველაფერთან ერთად, ძირითადად, სიმულაციათა ჯამია.

ყოველთვის მახსენდება: მე ვიცი, რა იმალება ადამიანში... და ფსალმუნი 115.

1. მრწმენა მე, რომლისთვისცა ვიტყოდი; ხოლო მე დავმდაბლდი ფრიად.

2. და ვჰსთქუა განკვირნებასა ჩემსა, რამეთუ: ყოველი კაცი ცრუ არს.

ასე რომ, სიმულაცია და სიმულაკრები ადამიანური ცხოვრების თანმდევია დასაბამიდან დღემდე, ურომლისოდაც ცხოვრება არ არსებობს და თუ არსებობს მხოლოდ პირობითად. თანამედროვე კულტუროლოგების ამ თემით დაინტერესება განაპირობა სიმულაციის მასშტაბებმა პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ადამიანის ყოველდღიურ ყოფასა და კულტურაში („კულტურა ხმაურია“ — პოლსონი), რომელიც ხმაურზეა მიბმული. ზედაპირული ბრჭყვიალება გაბატონდა და სიღრმის გადაფარვას, ამოვსებას პიარტექნოლოგია არეგულირებს „წარმატებით“!

„ღმერთისგან წარმოშობილი ადგილი“...

„ღმერთი გეომეტრიული ფიგურაა, რომლის ცენტრი ყველგანაა, გარშემოწერილობა კი არსად“. ასე ამბობდა ემერსონი და წმინდა ავგუსტინეს მოსაზრებას იმეორებდა. ამავე საკითხზე წამიკითხავს პასკალის მოსაზრება, მოგვიანებით კი ბორხესის ესეიში წავაწყდი იმავე კონტექსტს და ციტირებას. იუნგი ამ თემის განზოგადებისა და გაშლის შემდეგ გადადის ყველასთვის საინტერესო პარალელზე, როცა დედამიწის ცენტრის შემდეგ აღნიშნავს ადამიანის სხეულის ცენტრს. თუმცა ჩვენ ვერ ვიგებთ ადამიანის ცენტრის გარშემოწერილობაც უცნობია თუ არა!

ყოველ სხეულში არსებობს ცენტრი ან ადგილი. შესაბამისად, თესლ-ჩანასახის ადგილსამყოფელი. ეს ადგილი არის punctum divinitus ortum (ადგილი, რომელიც ღმერთისგან წარმოიშობა). იუნგი, „ფსიქოლოგია და რელიგია“. გვ. 83.

* * *

ჩემი პერსონაჟის ტრაგი-კომიკური ფრაზა: ისე ვარ, როგორც გუსტავ მალერის მეხუთე სიმფონიის ადაჯოს ბოლო ბგერა ფერმატოს გაწყვეტის მოლოდინში, ესე იგი, დირიჟორის ხელის შემყურე!

* * *

ვისაც ორტეგა ი გასეტის „მასების ამბოხი“ ახსოვს, დამეთანხმება, თანდათან მასკულტურა რომ იმკვიდრებს მისთვის მოხერხებულ ხალხოსნურ ნიშას ჩვენშიც — და ეს ადამიანები, ასე რომ ერთგულებენ ზერელე რიტორიკას, ემორჩილებიან ქება-დიდების ეიფორიას, მგზნებარე შეძახილებს — საკუთარ ხიბლში ტივტივებენ და რასაც ისინი ქმნიან, მხოლოდ თავის მოსატყუებლად გამოდგება. ეს ტრაგიკომიკური, თეატრალიზებული წარმოდგენა მხოლოდ სადღეგრძელოებით და ჰიპერბოლიზებული დითირამბებით არის გაჯერებული, თან დიდი კვლევა არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ რასაც ამბობენ, თვითონაც არ სჯერათ, მაგრამ ფიქცია მაინც ინერციისკენ უბიძგებს. ინერციაც პირობითია, როგორც გაჩერებული ავტომობილი, რომელსაც მხოლოდ იმიტომ არყევენ, ვიღაც რომ დაარწმუნონ ცრუ კადრით, მანქანა ნამდვილად მიდის. ეს ყოველივე ჩემში ტოვებს სიბრალულის განცდას იმათ მიმართ, ვინც საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ სიყალბისთვის!

* * *

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ცინიზმი, მეტადრე უინტელექტო, ესე იგი, გოიმური, სულიერ უძლურებაში იბადება და ნეგატიური ენერგიით საზრდოობს! ესენი ყოველთვის ქირქილებენ, ლხინსა თუ ჭირში, ზეიმზე და მაშინაც კი, როცა სარეცელს იყოფენ გულისწორთან! თუ რამეს ეტყვი, ნაღვლიან ნიღაბს მოირგებენ და პირჯვარს გადაისახავენ ან თავის მართლებას მოჰყვებიან აგრესიულად. ესაა მათი საერთო, განზოგადებული პორტრეტი.

ცინიზმი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ პიტალო უნიჭობას შეებით და სხვა გზა არ გრჩებათ, მაგრამ გირჩევთ, ასეთებს პაექრობაში არ აჰყვეთ. რა აზრი აქვს წყლის ნაყვას?

* * *

„ღვინოს ვსვამ, დუდუკს ვაკვნესებ,
ქალებო, გენაცვალები!..“

ამ სიმღერის პრიმიტიული მელოდიითა და შინაარსით გაჯერებულია მისი ცხოვრება და ფილოსოფიური დოქტრინის „ჰარი-ჰარალიზმის“ ერთგულებას მთლიანად უძღვნის თავის სიცოცხლეს, როცა დუდუკს ხელახლა ჩაბერავს და მანამდე აკვნესებს, ვიდრე თვალზე ცრემლი არ აუციაგდება და სიმღერისას ხმა არ გაებზარება. იმ ხმაში გაჩენილ ბზარშია ჩაბუდებული მთელი მისი გაუქარვებელი დარდები და აუსრულებელი სურვილები. მოძღვარს კი აუჩემებია: სურვილების დევნას თუ თავს არ დაანებებ, საერთოდ გაქრები, ისედაც მოწუწნულ კანფეტს ჰგავხარო.

შოპენის მეოთხე პრელუდია

შოპენის მეოთხე პრელუდია ყველაზე მცირე ხანგრძლივობის ნაწარმოებია მის შემოქმედებაში და თითქმის ორ წუთს გრძელდება, არასრულ ორ წუთს. ამ თითქმის ორი წუთის არაჩვეულებრივი დინამიკა გვირგვინდება ასევე არაჩვეულებრივი ფინალით და საფინალო აკორდებს შორის ხაზგასმული პაუზით; მოკლედ, შოპენმა თითქმის ორი წუთი ისე გენიალურად აღავსო მშვენიერებით, რომ შეყოვნებული ფინალისთვისაც საკმაო დრო დაიტოვა და გამეორებულ პაუზებს თავისუფლად სუნთქვის სრული საშუალება უბოძა, რამაც განაპირობა ამ მინიმალისტური პრელუდიის ბუნებრივი სისრულე.

* * *

პრემია ნდომიაშვილი — ძალიან ნდომიაშვილი!!!

ადამიანურობის დეგრადაცია

ყოველთვის მიუღებელი იყო ჩემთვის პლებეური აღზევება და მათი გემოვნების, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, „გოიმოვნების“ დამკვიდრება, მაგრამ ამ უარყოფით მოვლენას მრავალჯერ აღემატება კაცთმოძულნეთა ზიზღში აღმოცენებული ქედმაღლობა და დამცინავი დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრის მიმართ, ვინც კი მათი მთლიანობის ნაწილი არაა. ადამიანებს შორის **გაფეტიშებული** პარტიული დისციპლინა სრულიად აკნინებს და კლავს ადამიანს, მის ნაცვლად კი აყალიბებს პარტიული ნიშნით შესაშური ორგანიზებულობით გამორჩეულ მანქანას, რომლის ცხოვრების წესი არაადამიანურობით, ხელოვნურად გაფეტიშებული მომავლით, **ფაშიზაციით** გამოირჩევა, იმ მომავლით, რომლის დასამკვიდრებლადაც აუცილებელია ფეოდალური მენტალიტეტის ქართველების „გზიდან ჩამოცილება“, რადგან მათი გარდაქმნა შეუძლებელია, ესე იგი, უნდა მოვიშოროთ. ეს აუცილებლობა გამოსჭვივის მათი იდეოლოგიიდან და საქმიანობიდან. ასეთი, სხვათა, თუნდაც მოწინააღმდეგეთა ზიზღით შეპყრობილი ტიპები ვერ წყდებიან არადამიანურობის პათოლოგიურ ინერციას და სწრაფად დეგრადირდებიან! დეგრადაციის გამომწვევი მიზეზია ჰიპერბოლიზებული სიძულვილი, სიძულვილი იმ პერსონებით საზრდოობს, ვის სულსაც გამუდმებით ხრავს!

იგი თავის დამარცხებას ფეოდალური მენტალიტეტის საქართველოს აბრალებს, რომლის ამოძირკვა ვერ შეძლო, მაგრამ, როგორც ჩანს, მომავალში კვლავ შეეცდება, ცხადია, თუ მიეცა ამის საშუალება!

დათვური ინსტინქტის ერთგული

24 ოქტომბერს სოჭში, „ვალდაის“ კლუბში სიტყვით გამოსვლისას, პუტინმა თქვა:

„რაც იუპიტერისთვის არის დაშვებული, დაუშვებელია ხარისთვის“; „დათვი ნებართვას არავისგან აიღებს“, „დათვი ტაიგას არავის მისცემს“.

პუტინის თქმით, მან გაიხსენა ის გამონათქვამები, რომლებიც „ძველებს“ ეკუთვნით. „ამის მიუხედავად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ასეთ ფორმულირებებს. შეიძლება ხარისთვის რაღაც დაუშვებელია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ დათვიც არავის არაფერს დაეკითხება. საერთოდაც, დათვი ჩვენთან ტაიგის პატრონად მიიჩნევა და ვიცი, რომ მისთვის არ არის ხელსაყრელი სხვა კლიმატურ ზონაში ყოფნა. ის ტაიგას არავის დაუთმობს. ვფიქრობ, ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს“...

პუტინი აღიარებს, რომ რუსეთი დათვია. რადგან დათვია, ესე იგი, მტაცებელი ცხოველია და ცხადია, ცხოველური ინსტინქტებით ხელმძღვანელობს და რასაც უნდა იმას მიიტაცებს. გასაგებად თქვა, რომ მკიდია მთელი მსოფლიო და ყველა, მე ვარ ალფა და ომეგა მსოფლიოშიო! ეს ტექსტი რომ წავიკითხე, გავიფიქრე, რას იტყოდა ვლადიმირ სოლოვიოვი ამ უინტელექტო, პროფესიით მავნებელ და უმასშტაბო პრეზიდენტზე?! მისი იმპერიის მასშტაბს კი არა და მისი აზროვნების უხამს, სალდაფონურ, დაშტამპულ კლიშეებს ვგულისხმობ. სოლოვიოვი ასეთ ტიპებს მოძღვრავდა, რომ მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს რუსეთს. მოდი ახლა და აგრესიულ დათვს ქრისტიანული სიყვარული უქადაგე. ვლადიმირ სოლოვიოვს რუსულმა ინტელიგენციამ არ მოუსმინა და პუტინი მოუსმენს?! პუტინს გაგონილიც არ ექნება, ვლადიმირ სოლოვიოვი ვინ იყო! მისი სიყვარული ბირთვულ იარაღშია და მთელ მსოფლიოს აშანტაჟებს და ამით მანიპულირებს. შეიძლება ითქვას, რომ პუტინმა გაშიშვლება ამჯობინა საეჭვო შენიღბულობას და პირდაპირ გამოუცხადა მსოფლიოს — რასაც მინდა, იმას ჩავიდენ!

ეს თარიღი და პუტინის ეს სიტყვები საგანგებოდ ჩავიწერე, რადგან ეს განცხადება განსაზღვრავს მსოფლიოს, უპირველესად, რუსეთის შესაბამის მომავალს. ჩვენც აქვე ვართ, დათვური კომპლექსებით მუდამ ჩაფიქრებულები. აქ უკვე დიპლომატიური მოძრაობისას იუველირის სიზუსტეა საჭირო, რადგან არც პასიურობა და არც ზედმეტი აქტიურობა არ გამოდგება. თუმცა, რუსეთი საერთოდ ვინმეს, მეტადრე ყოფილ კოლონიებს როდის უსმენდა? ის მხოლოდ საკუთარ სიხარბეს აყურადებს და იმავე დინებაში ცდილობს შესვლას.

გოდერძი ჩოხელის გახსენება

ერთხელ გოდერძი „მერანში“ მესტუმრა. ნასვამი იყო და რესტორანში მეპატიჟებოდა. საქმე მქონდა და ვერ მოვიცალე, ვერ წავყევი. გამინაწყენდა და მალე წავიდა. მისი წასვლის მერე, მოგვიანებით, მაგიდაზე ვიპოვე გაზეთში გახვეული ჩემთვის გაუგებარი შეკვრა, მდივანს გადავეცი და სეიფში შევანახინე. გავიდა რამდენიმე დღე და გოდერძი მოვიდა დანაღვლიანებული. რა მოგვიდა, გოდერძი, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის-მეთქი? აბა, როგორ ვიქნები, ფული დავკარგე, სადმე დამრჩა თუ დავკარგე, არ ვიცი! ვიგუმანე, რომ გაზეთში გახვეული უცხო რამ, სეიფში რომ შევანახინე მდივანს, ალბათ ის ფული იყო, გოდერძის რომ დაეკარგა. ვიდრე მდივანი გაზეთში გახვეულ შეკვრას მოიტანდა, გოდერძის ვამხნევებდი — თუ აქ დაგრჩა, არ დაგეკარგება და თუ სხვაგან, აბა, რა ვიცი! შემოვიდა მდივანი, შემოჰყვა ბუღალტერი, გადასცეს გოდერძის მოზრდილი შეკვრა გაზეთში გახვეული და თვალი შევავლე გოდერძის და დავინახე, როგორ გაუნათდა სახე, ჩაბჟუტულ ლამპას რომ ფითილს აუწევენ, ზუსტად ისე! გახსნა შეკვრა და გოდერძის ჰონორარი იქ აღმოჩნდა. გაიხარა, მაგრამ რა გაიხარა, გასწორდა, გაიმართა, გაბრწყინდა, ალაპარაკდა, მადლობას უხდიდა ყველას, ვინც იქ იყო და ისევ რესტორანში მპატიჟებდა. ახლა ვდარდობ, რომ მაშინაც არ წავყევი, მაგრამ აბა, რა ვიცოდი, რა შეიძლება მომხდარიყო მომავალში?! გოდერძი რამდენჯერაც შემხვდებოდა, იმდენჯერ იქადნიდა, შენი ბიჭი უნდა გადავიღოო ფილმში. არ დასცალდა. გოდერძი თედო ბექიშვილის ახლო მეგობარი იყო და ჩემთანაც მეგობრობდა. როცა „ცისკარში“ ვმუშაობდი, ხშირად მოინახულებდა-ხოლმე უფროს მეგობარს — თედოს და მერე მეც მომიკითხავდა. ეს ამბავი არავისთვის მომიყოლია, წერილობით თორემ, ისე საუბარში ბევრჯერ გამიხსენებია. გოდერძი ჩოხელის დასახასიათებლად საკმარისია, აღვნიშნოთ მისი ბუნებრივი სიწრფელე, უაღრესად გამჭვირვალე გული და უმწიკვლო სინდისი. მისი ნიჭის სათავეც ეგ არის— ეს მისი ნაწერებიდანაც კარგად ჩანს, გაანათლოს ღმერთმა! მისი რომანი „მგელი“ — „მერანში“ რომ ვმუშაობდი, მაშინ გამოიცა.

ერთი ძველი ლექსის ქვეტექსტი

ეს ლექსი არ შემიტანია ახალ რჩეულში. დღეს ერთმა ახალგაზრდა მკითხველმა შემახსენა და მეც აღვიდგინე ის კონცეპტი, რაც ამ იგავურ ლექსში არც ისე ღრმადაა შემალული და კონტექსტი იოლად იკითხება.

გამოვყოფ ერთ აბზაცს, რამაც გამიახლა ამ ლექსზე შეხედულება და თავისუფლების თემაზე მკაფიო აზრი გამოიკვეთა: „ნიღბების ფასად მე მოვიპოვე ერთი ღამის თავისუფლება, თუმც სიბეჩავეს მიჩვეულმა აღარც კი ვიცი, რა თავში ვიხლი ამოდენა თავისუფლებას?!“

დამოუკიდებლობის მოპოვების მერე აღმოჩნდა, რომ ჩვენ მართლა ვერაფერი გავუგეთ თავისუფლებას და ისევ იმ მონობის უღელქვეშ დავრჩით, ურომლისოდაც ცხოვრება გაგვიჭირდა. ეს ძალზე ტევადი თემაა და შემოვიფარგლე ლაკონური მოსაზრებით, რაც ამ ლექსში — „კლოუნი“

— აღიბეჭდა ჯერ კიდევ 1977 წელს („ლექსები. პოემა“ — „მერანი“), როცა ამ თემაზე კულუარებში თუ საუბრობდნენ და სხვაგან არსად; აბა, საჯაროდ ვინ გაბედავდა ამის თქმას?!

სამწუხაროდ, დღესაც იმავე პრობლემას ვაწყდებით და ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ ინერციით განაგრძობს ცხოვრებას, ისე, რომ რას ნიშნავს თავისუფლება, წარმოდგენაც არ აქვთ, სამწუხაროდ.

* * *

ლიტცხოვრებაში რაც ხდება, ბევრი რამ ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, გამონაკლისების გარდა. ყურადღებას ვამახვილებ იმ სიახლეზე, სხვისთვის რომ რატომღაც არ ჩანს, მაგრამ უხილავივით არსებობს მანამ, ვიდრე ვინმე აღმოაჩენს!

განმარტოებისკენ ასეთმა მისწრაფებამ შესაძლოა, მარგინალად მაქციოს, თუ უკვე არ ვარ, მაგრამ ვერ ვიდარდებ ვერც ამაზე, რადგან ვხედავ მავანთა შეუძლებლობას, ანუ შესაძლებლობას და მათ ღიმილისმომგვრელ, უარგუმენტო თავდაჯერებულობას!

* * *

როცა პოეზია ტოვებს ადამიანებს... მხოლოდ ლექსებს არ ვგულისხმობ, რადგან ლექსი ყოველთვის არ უდრის პოეზიას: პოეზია ხომ ჩვენს არსებობაში მოიპოვება, როგორც უძვირფასესი მადანი და მას იშვიათად და ცოტანი აგნებენ, ხოლო პოეზიის უკანა პლანზე გადატანა იმას ნიშნავს, რომ იგი (მავანი) სულიერად დაკნინდა, ნირი შეიცვალა და დათმო ის, რასაც „ეყუდნოდა“! უფრო სწორად რომ ვთქვათ, თანდათან, ნელ-ნელა, შეაჩვიეს და დაუმალეს არსობის არსი, დაათმობინეს და ახლა უაზროდ დაყანტალობს წინ და უკან და უმუშევარს, მოცალეობით მოყირჭებულს, მშიერი და უაზრო თავისუფალი დრო რომ უპირებს გასრესვას, დროდადრო თუ წამოაგონდება ადრინდელი სკოლის პროგრამიდან „ვაჰ, სოფელო“ ან „ვაჰ, დრონი, დრონი“ და ესეც მაშინ, თუ სადმე მოახერხა და გადაკრა თავისუფლების ორიოდ ყლუპი.

ახლები აღარ აციტირებენ ქართულ კლასიკას უბრალო მიზეზის გამო, ზეპირად თითქმის აღარაფერს ასწავლიან და რა უნდა აციტირონ? თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც არის საინტერესო გამონათებები, მაგრამ ამ ტექსტებს სკოლაში არ აჭაჭანებენ „კვალიფიციური“ შემდგენლები. ასე იქცა სახელმწიფო ენა მხოლოდ საპარლამენტო სხდომების და საკანცელარიო დოკმენტების ენად და საერთოდ, ვინმე მიიჩნევს, რომ მწერლობა სახელმწიფო ენის ნაწილია?! ასე რომ ფიქრობდნენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამის ფაკულტეტებზე მაინც შეიტანდნენ პროგრამებში ზოგიერთ ღირებულ მხატვრულ ტექსტს, რომელსაც თავისი ასპარეზი უნდა ჰქონდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. რადგან საბაზრო თვითდინებას და არაკვალიფიციურ, უგემოვნო შემდგენლებს მივანდეთ სასკოლო სახლმძღვანელოების შედგენა, ყოველგვარი შეფასებისა და შესწავლის გარეშე, სწორედ ამიტომ სავალალოა შედეგი, რომლის გამოსწორებასაც, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს.

* * *

სულ რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი ამ ყაიდის, ამ სტილისტიკის, როგორიც არის „საით მიხვალ, შემოდგომავ“. ახლა რომ დავათვალიერე შემაჯამებელი კრებული, არ გამიკვირდა იქ რომ ვერ აღმოვაჩინე, რადგან მივხვდი, შეგნებულად არ შევიტანე. ალბათ ეს იმ ინერციის ბრალია, რომელიც წარსულში გაბატონებული იყო ჩვენში და ახლაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მკითხველთა საგრძნობი ნაწილი. იმპულსების გარეშე, ცხადია არ არსებობს პოეზია, მაგრამ მხოლოდ იმპულსები არ არის საკმარისი ისეთი პოეზიის შესაქმნელად, როგორსაც მე ვგულისხმობ და ვაფასებ. გუშინ ერთმა ჩემმა კოლეგამ საუბრისას აღნიშნა, რომ პროზაიკოსს უფრო სჭირდება ინტელექტი, ვიდრე პოეტს. მისი აზრით, უინტელექტო პოეტს უფრო შეუძლია, მნიშვნელოვანი პოეზია შექმნას, ვიდრე წიგნიერს. საუბარი ისე დავასრულეთ, რომ ამ საჭოჭმანო თემაზე ხმა არ ამომიღია და გულში ხინჯად დამრჩა. ყველა უაღრესად მნიშვნელოვანი პოეტი, არ ჩამოვთვლი, რადგან ჩამოუთვლელადაც ნათელია, კლასიკიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე — დიდი ინტელექტით გამოირჩევა. როცა ვამბობ ინტელექტს, არ ვგულისხმობ შარადებს, რებუსებს, ხელოვნურ სირთულეებს, სხვა გაუკუღმართებულ აზროვნებას. მე მხედველობაში მაქვს სული გონიერი, რომლის გამოგონება და ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. რაც შეეხება ჩემი კოლეგის აზრს, რომ პოეტს ინტელექტი არ სჭირდება და პირიქით, რაც უფრო უინტელექტოა, უფრო უკეთეს „რამეებს“ პოულობს და წერს, ეს სტერეოტიპური შეხედულება ლამის ჭეშმარიტებად მონათლეს ჩვენში, რადგან უწიგნურობა იქცა იმ სივრცედ, სადაც მხოლოდ ინსტინქტები მართავენ და ქმნიან „მხატვრულ სინამდვილეს“. ეს „ჭეშმარიტებაა“ დღეს ჩვენში გაბატონებული და შედეგიც შესაბამისი გვაქვს. აი, რა ამკვიდრებს ინფანტილურ და ბანალურ ტექსტებს, რაზეც ცრემლს აღვარღვარებენ „ტიპები“. დავუბრუნდები თავდაპირველ საკითხს: ინსტინქტის გარეშე არაფერი ჩნდება, არაფერი იწყება, არაფერი იქმნება. სიყვარულში უმთავრესი საწყისი ძალა ინსტიქტია, ეროსის გაჩენილი უმთავრესი ცეცხლია, მაგრამ მხოლოდ იმპულსებზე აგებული პოეზია, სადაც „სული გონიერი“ „თვითტკბობის ანესთეზიით“ გათიშულია, ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა. მიუხედავად ჩემი მიკერძოებული შეხედულებისა, ობიექტურად ვიტყვი, რომ ეს ლექსი „საით მიხვალ, შემოდგომავ“ — მაინც უნდა შემეტანა კრებულში, როგორც განვლილი შემოქმედების ერთ-ერთი ილუსტრაცია.

ხუთცოლგამონაცვალი

თუ მუშტარი გამოუჩნდა, მოურიგდება და სხეულიდან ჩამოიჭრის სასურველ ნაწილს და მიჰყიდის! მამამისს ჰგავს, ვირს დაკლავდა და მერე ხორცს, როგორც ძროხისას, ისე ასაღებდა... როდესაც ფული შემოაკლდებოდა, საკუთარ ცოლს აქირავებდა. ქალი აღარ ეწინააღმდეგებოდა, ისე დააჩვია ამ საქმეს, მაგრამ დაუკითხავად რომ შეემჩნია ეშმაკობა, თავს წააცლიდა და რა ექნა საცოდავ ქალს, მიჩვევა სცოდნია ამ საქმესო, გულში გაივლებდა.

ფული აქ უფრო კეთდებაო, გაიფიქრებდა და დედაკაცს უკანალზე ხელს შემოჰკრავდა, რა ხაშლამის ნაჭერივით თამაშობსო, ამოღერღავდა.

მისი სახლის წინ, ფანჯრებთან ჩავლა არ მიყვარდა. ასე მეგონა, მის დანახვაზე ავსულები დამეხვეოდნენ და მოუსვლელში გამაქანებდნენ. ხუთი ცოლი გამოიცვალა. ხუთივე საიქიოში გაისტუმრა.

მეზობლები ჭორაობდნენ — გაქირავებას ვერ უძლებენ, დაუსვენებლად ამუშავებსო. სხვები კი ქმარს, გიორგას აბრალებდნენ, ეგა კლავსო, და საეჭვოდ ათითებდნენ უხერხული ადგილისკენ, სადაც წამოეზრდებოდა ხოლმე ისა... გუგულა კი გულღიადა ხუმრობდა: მე მაგით მკვდარი ქალი ჯერ არ მინახავსო!

მანამ გაგრძელდა ამ თემის საქვეყნოდ განხილვა, რა მიზეზით კვდებოდნენ გიორგას ცოლები, ვიდრე გიორგამ ერთ მშვენიერ დღეს თვითონ არ გაჭიმა ფეხები, ისე რომ, დამტირებელიც არავინ გამოუჩნდა. გასაბანად მისულებს კი ცილობა ჰქონდათ, არა მე გავბან, არა მეო! გუგულა იკრიჭებოდა: მიდით, ნახეთ, ოღონდ იფრთხილეთ, ნანახმა არ მოგკლათო!

* * *

ჭირნახულის აღების რიტუალს განუსაზღვრელი ძალა აქვს; აი, ისეთი, სიტყვებს რომ ქმნის და იმ სიტყვებში ცდილობს ფესვის გადგმას, დაბინავებას, სიცოცხლის გაგრძელებას, არსებობის გაღრმავებას, სადაც, თვალწინ, როგორც გამჭვირვალე მდინარის ფსკერზე ჩანს ბავშვობის ფრაგმენტები და დროდადრო, არც უსაფუძვლოდ გვეეჭვება, ის, რასაც ვხედავთ, ამ ცხოვრებაში იყო თუ წინარე არსებობიდან ხილვებად გადმოგვყვა... ეს უნაპირო წარმოსახვაა თუ რეალური ყოფის ფრაგმენტები, მნიშვნელობით რომ ჩვენს არსებობას მოიცავს და აღემატება ამავე დროს. მოსავლის აღებისას ასეთი განცდა მეუფლებოდა ბავშვობაში და იქ მიბრუნების თუ იმ დროის გამეორების სურვილი ყოველი შემოდგომის მოახლოებისას ცოცხლდება ჩემში და თავისთან მიხმობს.

პურის რიგი

პურის რიგში დგომის რამდენიმე ქრონოლოგია მახსენდება. პირველად პურის რიგში აღმოვჩნდი 50-იანი წლების დასაწყისში. ომი ახალი დამთავრებული იყო და მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდებოდა ხალხი. დიდედას დავყავდი პურის რიგში და ყველაფერს ისე ვიმახსოვრებდი, რომ ის შავ-თეთრი კადრები ჩემშია ჩაბეჭდილი. პურის რიგში ისეთი ზედახორა იმართებოდა, რომ დიდედამ ჩემი წაყვანა გადაიფიქრა და ნავთის რიგში მიმიჩინა ადგილი, რადგან იქ, რატომღაც, უფრო მოწესრიგებული რიგი ჩანდა ყოველთვის. ვიღაცაზე ამბობდნენ, პურის რიგში დაორსულდაო. მაშინ არ მესმოდა სიტყვების მნიშვნელობა და მოგვიანებით კი თვალწინ დამიდგა ეს ბაკხური კადრი.

მეორედ პურის რიგში ამოვყავი თავი სამოციან წლებში, ტალახივით პურს რომ გვაჭმევდა ნიკიტა სერგეევიჩი და ხორბლის მარაგის ნაკლებობას სტალინს აბრალებდა. მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. როგორც ჩანს, ათწლიანი მარაგი ვერ იმყოფინა ხრუშჩოვმა და სტალინის ლანდს შეაწმინდა ხელი. როცა ვამბობ, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ უნივერსიტეტი ერთადერთი იყო და ასე ყოველ მოსახვევში არ ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, ამჟამად, უმაღლესდამთავრებულთა უმრავლესობა უმუშევართა რიგებს ავსებს.

პურის რიგი მთელი თავისი სიდიადით საუკუნის ბოლო ათწლეულის პირველ წლებში აბობოქრდა — დაუვიწყარ 90-იან წლებში, როცა ნანატრ დამოუკიდებლობას ვეზიარეთ და როცა გვეგონა, რომ თავისუფლება თვითონ შობდა ყოველივე სიკეთეს, ხელის და თავის გაუნძრევლად. სამწუხაროდ, ეს ინერცია დღემდე გრძელდება, რადგან ჩვენებურთა დიდმა უმრავლესობამ მიატოვა მიწის დამუშავება და ხელისბიჭობის გზა აირჩია, სხვა ასპარეზი ვერ ჰპოვა სამშობლოში, დათმო მიწათმოქმედების ათასწლეული ტრადიცია და პენჯაბელ ინდოელებს, ლიბოს თანამემამულე ჩინელებს, პაკისტანელ და სპარსელ გლეხებს გადააბარა სადღეგრძელოებში ნალოლიავები სავარგულები.

* * *

ეს ღამეც გადაიფურცლა, ახალი ცა და მიწა ამოიზარდა წყვდიადიდან და სინანულის განცდა ამყვა, არცთუ უმიზეზოდ. ვერ ამოვშალე მეხსიერებიდან ის რესენტიმენტები, რაც ამედევნა საბჭოური ცხოვრებიდან და 90-იანი წლების უმძიმესი და დაუვიწყარი რეალობიდან. უკვე ვგრძნობ, რომ მომიწევს წიგნის „მომავალი წარსული“ შევსება ან საერთოდ უარის თქმა ამ ჩანაფიქრზე. ვიღას აინტერესებს ის განუმეორებელი წლები, დროდადრო გვამებს რომ ამოატივტივებს ხსოვნის ფსკერიდან? ყველას თავის სიმართლე აქვს, არადა სინამდვილე ერთია. გული არ მიმიწევს „მომავალ წარსულს“ რომ მივუბრუნდე და მეხსიერებაში აღდგენილი ახალი დეტალებით შევსებას მივყო ხელი. უმადური და დაუფასებელი საქმეა ან რა აზრი აქვს რეალური პერსონაჟებისა და მათი ოჯახების ხელახალ აფორიაქებას, აწეწვას, ცალკეული ფაქტების გამომზეურებას?! ამ ორჭოფობას თანდათან დავძლევ და ვრცელი სიმშვიდისკენ ავიღებ გეზს ან ვცდუნდები და ისევ მივუბრუნდები ერთხელ წამოწყებულ საქმეს, მიუხედავად არსებული სირთულისა!

* * *

ჩამოვთვლი ხოლმე მხოლოდ ათ ავტორს, რადგან, რომ გავაგრძელო, ველარ გავჩერდები. ეს სია იცვლება გამუდმებით. ამჯერად დღევანდელი განწყობილების მიხედვით დავასახელე ათი წიგნი. ჩემი ჭკუით დავამატებდი მარსელ პრუსტის ერთ ძალიან კარგ წიგნს — „სენტბევის წინააღმდეგ“. ეს წიგნი გახლავთ მწერლური პრინციპულობის მარადიული მაგალითი, როცა პრუსტმა არ აპატია სენტბევს ბალზაკისა და ბოდლერის მიჩუმათება, ანდა მათი მწერლური დონის მნიშვნელობის დაუნახველობა. ვფიქრობ, ჩვენშიც აუცილებელია ანალოგიური წიგნის გამოცემა, მაგრამ ვინ არის დამწერი?! თუ მთაწმინდის პანთეონის ჩაკეტვა-გაღება ასე უპრაგონოდ გაგრძელდა, უახლოეს ხანში ჩვენ შეგვრჩება პანთეონის პაროდია, ეს მაშინ მოხდება, როცა შპს კულტურის პალატის შერჩეული პერსონები „გადაწყვეტენ“ იმ სოფელში წასვლას. ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ სათქმელი დროულად უნდა ითქვას.

ისქესა

იგრძნო, იგუმანა, მოწვა, იაზრა, მიხვდა. სემანტიკური მახვილი სიტყვის ფუძიდან გამომდინარეობს. **ისქესა**, ასე ამბობდნენ გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში, მოგვიანებითაც... ადრე თუ ამბობდნენ, არ ვიცი, არ შევსწრებივარ. დემურიამ **ისქესა** ძაღლები რომ **თირავდნენ** (ესე იგი, უთვალთვალებდნენ) და პარკიდან **იპლეტა** (პლეტი იყიდა, დაითესა, მიიმალა, გაიქცა). არ ვიცი, ეს ჟარგონი შემონახულია თუ არა დღეს; „ვიწრო წრეში“, ალბათ, ისევ არსებობს.

შმონე — ეს სიტყვა ებრაულად ნიშნავს რვას. რვა საათზე ჩხრეკდნენ პატიმრებს ოდესის საპყრობილეში და ებრაული რიცხვითი სახელი „რვა“ იქცა ჩხრეკად. „გაგვშმონეს“, ესე იგი, გაგვჩხრიკეს... „შმონი“ იწყება, ესე იგი, ჩხრეკა იწყება...

ლეხ — ეს სიტყვა ებრაულად ნიშნავს წასვლას. დროზე **წავლეხდეთ** (წავიდეთ) აქედან, თორემ თუ ძაღლებმა გაგვჩითეს, შეიძლება **გაგვშმონონ** (გაგვჩხრიკონ)!

აკა მორჩილაძე

პრუსტიაკი

დასასრული

ცოლსაც უხნიდა, აი, ეს ამასა და ამას ნიშნავსო, ლაშა მესხი კი დაშთა თბილისელად, ოღონდ კი მარტო ბერდებოდა და თუნდაც ექიმი იყო, იმ თავის ექიმობას საკუთარი ჯანმრთელობის გასაკაჟებლად სრულიად არ მოიხმარდა. უკვე მოელია პირველი ქალაქური ინფარქტიც და უცოლშვილოდ შთენილს, რომანებგადახდილს, ჩანს, ბავშვობა უკაკუნებდა ძილღვიძილებში.

„აუ, რა როჟები ჩითავდნენ," ჩაილაპარკა მესხმა, „კაროჩე, კომბრეში დეიდაჩემს ქონდა დიდი სახლი, რა. არდადეგებზე დავყავდით მე და სიმონა. იქ იყო ერთი კაცი, მუსიკის მასწავლებელი. ვენტილი. ჩითავდა ხოლმე ჩვენთან. კაროჩე, აი, იგრაიუჩე გვასწავლიდა დაკვრას. მე ვუმუღამებდი. შვილი ყავდა ლეზბიანკა. მაშინ რას მიხვდები, მერე ვიფიქრე და გადაყვა, ტო, მაგას..."

„იქაც ეგრე იყო, ტო? ნერვიულობდენ?" ხაშის თეფში გაწია მორბელაძემ.

„იქ იყო თუ იყო... ნერვიულობდენ, რა. ეხლაც ნერვიულობენ. პროსტო მღვდლის არ ეშინიათ," აღნიშნა მესხმა, „აუ, მაგარი კაცი იყო. კაროჩე, რაღაც მელოდიებს ამუღამებდა, უკრავდა და არ ჯეროდათ, რო მაგისია. ძაან მაგარი გამოდიოდა. ერთი ტიპი იყო იქ, იმან თქვა, მაგან დაუკრა ერთხელ რაღაცაო და ცოლი იმან მომაყვანინაო. გამახსენაო. ბიჭო, რა სტრანნი ხალხი იყო..."

„ხოო... ჩვენ დაჩაზეც იყო, გარსევანა, წყალი დაქონდა. ირაკლა იშხნელის პაძელნიკი ვიყავიო, ბავშვებს გვაბოლებდა. ქვით მოვკალი სამწყაროს მილიციის უფროსიო... მერე სხვამ გვითხრა, მაგანო, მილიციის უფროსი კი არ მოკლა ქვითო, ცოლი მოკლაო, შეუსწრო მილიციის უფროსთანო..."

„აუ, ამ დილაუთენია რეები გამახსენდა," თავი გააქნია ლაშა მესხმა, „ადე რა, წავიდეთ, ნუღა მაყურებინებ ამ გაციებულ ხაშს."

„პოსლე პარიჟა, ბოდიში," ჯორჯ კარელიასის კოლოფი ჯიბისკენ გააქანა წამომდგარმა მორბელაძემ, „საიდან გამოტყვრა, ვა�ა..."

„არ გამოატყვრინო და არ გამოტყვრება," გაიცინა ლაშა მესხმა და იმან ჩესტერფილდის კოლოფი გააქანა ჯიბეში.

„აუ, რა მეზარება," ამოიოხრა აზნაურიშვილმა მორბელაძემ, როცა ტაქსის კარი გამოაღო მტკვრის პირას, „ეხლა ლევანას ფრაკი და ის ტისონკა."

„არმინდას აჭამე," მანქანის კარი მიუხურა ფრანგმა, „მე რა მენაღვლება, დავიძინებ."

„მისმინე, შენ საიდან იცი არმინდას აჭამე?" გაიკვირვა მორბელაძემ.

„ბებია მყავდა ქართველი, დავაი, წადი," მანქანას ხელი მისცხო ლაშა მესხმა, ინფექციონისტმა.

„უცხოელია?" გაუკვირდა ტაქსის შოფერს, რომელიც გამოდგა ნამდვილი ტაქსის შოფერი და არა ვინმე, ვისაც ძნელბედობამ მიაჩეჩა ხელში საჭე.

„უცხოელი ქართველია," დაეზარა მორბელაძეს.

„ეგენი გვჯობიან ვიდზე," თქვა ტაქსისტმა, „მე რო ვიჯექი, მაშინ ძიმა ლორთქიფანიძე იჯდა. პარიზში იყო დაბადებული. ვიდზე სხვა იყო. ეხლა ის გაგებითაც ძლიერი იყო. ძაან ძლიერი იყო... და ამათ, სხვებს, აქვთ ჩვენი გაგება? აი, ხო მაინც იქაურია. იქ მეტრაკეები, რამე, ბევრი არიან..."

„ეს არ არი მეტრაკე," მიუგო გახალისებულმა აზნაურიშვილმა გიორგი მორბელაძემ, „ატვიჩაი ვარ..."

„აბა, კაცს ქალები უნდა უყვარდეს, აბა, აი, ბიჭს ჩაისვამ, ქუჩაში ნაშას არ უყურებს," უხაროდა მძღოლსაც, „სად მივდივართ, ზოლოტო?" აუ, როდინდელი კაცი იყო.

„არაყიშვილის ქუჩის... ძაღლები," რატომღაც მიამატა მორბელაძემ.

„არაყიშვილის ძაღლობასთან?" ჩაეკითხა შოფერი, „ეგ ხო დაანგრიეს... როგორ გამეხარდა, ერთიც ავიარე და ანგრევენ და აქეთ კაი შავ კასტუმებში ეგეთი გამხდარი ვაკელები დგანან, საროჩკებიც შავი და აჩკები, აი, დრაკულას რო აქ კინოში. დრაკულა ხო იცი, სისხლს რო სვამს, ხან ბებერი როა, ხან ახალგაზრდა. ეწევიან და უყურებენ, როგორ ანგრევს... ისინიც ნაცემები ეყოლებოდათ იქა და უსწორდებოდათ, გაიგე შენა. აი, კაეფობდენ რა."

„ერთხელ ნაცემი მანდ ყველაა... შეშინებული მაინც," მიუგო მორბელაძემ.

„მეცა, მეცა," კიდევ უფრო გაეხარდა ტაქსისტს, „აბა, ნახეს, მეტრასტროელი ვნახეთო, უპატრონოო. ვისაც დილის ვარჯიში უნდოდა, ორი დღე და ღამე ჩემზე ავარჯიშეს... ვფიქრობდი, ხო გამოვალ. მოვალ აფტამატით. სადა თურმე, გავიწყდება. აღარცა ბრაზოფ... ქართველი კაცი საერთოთ მიტევებულია. თუ, რომელია. მპატიებელი, რა..."

პაატა შამუგია

* * *

მე არასოდეს ვყოფილვარ სასტიკი,
უბრალოდ, ყოველთვის გადავურჩი ბედნიერებას,
როცა ღმერთმა მიმატოვა, ათეიზმში გავმაგრდი,
ირონიის ისეთი მაღალი კედელი შემოვიშენე,
ყველაზე ავანტიურისტი ჩიტიც კი ვერ შემოაღწევდა
და დავიწყე სევდის თარგმნა ირონიის ენაზე.

მაგრამ აღმოჩნდა სევდის ლექსიკონში ისეთი სიტყვებიც,
შესატყვისი რომ ვერ ვუპოვნე

და ამ სიტყვებს განძივით ვინახავ.

მოდადაო

გადაივსო ზნეობით ქართული პოეზია,
უმეტესობა მათგანი ცარიელი პოზაა.
მინდა დატეხილი რიტმით მივაღწიო ჰარმონიას,
მაგრამ ვინაიდან მთელს ნაწილით ვერ მოიხელთებ,
რამეს მივაღწიო, არ მგონია.
ისინი, ვინც მორალზე წიკვინებენ, უმეტესობა წაკლაა,
ჩვენზე თითს იშვერენ და ამბობენ,
უნდა ზედ საწოლზე წააკლა.
ვინც ჩვენ ზნეობის და ეთიკის დარაჯები უხვად მოგვისია,
არც ერთი არ ეკუთვნის საკუთარ თავს,
ზოგი მღვდლისაა ან მოგვისაა,
ზოგიც მინისტრის, ზოგიც იმის, ზოგიც ამის
მე კიდე ვმუშაობ, დრო არ მაქვს ორი წამიც,
და როგორც კი მოვიხელთებ, ლექსებს ვწერ ალაგ-ალაგ,
მაგრამ ვხვდები, რომ პოეზიამ ვერაფერიც ვერ დაალაგა,
პირიქით, კარგა ბლომად აურია,
ისმის ქუჩებიდან ხმაური,
ტვინში კი კარავს შლის უხიფათოდ
აზრები მეზოზოური.

ციკლიდან „ეკონომიური ლექსები"

* * *

პირველი მერცხალი
გაზაფხულის იმპორტს ეწევა.
ბითუმად ვიღებ.

რომაელთა მიმართ

ვენიც ვიცი,
ვიდიც ვიცი,
ვიცი ხომ ვიცი და ვიცი.

* * *

ამ
ლექსს
ვერტი-
კალურად
ვწერ,
რომ
გვერდზე
ადგილები
დავტოვო
მერცხლების
ბუდეებისთვის.

* * *

ვაცადე კოღოს ჩემი სისხლით ტკბობა.
დამეუფლა კმაყოფილება —
ბედნიერების ფილიალი.

პოეტის ეპიტაფია

ფრთხილად, ლექსსაშიშია!

* * *

მე ამ ლექსს შიშველი ვწერდი,
ამიტომ მისი წაკითხვისას
ქალიშვილებს ალმური ასდით.

* * *

მინდა დავდგინდე ენაში,
მინდა ყოველმა ჩიტმა და ტოტმა
დაადასტუროს ჩემი ტკივილი

ან სიხარული — მახსოვს, ესეც იყო.

* * *

მე მესმის შენი, როცა მისმენ.

* * *

ხეებსა და ხეებს შორის
გაკიდულია შაშვების სტვენა
და მასზე, როგორც ბეწვის ხიდზე,
გადადიან მეეზოვეები.

* * *

უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი — ყველაფერი.

სევდისა

ადგა და დარდები გამოხშირა,
მხოლოდ საუკეთესოები დაიტოვა – მტკივნეულები.

ვარდისფერი სტალინი**

ვარდისფერი სათვალე
ჩამოვიხსენი
და სტალინის ძეგლს შევხედე.

გაზაფხული***

გაზაფხულდა.
ჩიტები ხეებზე თავს ითაგავენ.

ცუდი ლექსის აპოლოგია

ყოველთვის მსურდა, დამეწერა ცუდი ლექსები,
მაგრამ ეს ისეთ ტიტანურ შრომას მოითხოვს,
იძულებული ვარ, გენიალურ ლექსებს დავჯერდე.

ტანკა ტანკისა და ტანკას შესახებ

დიდ მწერალს — ჯემალ ქარჩხაძეს

ტანკისტმა ლულა შემართა,
ტანკისტმა კი – კალამი.
მაგრამ ყოველთვის ტანკისტი იმარჯვებს.

პოტენციურობა

ეს ლექსი უნდა ყოფილიყო,
მაგრამ სანამ საწერ მაგიდამდე მივბარბაცდი,
გადამავიწყდა.

მამა

ბოლოს ისე გამელოტდა,
ფიქრები მოუჩანდა.

---

*ავტორი პროდუქტიული თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის ფრანც კაფკას, სალვადორ დალის და გალაკტიონს.

**„დაუდგენელმა პირებმა სტალინის ძეგლი კვარცხლბეკიდან ჩამოხსნეს და ვარდისფერი საღებავით შეღებეს." Interpressnews.ge

***ამ ლექსის შექმნისას პროდუქტიული თანამშრომლობისთვის მადლობა მარკ ცუკერბერგს.

ლელა ცუცქირიძე

ამბავი, როგორც ნამდვილი

რაც ტყუილია, ნამდვილია, და პირიქით...

— ყველაფერი დამთავრდა, — თქვა ელისაბედ-ლიმ. ნაქირავებ, შოკოლადის კოლოფივით პატარა ბინაში იჯდა და საჩვენებელ თითზე თმის მოკლე ღერის დახვევას ცდილობდა.

დამთავრებით კი ის დამთავრდა, რასაც თითქმის მთელი ცხოვრება აკეთებდა: დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე კერამიკის ზარზე უსახურ, მკაცრსახიან ანგელოზს ფრთებს უხატავდა. იქამდე, ვიდრე ერთხელ, ფიქრებში გართულმა, ამ უსახურ ანგელოზს საოცნებო ყვითელი ზურგჩანთა არ მიუხატა ფრთების მაგივრად.

ჰოდა, ყველაფერი დამთავრდა: ელისაბედ-ლი სამსახურიდან დაითხოვეს.

— რა მეშველება? — კითხა ოვალურ, დალაქავებულ სარკეში გაჩხერილ საკუთარ თავს. თავმა შოკოლადის მოზრდილი ფილა ნაღვლიანად ჩაიტენა პირში და ნაღვლიანადვე გადაყლაპა, აშკარად პრედეპრესიული სინდრომი განუვითარდა — ვინ, თუ არა ელისაბედ-ლი მოამარაგებდა ამის შემდეგ შოკოლადით.

— რა მეშველება-მეთქი? — ახლა აივნის კართან მიდგმულ ლიმონის ხეს კითხა ელისაბედ-ლიმ. ლიმონის ხეს თავისი საფიქრალი ჰქონდა, აგერ უკვე ამდენი წელი იყო, აივნის კართან იდგა და ნაყოფი კი ერთხელაც ვერ გამოეღო.

ელისაბედ-ლიმ ოთახს თვალი მოავლო, თუმცა უკვე იცოდა, რომ კითხვაზე პასუხს ვერავინ გასცემდა. ადგა, ხასხასა მწვანე საწვიმარში გაუყარა ბავშვის ნახატივით წვრილი და გრძელი ხელები, ყავისფერ ბოტებში ასევე ბავშვის ნახატივით წვრილი და გრძელი ფეხები ჩაჰყო და ბიჭურად გაკრეჭილ თავზე ფეტრის ყვითელი ბერეტი ჩამოიფხატა. მერე სწრაფად ჩაირბინა ბულვარული რომანის ფურცლებივით გაცვეთილი კიბის საფეხურები, ასევე სწრაფად გადაირბინა აკაციების ქვეშ არხეინად წამოწოლილი ეზო, ჭიშკარი გააღო და ქუჩას დაუყვა.

ქუჩა სამხატვრო აკადემიის სტუდენტის სადიპლომო ნამუშევარს ჰგავდა, რომელსაც სრულყოფილად მხოლოდ იმიტომ არ მიიჩნევენ, რომ ის სტუდენტის ნამუშევარია და არა ზრდასრული, უკვე სახელგანთქმული მხატვრისა: ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი პატარა სახლები აღლუმის მისაღებად გამზადებული კალის ჯარისკაცებივით ჩაემწკრივებინა სიგრძეზე, ქალაქის არც ერთ ტურისტულ რუკაზე არ იყო აღნიშნული.

მალე ელისაბედ-ლიმ შემთხვევით წყალგაშვებული შადრევანივით ამოყო თავი ცენტრალური ქუჩის შუაგულში, ჯერ მარცხნივ გადაუხვია, მერე ისევ მარცხნივ, ქალაქის ყველაზე მაღალ, ზრდადაუსრულებელი მოზარდივით უშნოდ აწოწილი ცათამბჯენის სახურავზე ავიდა და ის იყო, იმ ტროტუარზე გადაშვება დააპირა, რომელიც ცოტა ხნის წინ ცრემლების ყლაპვით გამოიარა, რომ მოულოდნელად შედგა:

ზუსტად იქ, საიდანაც შეგიძლია, პირდაპირ სმოგით გაბუღული ჯოჯოხეთის როკ-კონცერტზე მოხვდე, თანაც ყოველგვარი მუჯლუგუნების გარეშე და თანაც პირველ რიგში, მოხუცი ქალბატონი იჯდა.

მოხუცს თმა სიგარეტის გაფანტული კვამლივით ასდიოდა თავზე, რაღაც სევდიან მელოდიას უსტვენდა და სავარაუდოდ, საბავშვო ბაღის ბავშვივით იქნევდა ჰაერში გადაყოფილ ფეხებს.

— აქ რას აკეთებთ? — ჩურჩულით ჰკითხა ელისაბედ-ლიმ და მხარზე ფრთხილად დაუკაკუნა გრძელი, გამხდარი თითები.

— მობრძანდით, — მხარი ისე შეარხია მოხუცმა, თითქოს მხრის მაგივრად კარი ჰქონდა და ანჯამებიდან სანახევროდ ამოუვარდა.

— აქ რას აკეთებთ-მეთქი? — კაკუნი შეწყვიტა ელისაბედ-ლიმ.

მოხუცმა თავი მოატრიალა, გაზქურასავით ცისფრად ანთებული თვალები მოჭუტა და ელისაბედ-ლი დაკვირვებით შეათვალიერა.

— თავი უნდა მოვიკლა, — ისე ჩვეულებრივად უთხრა მერე, თითქოს ათასჯერ ნანახი ფილმის ფინალს უყვებოდა.

„კი მაგრამ, ამ ქალაქში ჩემზე უარეს დღეში ვინმე კიდევაა?“ — ცოტა არ იყოს, ეწყინა ელისაბედ-ლის და მოხუცს ჩუმად ჰკითხა:

— რატომ?

— აქ სხვებიც არიან? — მოხუცმა ცნობისმოყვარედ მოათვალიერა სახურავის სამი კუთხე: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი. მეოთხე კუთხის — დასავლეთის კიდეზე თავად იჯდა.

— აარაა, — ელისაბედ-ლი დარწმუნებული კი იყო, რომ სახურავზე მათ გარდა არავინ იქნებოდა, რაღა იმ დღეს და იმ წუთებში მოუნდებოდა ყველას თავის მოკვლა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავადაც მოათვალიერა იქაურობა: ნამდვილად არავინ იყო.

— აბა, რატომ ჩურჩულებ? — გაუღიმა მოხუცმა.

— რა ვიცი, — უხერხულად აწურა ისედაც აწურული მხრები ელისაბედ-ლიმ და ახლა ხმამაღლა ჰკითხა:

— თავი რატომ უნდა მოიკლათ-მეთქი?

— აა? სახლიდან გამომაგდეს, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა და უდარდელად ახედა ცას. ცა სველი, ჭუჭყიანი ჩვრით ფართხაფურთხით გადაწმენდილს ჰგავდა და აქაიქ ჭილყვავები შერჩენოდა ნამცეცებივით.

— მეც, — ამოიოხრა ელისაბედ-ლიმ და კიდევ ერთხელ გაახსენდა, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრდა. საწვიმრის ჯიბიდან ლამის პლედისხელა კუბოკრული ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ პაპიე-მაშესავით გადაიტარა უპეებზე და ცრემლები ამოიშრო, მერე კი ტირილისგან შესიებული ცხვირი ხმაურით მოიხოცა. სულ რაღაც ხუთიოდ წუთში სიკვდილს აპირებდა და არ უნდოდა, ტროტუარზე ისედაც უხერხულ მდგომარეობაში გაწოლილი, ცხვირმოუხოცავიც დაენახათ ცნობისმოყვარე რეპორტიორებსა თუ მოქალაქეებს.

— რა შენც? თავი უნდა მოიკლა თუ გამოგაგდეს? — მოხუცმა ახლა დაბლა გადაიხედა.

— ორივე, და მალე ბინიდანაც გამომაგდებენ, ქირას ვერ გადავიხდი, — ცხვირსახოცი ჯიბეში ჩააბრუნა ელისაბედ-ლიმ, მოხუცის გვერდით ჩამოჯდა და თავადაც დაბლა გადაიხედა.

იქ ჯერჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. როგორც ყოველთვის, ყვითელი ავტობუსები დაღოღავდნენ შემოდგომის ნარჩენი ფოთლებივით.

— სულ ესაა? — გაუკვირდა მოხუცს.

— ყოველ შემთხვევაში, თავის მოკვლისთვის თქვენზე მეტი მიზეზი ნამდვილად მაქვს,— ეწყინა ელისაბედ-ლის.

— მართალია. მე მხოლოდ სახლიდან გამომაგდეს, სამსახური კი არასდროს მქონია. ვერ ვიტან სამსახურებს, — პატარა, მრგვალი ცხვირი აიბზუა მოხუცმა.

— და რატომ გამოგაგდეს? — თანაგრძნობით ჰკითხა ელისაბედ-ლიმ.

— რა ვიცი, უსაქმური ხარო. ისე, მართალია, მუშაობა არ მიყვარს. აი, ტკბილეული მიყვარს, შენ ხომ არ გაქვს რამე, თუნდაც შოკოლადი? — ელისაბედ-ლისკენ გადაიხარა მოხუცი და მხარი წაჰკრა.

— არა, არ მეგონა, ასეთ დროს თუ დამჭირდებოდა, — შეწუხდა ელისაბედ-ლი.

— ღმერთო ჩემო, — თავი გადააქნია მოხუცმა, — ამ ახალგაზრდებს ხომ არაფერი გესმით! განა შეიძლება შოკოლადი ოდესმე არ დაგჭირდეს?!

— სახლში მაქვს! — წამოიძახა ელისაბედ-ლიმ. ახლა გაახსენდა კარგა ხნის წინ, კარადის უჯრის უკან, საკუთარი თავისგან გადამალული შოკოლადის კოლოფი.

— მართლა? — გამოცოცხლდა მოხუცი, — არ გინდა, შინ დამპატიჟო? შოკოლადს შევჭამდით, ვისაუბრებდით... — და ელისაბედ-ლის მხიარულად ჩაუკრა თვალი.

— კი, მაგრამ... თავის მოკვლას რომ ვაპირებ? — შეყოყმანდა ელისაბედ-ლი.

— ოჰ, მაგას ხომ ყოველთვის მოვასწრებთ, თანაც იქნებ ამასობაში უფრო უკეთესი მიზეზიც გამოჩნდეს, — მოხუცი სახურავის სიღრმისკენ გაჩოჩდა, მერე ხვნეშით წამოდგა და მრგვალ და სავსე უკანალზე მიკრული, ლურჯი კაბა საგულდაგულოდ ჩამოიფერთხა, კაბა პარაშუტივით გაიშალა, — აბა, მარტო სახლიდან ან სამსახურიდან გამოგდებისთვის თავს ვინ იკლავს?

— კარგი, — უარი ვერ უთხრა ელისაბედ-ლიმ. ბოლოს და ბოლოს, იმდენი კი იცოდა, რომ სიკვდილისწინა სურვილი ადამიანებს აუცილებლად უნდა შეუსრულო.

— ჰო, მართლა, შენ რა გქვია? — ჰკითხა მოხუცმა მაშინ, როცა ცენტრალური ქუჩა გაიარეს და ტურისტულ რუკაზე აღუნიშნავ ქუჩას ხელიხელჩაკიდებულები მიუყვებოდნენ ისე მშვიდად, ვითომც ცოტა ხნის წინ თავის მოკვლაზე არ ფიქრობდნენ.

— მე ელისაბედ-ლი ვარ, — უთხრა ელისაბედ-ლიმ და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ თავად არ იცოდა მოხუცის სახელი, — თქვენ? თქვენ რა გქვიათ?

— შეგიძლია, უბრალოდ ანგელინა დამიძახო, ვერ ვიტან ამ „ქალბატონოებს“,— მხიარულად უთხრა მოხუცმა, — ოჰ, რა ძალიან მინდა შოკოლადი. მალე მივალთ?

— უკვე მოვედით, აი, ეს სახლია, — გზის გადაღმა მდგარი, დირიჟაბლივით გაბერილაივნიანი სახლისკენ გაიშვირა თითი ელისაბედ-ლიმ.

მოხუცმა ელისაბედ-ლის სწრაფად გაუშვა ხელი, შეძლებისდაგვარად სწრაფადვე გადაჭრა ქვაფენილი, რომელსაც გასაშრობად გაფენილი ვაფლის პირსახოცივით ასდიოდა ორთქლი და ელისაბედ-ლის სახლის ჭიშკართან დადგა.

ჭიშკარი ძველი იყო და თავზე რკინის მასიური, გადაზნექილი გვირგვინი ისე ედგა, როგორც დიდი ხნის მივიწყებულ, ბებერ მეფეს, რომელიც მართალია, აღარავის ახსოვს, მაგრამ თავად არ ივიწყებს, რომ მეფეა. ასეც გაიჭრიალა — მეფურად.

მოხუცმა ახლა ეზო გადაჭრა და სახლის კართან აიტუზა.

— მობრძანდით, — უთხრა ელისაბედ-ლიმ, სადარბაზოს კარი გააღო და მოხუცს კიბეებზე აუძღვა, — იცით, თქვენ პირველი ხართ, ვინც ჩემთან სტუმრად მოვიდა.

არც ტყუოდა. უცნაური იყო, მაგრამ ქალაქში, სადაც ყველას ჰყავდა დედა თუ არა მამა, მამა თუ არა — და, და თუ არა — ძმა, ძმა თუ არა — ნათესავი, ნათესავი თუ არა — მეგობარი, მეგობარი თუ არა — საყვარელი ადამიანი მაინც, ისეთი, ვისთანაც გაშიშვლების არ შერცხვებოდა, ელისაბედ-ლის არავინ ჰყავდა, სულ არავინ.

— ესეც ჩემი ბინა, — ბინის კარი გააღო ელისაბედ-ლიმ და მოხუცი წინ გაატარა.

მოხუცმა ოთახი სტვენა-სტვენით მოათვალიერა და ლიმონის ხის გვერდით, სარწეველა სავარძელში ხმაურით ჩაჯდა.

— აბა, შოკოლადი? — იკითხა მას მერე, რაც რამდენჯერმე გადაქან-გადმოქანდა.

ელისაბედ-ლიმ საწვიმარი სწრაფად გაიხადა და დატრიალდა. სიმართლე რომ ითქვას, დასატრიალებელიც არაფერი იყო: შოკოლადი ლამბაქზე დაალაგა, ჩაი აადუღა და თავისნაირ მაღალ, თხელ ფინჯნებში ჩამოასხა.

— ნამდვილი მეფური სუფრაა, — წამოიძახა მოხუცმა და სარწეველა სავარძლით მიჩოჩდა მაგიდასთან.

— ბევრი არაფერი, — უხერხულად შეიშმუშნა ელისაბედ-ლი, — ხომ იცით, თავის მოკვლას ვაპირებდი და...

— აჰ, ეგ სულ აღარ გამხსენებია, — ჩაი ხმაურით მოხვრიპა მოხუცმა და ელისაბედ-ლის გულიანად გაუღიმა, — ან რა გასახსენებელი ეგაა.

„რა უცნაური ქალია“, — გაიფიქრა ელისაბედ-ლიმ და მოხუცს თავადაც გულიანად გაუღიმა.

„ნეტავ, ასე ოდესმე თუ გამიღიმია ვინმესთვის?“ — გაიფიქრა ისევ. მერე გაახსენდა, რომ არავინ ჰყავდა, ვისაც ასე გაუღიმებდა. არც დედა, არც მამა, არც და, არც ძმა... ყოფილი თანამშრომლები კი არ ითვლებოდნენ, გინდ ჰყოლოდა, გინდ არა, ერთმანეთისთვის არ ეცალათ. მთელი დღე მაგიდებთან ისხდნენ და ზოგი უსახური ანგელოზის მარჯვენა ტერფს ხატავდა, ზოგი მარცხენა ტერფს, ზოგი მკაცრად მოკუმულ პირს, ზოგი ოქროსფერ თმას...

ამ მოხუცთან კი თავს რაღაცნაირად გრძნობდა, ჯერ ბოლომდე ვერ გაეგო, როგორ, მშვიდად თუ საინტერესოდ, მაგრამ ცუდად რომ არა, ამას ხვდებოდა.

— გინდათ, აქ იცხოვრეთ? — წამოისროლა მოულოდნელად და თავადვე გაუკვირდა, ეს როგორ მოუვიდა.

— ისედაც მაგას ვაპირებდი, — ისევ გაუცინა მოხუცმა და თვალი ჩაუკრა.

ასე ჩასახლდა ელისაბედ-ლისთან მოხუცი ანგელინა.

ის არაფერს აშავებდა, მაგრამ არც არაფერს აკეთებდა, გარდა:

1. მთელი დღე უსტვენდა, სარწეველა სავარძელში ქანაობდა და გამუდმებით ისმუსნებოდა;

2. ოთახში დასუნსულებდა და გამუდმებით ეძებდა რაღაცას.

დღეები ერთმანეთს შვეიცარული საათის ისრებივით მისდევდნენ: არც სწრაფად, არც ნელა და ერთხელაც, როცა ელისაბედ-ლიმ აღმოაჩინა, რომ ბინის ქირისთვის გადანახული თანხა მთლიანად დახარჯულიყო შოკოლადებსა თუ სხვა ტკბილეულში, ხელმეორედ გაიფიქრა: „რა მეშველება?“

და რადგან უკვე იცოდა, რომ ვერც პირსაბანის სარკეში გაჩხერილი საკუთარი თავი გასცემდა პასუხს და ვერც ოთახის ლიმონი, გაახსენდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა.

„მაგრამ ანგელინას რა ეშველება უჩემოდ? “ — ელისაბედ-ლიმ ამოიოხრა, აივანზე გავიდა და ქუჩას გადახედა.

ქუჩა სიამის კატასავით ხარბად მიფიცხებოდა შემოდგომის გვიან, სურდოშეყრილ მზეს.

ელისაბედ-ლიმ დიდხანს იფიქრა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი მოიფიქრა, ამიტომ ისევ ამოიოხრა და სახლში შებრუნდა.

მოხუცი მაგიდასთან იჯდა და ფუნჯებისა და საღებავების შეკვრას დაჰყურებდა ცნობისმოყვარედ. ეს ფუნჯები და საღებავები ოდესღაც საწარმოში საახალწლო პრემიის ნაცვლად დაარიგეს და ცოტა არ იყოს, ამ გამოუსადეგარი საჩუქრით ნაწყენმა ელისაბედ-ლიმ, ისინი კარა-

დასასრული მე-16 გვერდზე

დეგიუტი

ЦИРКИС შესახებ უნდა მოგითხროთ. ამ სიტყვას ჩემთვის, სიხარულის გარდა, სინათლეც უკავშირდება: ახლა რომ ვიხსენებ ჩემი ბავშვობის იმ დღეებს, როდესაც დედას ცირკში მივყავდი, თვალწინ რატომღაც ძალიან კაშკაშა მზიანი დღე წარმომიდგება, ცირკში წასვლაც და იქიდან დაბრუნებაც რაღაც განსაკუთრებულ სინათლესთან ასოცირდება, არ ვიცი, რატომ. დავიჯერო, ღრუბლიან ამინდში არასოდეს ვყოფილვარ ცირკში?

ასევე ცირკს ვუკავშირებ იქვე, შესასვლელთან ბოშების მიერ გასაყიდად გამოფენილ, ჯოხზე წამოცმულ მამალოებს, რომელთა გემო არასოდეს გამისინჯავს (ვინ მიმაკარებდა კუსტარულად ნათითხნ ტკბილეულს), და რეზინის ბაწარზე ჩამოკიდებულ ჭრელი ქაღალდის ბურთულებსა თუ გასაშლელ მარაოებს, რომელთა გარეშე შინ არასოდეს ვბრუნდებოდი. ბურთების სიმსუბუქე, მარაოების სიჭრელე და მამალოების მიუწვდომელი სიტკბო — ეს ყველაფერი ერთად ჩემს მოგონებებში რაღაც ბუნდოვანი ნათელი სევდის განცდას ერწყმის: სიხარული, რომელიც, ადრე თუ გვიან, მთავრდება ბავშვისთვის — და არა მარტო ბავშვისთვის — დასაწყისშივე სევდითაა შეზავებული...

საოცარი ისაა, რომ თვითონ საცირკო წარმოდგენებიდან სრულებით არაფერი მახსოვს, ისინი მეხსიერებიდან ერთთავად წამეშალა. მახსოვს მხოლოდ მრგვალი არენა, სიბნელეში სხვადასხვა ფერის პროჟექტორების სხივები და ხმამაღალი, საზეიმო მუსიკა... ჰო, ეს მუსიკა ყველაზე კარგად მახსოვს.

რუსულენოვანი ბავშვი ვიყავი და, ასევე მახსოვს, როდესაც წარმოდგენის შემდეგ ჩემს შთაბეჭდილებებს აღვწერდი, სიტყვა „öèðêî âî é“-ს ნაცვლად შეცდომით ვამბობდი ხოლმე — „öèðêî â í û é“. ცხადია, ამიხსნეს, რომ „öåðêî â í û é“ სრულებით სხვა რამეს ნიშნავს და ჩემთვის იმხანად აბსოლუტურად უცხო და გაუგებარ სფეროს, ეკლესიას უკავშირდება. მაგრამ სიტყვებსა და ცნებებთან პირველი უშუალო შეხვედრა მაინც მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე მოგვყვება ხოლმე და მეც სადღაც, გონების კუნჭულში დღემდე შემომრჩა ამ ორი ცნების თანხვედრა, თუნდაც მხოლოდ ხმოვანი. დარწმუნებული ვარ: ის, რაც გიყვარს, წმინდაცაა. ბუნდოვნად მუდამ ვგრძნობდი, რომ აქ რაღაც უდიდეს თავგანწირვას უნდა ჰქონოდა ადგილი, თითქოს ცირკის არენაზე რაღაც იდუმალი შენაცვლება, დიდი მსხვერპლშეწირვა ხდებოდა: რამდენიმე ადამიანი ურიცხვ მაყურებელს ცხოვრებისეული ტვირთისა და ტკივილისაგან ათავისუფლებს, სანაცვლოდ კი საკუთარ ჭარბ სასიცოცხლო ძალებს ჩუქნის.

უკვე დიდი ვიყავი, რილკეს „დუინური ელეგიები“ რომ წავიკითხე, პიკასოს ნაღვლიანი არლეკინებიც ვნახე და იმათ ბედს ჩავუფიქრდი, ვისთვისაც სიხარული და დღესასწაული ყოველდღიური რუტინა და წელში გამწყვეტი შრომაა, ვინც გამუდმებით დანის პირზე დადის და ბურთივით ეთამაშება სიკვდილს, რათა მაყურებელს წუთით აუჩქროლოს ძარღვებში სისხლი. მინდოდა, გამეგო, რილკემ სულის ბუმბერაზებს — ანგელოზებს, მეტრფე ქალებს, გმირებსა და ადრე გარდაცვლილებს — გვერდში რატომ ამოუყენა მოხეტიალე ჯამბაზები...

ყოველივე წაკითხულ-განცდილ-ნაფიქრი რეალურ ცხოვრებაში ერთ ადამიანთან შეხვედრამ მაგრძნობინა. მას ირაკლი ჰქვია და ცირკის მსახიობია, თუმცა ის ცირკში კი არა, ბაკურიანის კინოთეატრის სცენაზე ზაფხულის ცხელ დღეებში ვნახე.

ბაკურიანში დამსვენებელი, რბილად რომ ვთქვათ, სანახაობით განებივრებული არ არის, ამიტომ დიდიან-პატარიანა, ყველანი დავეშურეთ საცირკო წარმოდგენას. კინოდარბაზში ტევა არ იყო. სცენა არენასავით მრგვალი არ არის, ვიწროა და ამიტომ პროგრამიდან ზოგიეთი ნომრის ამოგდება მოუწიათ, ზოგიერთი მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს.

დაწყების წინ სცენის გვერდით, ეზოში გამავალი კარიდან მეწამულ მოაბრეშუმო ნაჭრის შარვალსა და პერანგში გამოწყობილი მაღალი შავგვრემანი ახალგაზრდა შემოვიდა და კარის წინ უძრავად დადგა. ჯერ უნიფორმისტი მეგონა. კარი შემთხვევით გაიღო და პირველი რიგის განაპირას მჯდომმა ბავშვმა საცირკო მანქანისა და მაიმუნებიანი გალიის დანახვაზე აღტაცებით დაიწივლა. მეწამულსამოსიანმა საოცარი სიკეთით გაუღიმა და ტუჩებზე თითი მიიჭირა. როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე ბიჭი ფართომკლავებიანი ბრჭყვიალა სამოსით სცენაზე ჟონგლირებას შეუდგა, შემდეგ კი ერთადერთ ბორბალზე ამხედრებულმა სცენას რამდენჯერმე შემოუარა, მივხვდი, საცირკო დასი ძალიან პატარაა და თითოეულ მსახიობს რამდენიმე ფუნქციის შეთავსება უწევს. გასულ საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვის აუზში დაბადებულ სახალხო „Comedia de'l arte“-საც ასეთივე მცირერიცხოვანი და კონტრასტულად თვითმყოფადი პერსონაჟები (არლეკინი, პიერო, კოლომბინა...) შეადგენდნენ. ესენი კი შავიზღვისპირეთიდან, ბათუმიდან აღმოჩნდნენ.

ირაკლის გარდა ჟონგლირებისა და მონოციკლის ნომრებს კიდევ ორი ახალგაზრდა, გიორგი და ზაალი, ასრულებდა. წარმოდგენაში ორი ქალი მონაწილეობდა: გიმნასტი გოგონა და კონფერანსიე, რომელიც, ამავე დროს, ცხოველების (ორი მაიმუნის, სამი ძაღლის, გიგანტური პითონისა და იგუანას) მომთვინიერებელიც გახლდათ — ოდესღაც მდიდრული სილამაზის მქონე ქალბატონი, რომელმაც თავი როზალინდას ფსევდონიმით წარმოგვიდგინა.

ცირკის დირექტორი იქვე, სცენის ძირში იჯდა პატარა სკამზე (იქ, სადაც თეატრში ჩვეულებრივ სუფლიორის ადგილია), „ლეფთოფი“ ჰქონდა გახსნილი და მუსიკალურ გაფორმებას უზრუნველყოფდა.

როდესაც ირაკლი ჟონგლირებდა, სახეზე რაღაც საოცარი ნათელი ეფინა. ახლადგაპარსული გამობურცული ყვრიმალები და ნიკაპი გლუვად უბზინავდა, დიდრონი, ლამაზჭრილიანი თვალების კუთხეები ღიმილისაგან ქვევით ექაჩებოდა და, ამავე დროს, მათში ბავშვური გაუბედაობა იკითხებოდა. ხელებს უსწრაფესად და შეუცდომლად ამოძრავებდა. ეტყობოდა, ვინ იცის, მერამდენედ, და მაინც ხალისით ასრულებდა მარტივ ნომერს. ბოლოს კიდევ უფრო გაბრწყინებული სახით გადახედა მაყურებლებს და მკლავები მოხდენილად ასწია. სხარტად, ლამაზად მოძრაობდა, მაგრამ ამ ყველაფერს ის არტისტული თავმომწონება აკლდა, ჩვეულებრივ რომ ახასიათებთ ნებისმიერი ჟანრისა თუ დონის მსახიობებს.

თავად მისი გამოსვლა წარმოდგენის დასაწყისშივე შესრულებული ორი ნომრით ამოიწურა, მაგრამ სცენა თითქმის წუთითაც არ დაუტოვებია, ყველა მონაწილეს ეხმარებოდა: როდესაც ეკვილიბრისტი ზაალი, ყველაზე უმცროსი, თითქმის ბავშვი, მაგიდაზე შედგმული გორგოლაჭებისა და ორი სკამისაგან აგებულ საშინლად მერყევ პირამიდაზე უნდა ამძვრალიყო, ირაკლიმ უკვე ნაცნობი მოხდენილი მოძრაობით აწია ხელი და ბიჭს საყრდენად შეაშველა. ამ დროს გიორგის ლითონის მსუბუქი კიბე ეჭირა, რომლითაც ზაალი მოცახცახე კოშკის მწვერვალზე ავიდა; მხოლოდ წამით დაძლია მიზიდულობა და გამარჯვებული სახით ძირს ჩამოფრინდა, მის ზურგს უკან ჩამომხობილი ნაგებობის ნაწილები ბიჭებმა აიტაცეს. არა, ამ წარმოდგენას საცირკო ხელოვნების მასტერ-კლასს ნამდვილად ვერ ვუწოდებ... ასეთი ნომრებით მონაკოს პრინცი არ დატკბებოდა, მათ ნახვას თავისი სათაყვანებელი ცირკის არენაზე არ ისურვებდა. მაგრამ მე ამ გულუბრყვილო და გულისამაჩუყებელმა უბრალოებამ რომელიმე საქვეყნოდ ცნობილი ლაურეატის ოსტატობაზე მეტად მომხიბლა...

ირაკლი მხოლოდ კლოუნის გამოსვლებისას ისვენებდა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ამ მომენტებში არ ჩანდა სცენაზე. კლოუნი ჭიჭი მაყურებლებთან უშუალო კონტაქტში მუშაობდა, სცენაზე ბავშვებს ათამაშებდა და, ამას გარდა, ფოკუსიც შეასრულა: საამისოდ, საკმაო გაჭირვებით, სცენაზე „ორი ძლიერი მამაკაცი“ მიიწვია: გაჭირვებით იმიტომ, რომ დარბაზში მეტწილად ბავშვები და დედები ისხდნენ, აქა-იქ შვილებს წამოყოლილი მამები კი დიდ ხალისს არ იჩენდნენ. ფოკუსის არსი ის იყო, რომ სცენაზე მიწვეული ერთ-ერთი მამაკაცი მკლავებგაკოჭილ როზალინდასთან ერთად დიდ ტომარაში ჩასვეს, წუთის შემდეგ კი კაცი მაყურებელთა წინაშე წელსზევით შიშველი წარსდგა, როზალინდას მისი პერანგი ეცვა, მკლავები კი ისევ ისე მაგრად ჰქონდა ზურგსუკან შეკრული...

წარმოდგენის ბოლო ნაწილში ირაკლის გვერდითა კარიდან რიგ-რიგობით შემოჰყავდა მაიმუნები და ძაღლები და აღმოსავლურ მოტმასნურ სამოსში გამოწყობილ როზალინდას აწვდიდა. პირველმა მაიმუნმა არა და არ ისურვა, მომთვინიერებელს დამორჩილებოდა, იფხაჭნებოდა და სადღაც გარბოდა. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ ქალმა უზნეო ცხოველი ისევ ბიჭს შეაჩეჩა, თავიდან მომაცილეო, იმანაც სასწრაფოდ გაიყვანა ბავშვივით გულში ჩაკრული ცხოველი. მეორე მაიმუნი უფრო ბეჯითი გამოდგა, განსაკუთრებით კარგად წიგნის „კითხვა“ გამოსდიოდა: გვერდებს სწრაფად ფურცლავდა და მათ შორის ჩამალულ საკვების პატარა ნაჭრებს სწრაფად იტენიდა პირში. ყველაზე ყოჩაღები ძაღლები გამოდგნენ — ორი პუდელი და ერთი გაურკვეველი ჯიშის გრძელბალნიანი პატარა ძაღლი, რომელსაც ირაკლი და როზალინდა მისი რიტმული ყეფის თანხლებით სახტუნაოზე ახტუნავებდნენ.

დამაგვირგვინებელ ნომრად ბიჭმა სცენაზე კუბოს მაგვარი მოგრძო ყუთი შემოაცურა, საიდანაც როზალინდამ გიგანტური პითონი ამოიყვანა. ამ არსების ერთადერთი ნიჭი და გამორჩეულობა მის ზომასა და ბუნებრივ სილამაზეში მდგომარეობდა, თვით მისი გამოჩენა კმაროდა შემზარავი და მომაჯადოებელი ეფექტისათვის. პითონს არაფრის კეთება არ ევალებოდა, იმიტომ, რომ არც არაფერი შეეძლო...

დასიცხული და აღტკინებული ბავშვების ნაკადს დარბაზიდან გარეთ მივყვებოდი და ისევ ირაკლიზე ვფიქრობდი. ვიხსენებდი, რა დაუზარელი მორჩილებითა და ხალისით ემსახურებოდა ყველა გამომსვლელს და მის გამომეტყველებასა და მთელ იერში რაღაც ბოლომდე აუხსნელი მაოცებდა: თვალებში ჩაგუბებული დარდი და ბავშვური სიმორცხვე, არა, ბავშვურზე მეტი — რაღაც არაამქვეყნიური თვინიერება. და კიდევ უზომო სიკეთე, რომელიც შეუძლებელი იყო, არ გეგრძნო. „თუ არ მოექცევით და არ დაემსგავსებით ბავშვებს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“. მისი ღიმილის გახსენებაზე მჯეროდა: ეს ადამიანი ნამდვილად შევა ცათა სასუფეველში.

ერთ კვირაზე ოდნავ მეტი გავიდა და ბაკურიანში ისევ გამოჩნდა „შაპიტოს“ აფიშები. გულში ტკბილ-მწარე ტკივილმა დამიარა. ამჯერად ცირკში წამოყოლაზე ჩემი ორი წლის ბიჭის გარდა ვეღარავინ დავითანხმე: ის იმდენად პატარაა, რომ სანახაობის განმეორებას უცვლელი სიხარულით შეხვდა. ბილეთის ასაღებად ადრიანად მივედი და მოხეტიალე მსახიობების მოსვლასაც შევესწარი: კინოთეატრის მთავარი შესასვლელის წინ დიდი დახურული სატვირთო მანქანა და წითელი მიკროავტობუსი გაჩერდა. სატვირთოდან ძაღლების მოგუდული, მაგრამ ომახიანი ყეფა მოისმოდა. მიკროავტობუსიდან ჯერ ზედმეტად ფერუმარილიანი, თუმცა სადად ჩაცმული ქალი გადმოვიდა, სახე უძრავ ნიღაბს მიუგავდა და უზომო დაღლილობას გამოხატავდა; მას მოჰყვა თეთრწვერა პირმრგვალი მამაკაცი, შუა ზაფხულში საიდანღაც მოულოდნელად გამოჩენილ თოვლის პაპას რომ ჰგავდა (მაშინვე ვიცანი, ეს ცირკის დორექტორი იყო) და კიდევ ერთი მამაკაცი — საშუალო ტანის, ოდნავ ჩაფსკვნილი; ის სატვირთო მანქანას მიუბრუნდა და იქიდან მოხმაურე ოთხფეხა არტისტებს უბოროტოდ, ალერსიანადაც კი გასძახა:

— გაჩერდი!

გავოცდი, როდესაც მივხვდი, რომ ეს თითქმის მელოტი უღიმღამო კაცი კლოუნი ჭიჭი იყო, დაღლილსახიანი მანდილოსანი კი — იმპოზანტური როზალინდა, რომელსაც სასცენო გრიმი წინასწარ ჰქონდა წასმული. უკვე მოგვიანებით გავიფიქრე, ალბათ, ამ ადამიანებმა, კარგა ხანია, დახაჯეს ხალისიანი გამომეტყველების ის მარაგი, რაც მთელი ცხოვრებისთვის ჰქონდათ განკუთვნილი და უსასრულო კრედიტს მხოლოდ სულიერი ძალების მაქსიმალური დაძაბვის ხარჯზე თუ იღებენ-მეთქი. თუკი მართლაც ასეა, გამფლანგველობის უფლებას თავს ნამდვილად ვერ მისცემენ...

პირველივე დანახვით მხოლოდ ირაკლი ვიცანი. მართალია, ახლა ყოვლად ჩვეულებრივი შავი მოკლემკლავებიანი მაისური ეცვა, მაგრამ ის თითქმის ერთადერთი იყო მსახიობთა შორის, ვისაც პროფესიული ამპლუა არც იერს უცვლიდა, არც სახეს. რამდენიმეწამიანი შინაგანი ბრძოლის შემდეგ ჩემს თავს ვძლიე, რაც ჩვეულებრივ არ მჩვევია, და ბიჭს მივუალოვდი. საკუთარ გრძნობებში ჯერაც არ ვიყავი გარკვეული, ამიტომ გულს დანაშაულის ბუნდოვანი განცდა მიღრღნიდა, თითქოს ვთვალთმაქცობდი.

— უკაცრავად, შეიძლება, რაღაც გკითხოთ? დღესაც იგივე პროგრამით გამოხვალთ, რომლითაც ამასწინათ, თუ ახალი ნომრებიც გექნებათ?.. — სინდისის ქეჯნას თუნდაც იმის გამო ვგრძნობდი, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი ჩემთვის ისედაც ნათელი იყო: ვინ გამოგიცხობს ერთ კვირაში ახალ პროგრამას?!

მაშინვე ჩემსკენ გაოგნებული და გაცისკროვნებული სახე მოაბრუნა, წარბები მაღლა აზიდა და საოცრად გახსნილი, მოღიმარი მზერა მომაპყრო, მაგრამ თითქოს ვერ გაეგო, რა მსურდა მისგან. პაუზა რომ არ გაგრძელებულიყო, სწრაფად დავამატე:

— ერთი კვირის წინ უკვე ვნახეთ თქვენი წარმოდგენა და ძალიან მოგვეწონა...

ცოტაც და, პანიკაში ჩავვარდებოდი, მაგრამ ბიჭმა ჩუმად და თითქოს გაუბედავად წარმოთქვა:

— რა ვიცი... სხვადასხვა...

— როგორ? ჯერ კიდევ არ იცით, დღეისათვის რა გაქვთ პროგრამაში?! — მოჩვენებით გავიკვირვე და კმაყოფილი დავრჩი საკუთარი თავით იმის გამო, რომ ასე გავთამამდი, მაგრამ მეორე წამშივე მივხვდი, საშინელი დანაშაული ჩავიდინე, თუმცა ვერ გამეგო, როგორ და რანაირად: ბიჭი სრულიად დაბნეული და გაცამტვერებული იდგა ჩემს წინაშე, თითქოს მხრებშიც კი მოხრილიყო. როგორ არ ჰგავ-

თამარ კოტრიკაძე

არლეკინის ღიმილი



და ყოველივე ეს სცენაზე მის ლამაზ და სხარტ გამოსვლას! ძალიან ცუდად გავხდი: ასე მეგონა, დაუცველ, უბოროტო ბავშვს სილა გავაწანი.

— კარგი ნომრები გვაქვს... — უმწეოდ ამოილუღლუღა და მეც სასწრაფოდ დავეთანხმე:

— ვიცი, ვიცი, ძალიან კარგი ნომრები გაქვთ...

მაგრამ ჩადენილის გამოსწორება ვეღარ შევძელი. ორივემ თვალები უხერხულად დავხარეთ და ერთმანეთს გავეცალეთ.

იმ დღეს ორი წარმოდგენა იყო დანიშნული, ბილეთი მეორეზე ავიღე და ნაშუადღევს კინოთეატრთან დავბრუნდი.

ხალხი თანდათან გროვდებოდა შესასვლელთან. წითელი მიკროავტობუსი ახლა უკვე ეზოს მხარეს დავინახე, მისი კარი ღია იყო და პირდაპირ, ღია კართან ირაკლი იჯდა. რა თქმა უნდა, დავინახე თუ არა, თვალი ვეღარ მოვწყვიტე, თუმცა დილანდელი მარცხის თუ გაუგებრობის შემდეგ, ვიცოდი, მისვლას და დალაპარაკებას ვეღარ გავბედავდი. თანაც, არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა მისთვის: როგორც ყველაფერ დიდსა და ნამდვილს, ამ განცდასაც ვერანაირი განსაზღვრება ვერ ვუპოვე, ვერც ერთ კატეგორიას ვერ მივაკუთვნე...

საზურგეს მიყრდნობილი, უძრავად იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა — ჩანდა, ეს პოზა წარმოდგენებს შორის დასვენების ჩვეულ მდგომარეობად ჰქცეოდა. ვიცანი ოქროსფერი ძაფით გაწყობილი სამოსი, რომლითაც ჟონგლირებდა, მაგრამ ზევიდან ის უბრალო შავი მაისური გადაეცვა, რითაც დილით ვნახე: ალბათ, არ სურდა, საცირკო კოსტიუმით ქუჩაში გამვლელთა ყურადღება მიექცია. ამის გამო ფართო სახელოები ფრთებივით ჩაკეცილი და მკლავებზე მიტმასნილი ჰქონდა და ამან რატომღაც განსაკუთრებულად ამიჩუყა გული. სწრაფად შევედი შენობაში: არ მინდოდა, რომ დავენახე. მართალია, თან ბავშვი მახლდა და თითზე ნიშნობის ბეჭედი მეკეთა, მაგრამ, აბა, რა უნდა ეფიქრა ქალზე, რომელიც ასე დაჟინებით უმზერს...

წარმოდგენის დაწყებამდე სცენის წინ დავლანდე: სამიოდე წლის გოგონასათვის ხელი ჩაეკიდა და კულისებს მიღმა მიჰყავდა — როგორც შემდეგ გავიგე, ეს ერთ-ერთი არტისტის, გიორგისა და გიმნასტი გოგონას, ნასტიას, შვილია, რომელსაც, ცხადია, მუდამ თან დაატარებენ. უცნაურია: ბავშვი, რომელიც ცირკს მხოლოდ სარჩულის მხრიდან იცნობს, რომლისთვისაც ყველა საოცრება წინდაწინაა ამოხსნილი — ის, რაც სხვათათვის სიხარულია, მისთვის მომაბეზრებელ რუტინად ქცეულა — მშობლებისაგან თითქმის მთელ ენერგიასა და დროს რომ მოითხოვს...

საცირკო მარშის ნაცნობმა ხმამაღალმა ჰანგებმა, როგორც ყოველთვის, მღელვარე მოლოდინით ამავსო, თუმცა ასე მოკლე ხნის წინ ნანახის განმეორებას, ცხადია, ის პირვანდელი ხიბლი ვეღარ ექნებოდა. მხოლოდ პირველ ორ ნომერს ვუყურე დაძაბული ყურადღებით, თითოეული ნიუანსის მოხელთებას ვცდილობდი, შემდეგ კი მოვდუნდი. დარბაზში ხალხიც უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ორი კვირის წინათ და მსახიობებიც, როგორც მეჩვენა, ნაკლები ხალისით მუშაობდნენ. თუმცა, შესაძლოა, ეს შთაბეჭდილება მხოლოდ ჩემს საკუთარ განწყობას უნდა დავაბრალო.

გამონაკლისს კვლავაც ირაკლი წარმოადგენდა: ჟონგლირება გიორგიმ დაიწყო და წამის ერთ გადამწყვეტ მეათასედში ირაკლი ჩაენაცვლა: ჰაერში თითქოს შეჩერებული გოგუთების რკალი აიტაცა და ციური სხეულებივით აათამაშა.

შემდეგ სამი ხელჩაკიდებული მონოციკლისტი სცენაზე წრეებს უვლიდა. მაღლა აწეული ფართო სახელოები ფრთებს მიუგავდათ. აკუსტიკური გიტარის კრიალა ბგერები მათ მოძრაობას კიდევ უფრო მსუბუქს ხდიდა. დანარჩენი ორი კულისებს მიღმა გაუჩინარდა და ირაკლი მარტო დარჩა. კიდევ ერთი წრე შემოუარა, სცენის შუაში გაჩერდა, თავი უკან გადაიგდო და მონოციკლი შუბლზე შემოიდგა. ჯერაც ჰაერში მოტრიალე ბორბალი გააწონასწორა, ძირს გადაკოტრიალდა, ისევ წამოდგა და, მკლავებგაშლილი, ღიმილით შეეგება აპლოდისმენტებს. ნომერი რომ დასრულდა, როგორც იქნა, მივხვდი, რით განსხვავდება ის სხვა დანარჩენი მსახიობებისაგან: მისი ღიმილი ნამდვილია, სულის სიღრმიდან ამოსული და არა პროფესიული. ცხოვრებაშიც ზუსტად ასევე იღიმის. და კიდევ გავიფიქრე: როდესაც, აი, ასე გაჰყურებს დარბაზს, სინამდვილეში ვერაფერს ამჩნევს. სხვა მსახიობები მაყურებლებს აშკარად უსწორებენ თვალს, მათ უღიმიან, მათთვის ირჯებიან, ეს კი — ვის ან რის წინაშე გამოდის? გამახსენდა წმინდა ფრანჩესკო ასიზელი, კათოლიციზმის ეს, თუ არ ვცდები, ერთადერთი სალოსი, საკუთარ თავს „ღვთისმშობლის ჯამბაზს“ რომ უწოდებდა — ვინც უწმინდესი ქალწულის სადიდებლად თავი უსაზღვროდ დაიმდაბლა, „გაისულელა“ და მის წინაშე თავდავიწყებით გადადიოდა ყირაზე...

დარბაზიდან გასვლისას უკანასკნელად დავინახე ეზოში გამავალ კართან, წამოშლილ მაყურებლებს გადაჯვარედინებული ხელებით ანიშნებდა, ეს კარი დაკეტილია, მთავარი გასასვლელიდან შეგიძლიათ გასვლაო. ისევ ისე მდუმარედ იღიმოდა... ლაპარაკს აშკარად ჟესტების ენა ერჩივნა. ეტყობა, ქართული კარგად არ იცის-მეთქი, გავიფიქრე.

მას მერე დღეები გავიდა და მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, რომ წარმოდგენის შემდეგ შემეძლო, მივსულიყავი და უბრალოდ მადლობა გადამეხადა — მეთქვა, რომ ძალიან მომეწონა მისი გამოსვლა და ყველანაირ სიკეთეს ვუსურვებ, რაც კი შესაძლებელია... ცოტათი ბანალური იქნებოდა, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ სწორედ ეს მსურდა: სულ ოდნავი სითბო დამებრუნებინა იმ ადამიანისათვის, ვისგანაც სიკეთის ასეთი ძლიერი იმპულსი ვიგრძენი. ხინჯად დამრჩა, ასე ლაჩრულად რომ გამოვიქეცი და შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი, ამიტომ, როგორც საერთოდ ვიცი ხოლმე, დაგვიანებით გავაქტიურდი. მასთან დაკავშირება, მართალია, ვერ მოვახერხე, უფრო სწორედ, ვერ გავბედე, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც გავიგე მის შესახებ...

სკოლაში ჩვეულებრივი მოწაფე იყო, არანაირ განსაკუთრებულ ნიჭს არ ავლენდა. გაკვეთილებზე ჯდომას მეგობრებთან ერთად ეზოში ყოფნა ერჩივნა, ოღონდ ერთი-ორთან. ბევრი მეგობარი არასოდეს ყოლია. ერთი გატაცება ჰქონდა, რომელსაც მშობლები უშლიდნენ, მაგრამ რომელზედაც ხელი ვერაფრით ააღებინეს: სახლის სხვენში მტრედების მთელი გუნდი ჰყავდა მოშენებული, ყოველდღე ძველი, მორყეული კიბით ადიოდა სახურავზე და ქერსა და პურის ნამცეცებს უყრიდა. საათობით შეეძლო, თვალი ედევნებინა მათი ფუსფუსისათვის, ყველაზე მეტად ის მომენტი უყვარდა, როდესაც ფრთებს შლიდნენ და ასაფრენად ემზადებოდნენ. დედა ყოველ ათ წუთში ერთხელ გადიოდა ეზოში და კისერდაგრძელებული აჰყურებდა სახურავს. ბიჭის გამხდარ, აწოწილ ფიგურას რომ დალანდავდა, ცოტა ხნით მშვიდდებოდა. ცდილობდა, შვილისთვის არ დაენახებინა თავისი დარდიანი სახე, არადა, ბოლო დროს სულ ერთი ფრაზა ჰქონდა აკვიატებული, რომელსაც თავისთვის, ჩუმად ბუტბუტებდა: „შვილო, არ ჩამოვარდე. თავი, თავი არ გაიხეთქო, დედა გენაცვალოს...“

ირაკლის ყოვლად უცნაური გამბედაობა ახასიათებდა, რომელიც ყველას აკვირვებდა: სრულებით არ ეშინოდა სიმაღლის და, ამავე დროს, ვერაფრით დაძლია ველოსიპედის შიში. არ წარმოედგინა, ორბორბლიანი კონსტრუქცია საკუთარი სხეულის ძალით როგორ უნდა გაეწონასწორებინა და ამიტომ, ყველა თავისი ახლობელი ბიჭისაგან განსხვავებით, ველოსიპედით სიარული ვერა და ვერ ისწავლა. სამაგიეროდ, სახურავის ქიმზე მოსიარულე ხშირად უნახავთ. ამ დროს გაშლილი მკლავების მსუბუქი მოძრაობით იკავებდა წონასწორობას, მკლავებზე, მხრებზე, თავზე რუხი და თეთრი მტრედები ასხდნენ, ზოგი თავს დასტრიალებდა, წამით დააჯდებოდა და ისევ მაღლა აფრინდებოდა; ბიჭიც თითქოს ფრინველებს ბაძავდა, მკლავებს იქნევდა, გეგონებოდა, აფრენა სურს ან სულაც უკვე მიფრინავსო...

ცამეტი წლის ასაკში მენინგიტის მძიმე ფორმით დაავადდა. რამდენიმე კვირა უგონოდ იყო. ექიმებს ეშინოდათ, ვერ გადარჩებაო. როდესაც გონს მოვიდა, უთოვლო, ყინვიანი ნოემბერი იდგა. ქარი ამაზრზენი სისინით ახლიდა საავადმყოფოს ფანჯარას ხის შიშველ ტოტებს. როგორც ბურუსში, ისე დაინახა საწოლთან თავდახრილი დედის გალეული, გატანჯული სახე. ნელა, გაჭირვებით გაიაზრა, რომ ავად იყო და შეიძლებოდა, მომკვდარიყო — იქნებ ახლაც ჯერ კიდევ სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა. დაღლილი, ავადმყოფი ტვინი საშინელი ბოღმით აევსო: რატომ მაინცდამაინც მე? რატომ უნდა მოვკვდე მაშინ, როდესაც ამდენი სხვა ადამიანი იცოცხლებს? რა უსამართლობაა?! ერთბაშად შესძულდა ადამიანებიც, მთელი ეს ცივი, პირქუში სამყაროც და თვით დედაც, რომელიც ახლა ცრემლიანი და მაინც იმედიანი თვალებით შეჰყურებდა. რაღაცას ლბილი, ათრთოლებული ხმით ეუბნებოდა, მაგრამ ბიჭს უმარტივესი სიტყვების წვდომაც კი ისე უჭირდა, თითქოს უცხო ენაზე ელაპარაკებოდნენ. დედას უნდოდა, მისთვის შუბლიდან წამოზრდილი თმა გადაეწია, მაგრამ შვილმა თავი კედლისკენ შეატრიალა და გაერიდა. თუკი ცხოვრებამ გაიმეტა, თვითონაც ზურგს შეაქცევდა ცხოვრებას...

იმავე ღამეს ავადმყოფობა პირვანდელზე ბევრად უფრო მძიმე სახით შეუბრუნდა. ეჩვენებოდა, რომ ბნელ დერეფნებში დაეხეტებოდა დაქანცული, ოფლში გაწურული, და გასასვლელს ეძებდა. სადღაც წინ ბუნდოვნად გაიელვებდა ნათელი წერტილი და ისევ მიიმალებოდა. დერეფნებს ბოლო არ უჩანდა. დროს დინება შეეწყვიტა და თითქოს დახშულ წრეზე ტრიალებდა, რეალურ სამყაროში კი ერთმანეთს თვეები ენაცვლებოდა.

რაღაც გარეშე ძალით მანამდე უძრავი ნათელი წერტილი თავად დაიძრა მისკენ. იგრძნო, რომ გვირაბიდან გამოვიდა, თუმცა გარემოს ვერ არჩევდა, იმდენად თეთრი და თვალისმომჭრელი იყო ნათება. და უეცრად თავის წინაშე დედა დაინახა, რომლის სახეც მაშინვე ეცნო და თან ეუცხოვა კიდეც: ის მთლიანად ამ ყოვლისმომცველ ნათელთან შერწყმულიყო, თავადაც ასხივებდა ნათელს და ძალიან ახალგაზრდა იყო: ისეთი, როგორიც შვილს არ ახსოვდა, მხოლოდ ძველ ფოტოსურათებზე ენახა. დედა მშვიდი ღიმილით უყურებდა, შემდეგ ბაგე გახსნა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვების მაგიერ მოულოდნელი, თუმცა საოცრად სასიამოვნო და ლბილი ყელისმიერი ბგერები ამოუშვა, ბუნდოვნად ნაცნობი, რომლებმაც ბიჭი ერთბაშად დაამშვიდა და გონს მოიყვანა. უსასრულობიდან ისევ დროში ჩაეშვა და შინ, თავის საწოლში გაახილა თვალი. ოთახი მზით იყო განათებული, გაზაფხული იდგა და ღია ფანჯარაში მოპირდაპირე სახლის დამრეცი სახურავი მოჩანდა, მის ნაპირზე კი რუხი, მოვერცხლისფრო მტრედი დააბიჯებდა და დინჯად, საზეიმოდ, თავის დაჟინებული დაკვრით იმეორებდა: „ღუ-ღუ-ღუ!“ — თითქოს ვიღაცას რაღაცას უხსნისო.

ირაკლი ხელახლა დაბადებულს ჰგავდა — კაცმა რომ თქვას, სწორედაც რომ ხელახლა დაიბადა: რეციდივის შემდეგ ექიმებს ოჯახის წევრებისათვის უთქვამთ, არანაირი იმედი აღარ არისო და ავადმყოფი შინ გამოუტანებიათ. ახლა ყველაფერს ახალი თვალით უყურებდა და ყველაფერი, ერთხელ და სამუდამოდ, უსაზღვროდ შეუყვარდა. რაც მთავარია, მიხვდა, რომ არც ამ და არც იმქვეყნად საშიში არაფერი იყო, სრულიად არაფერი.

თითქმის ნახევარი წელიწადი ნოლილა უგონოდ. ახლა ძალ-ღონეს სწრაფად იკრებდა, ოღონდაც მეტყველების უნარი მთლიანად წაერთვა და, მართლაც ახალდაბადებული ბავშვივით უწევდა სიტყვებისა და ბგერების გაჭირვებით წარმოთქმა, მაგრამ ამას უხერხულობის გარეშე, ღიმილითა და ბავშვური გაოცებით აკეთებდა.

თავის ძველ გატაცებას არ დაბრუნებია: მისი ავადმყოფობის პერიოდში მტრედები გაველურდნენ და გაიფანტნენ, ერთი-ორსღა მოჰკრა თვალი თავისი უბნის სხვადასხვა კუნჭულში, უფრო ხშირად, სახურავების თავზე ხედავდა და უხაროდა, ლაღად რომ დაფრინავდნენ. იყვნენ, იფრინონ, რა საჭიროა მათი თავიდან მოშინაურება...

როგორც კი ფიზიკურად მომაგრდა და გარეთ გასვლა შეძლო, ვარჯიში დაიწყო. სულ შემთხვევთ შეხვდა ჯონის, საცირკო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელმაც უთხრა, ჯობს, ჩემთან, ცირკში წამოხვიდე, სპორტიცაა და ნამდვილი, დიდი ხელოვნებაცო. ირაკლი მაშინვე დათანხმდა. ჯერ უმარტივესი ილეთების შესრულება ისწავლა, თანდათან გაიწაფა ჟონგლირებაში; თავიდანვე სიმპათიით განეწყო თავისი მასწავლებლის, გიორგისადმი, მასზე მხოლოდ რამდენიმე წლით უფროსი რომ იყო და, უკვე მისი პარტნიორიც გამხდარიყო. წარმატებაზე მეტად ის უხაროდა, რომ აქ, შაპიტოს პატარა, ჭრელი თაღის ქვეშ, მრგვალ არენაზე შეეძლო, ჟესტებითა და მიმიკით გამოეხატა ყველანაირი სათქმელი და ემოცია. გრძნობდა, რომ ეს იოლად და კარგად გამოსდიოდა და უხაროდა. ღიმილი სახიდან აღარ შორდებოდა.

ჯონი გამოცდილი ხელმძღვანელი იყო, ცირკი მართლა ყველაფერს ერჩივნა. იგორ კიოსთან უმუშავია, უამრავ საინტერესოს ყვებოდა „დიდ“, ანუ რუსეთის ცირკზე. ამასთან, არც ორგანიზატორული და კომერციული ალღო აკლდა, ყოველთვის ახერხებდა გასტროლებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას და თავისი მსახიობების ინტერესებს, თუ საჭირო გახდებოდა, კბილებითაც დაიცავდა. ყველა ჩემი შვილები ხართო, ეუბნებოდა ხოლმე ახალგაზრდებს. შვილებივით პატრონობდა და, თუ საჭირო იყო, ტუქსავდა კიდეც.

ბათუმში, თავისი პირველი წარმოდგენის წინ, სრულებით არ უნერვიულია. აი, მოგვიანებით კი, როცა ჯონიმ უთხრა, დროა, ბედი სხვა ჟანრშიც სცადოო და მონოციკლი შესთავაზა, ირაკლი შეცბა. თურმე, კიდევ რჩებოდა რაღაც, რასაც უფრთხოდა: ბავშვობის შემდეგ მივიწყებული ველოსიპედის შიში ამოუტიტივდა. მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრის სიგანის სკამი, პედლები და ერთადერთი ბორბალი — ეგონა, ამ ყოვლად მოუხერხებელ საგანს ვერასოდეს ავითვისებო, მაგრამ უკან დახევა არც უფიქრია. ერთ დღეს, მორიგი დაცემის შემდეგ, არენის მწვანე ტილოზე იჯდა ბედკრულ ბორბალთან ჩახუტებული და დაბეჟილ თეძოს იზელდა. გვერდით შალის პონჩოში ყურებამდე გახვეულმა როზალინდამ ჩაუარა (ზამთარი იყო და კარავში ნულოვანი ტემპერატურა იდგა), დახედა, ლოყაზე ალერსიანად მიეფერა და სიცივისა და თუთუნისაგან ჩახრინწული ხმით უთხრა:

— ნუ დარდობ, ირაკლი-ჯან, აი, ნახავ, ყველაფერი გამოგივა. წამო, გენაცვალე, მიკი და ჩაპა გამაკრეჭინე...

ახალი პროგრამით თბილისის ზოოპარკში, ახალი წლის წინა დღეებში, გართობა-სანახაობისათვის განსაკუთრებულად განწყობილი მაყურებლის წინაშე გამოვიდნენ. ირაკლის გამუდმებული ვარჯიშისაგან გვერდები სტკიოდა და, მიუხედავად ამისა, დარწმუნებული იყო, არაფერი გამოუვიდოდა. არენაზე გამოსვლისას პედლებს ფეხებით დაეყრდნო, მკლავებით შეეცადა წონასწორობის შენარჩუნებას და თვალები დახუჭა. ნაცნობმა მუსიკამ დაამშვიდა. ერთბაშად გიტარის ჰანგებს მიღმა ფრთების შხუილის მაგვარი ხმა მოესმა, მოეჩვენა, თითქოს სახურავზე იდგა და გაშლილ მკლავებზე მტრედები ასხდნენ. ისეთი თავისუფლება იგრძნო, თითქოს პედლებს კი არ ატრიალებდა, ჰაერში ამოძრავებდა ფეხებს. თვალები გაახილა, მაგრამ ფრენის განცდა არ გამქრალა. არენაზე რამდენიმე წრე გააკეთა და შუაში გაჩერდა. მოზღვავებულ სიხარულს მკერდში ვეღარ იტევდა, მთელი დარბაზის, სათითაოდ ყველა მაყურებლის გულში ჩაკვრა უნდოდა. თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ აცეკვდა: ეს ევროპული ჩეჩოტკასა და ქართული დავლურის რაღაც თავდავიწყებული ნაზავი თავისთავად გამოუვიდა. დარბაზი ოვაციებით აგუგუნდა, ირაკლის აღტაცება მაყურებლებსაც გადაედოთ. დამაგვირგვინებელი აკორდები მიწყდა და ისიც, მკლავებგაშლილი, ღიმილით ისმენდა ტაშსა და შეძახილებს.

მისი ღიმილი... აი, სწორედ ეს ღიმილი იგულისხმა რილკემ, როდესაც დაწერა:

„მოდი, დაკრიფე, ანგელოზო,
ეს სამკურნალო
წვრილ-წვრილ ყვავილთა ბალახები,
ჩადე ლარნაკში
და ჩადგი ჩვენთვის
ჯერ გაუშლელ ლხენათა შორის,
ლამაზ ურნაში, უკვდავჰყავი
დიდი წარწერით: „Subrisio Saltat“...*

---

* (ლათ.) „ჯამბაზის ღიმილი“.

მარიამ წიკლაური

დაუწერელი წერილებიდან

* * *

„აგელაოს, ზევსის კი არა, მამაჩემის ტკივილებს გეფიცები...“ მე კი ჩემ დროს გეფიცებით, იმ დროს, რომელშიც მე ვცხოვრობ და არა იმ დროს, რომელშიც მოციქულები და წინასწარმეტყველები ცხოვრობდნენ. ეს დღეისდღეა.

* * *

ფიქრს არასდროს წყვეტ, არც სათქმელს გილევს ყოველდღიურობა. არც იმგვარი ბრძენი ხარ, ბაგე მოკუმო, თვალები დაითხარო, სმენა დაივსო. პირიქით, ხედავ, რომ მილიონი თვალი და ყური და ბაგე მოგცემია. თითქოს საკუთარი არ კმარადა. ცხოვრობ, როგორც ათასი სხვა. ამ აურზაურში ყველაზე მეტად შენივე პიროვნული ინდივიდუალიზმი გიცავს იმ ღვარცოფისაგან, რაც თავზე დაგდის ყოველი მხრიდან. წერ შენსავე თავს, თავისი სიხარულითა და ტკივილებით, განცდებით, გულგატეხილობითა თუ იმედებით. ნაზამთრი ნაძვივით, გაზაფხულის მზის სურნელზე რომ ვარჯს დაიბერტყავს და სიყვარულის მტვერს აფრქვევს ირგვლივ. ჩვენც ასე, თუ სადმე სულისმზეს დავიგულებთ, ჩვენი სიყვარულიანი ამოფრქვევებიც სიტყვებად ედება ჩვენ მოზიარეებს. კარგი, კიდევ კარგი, ეს მაინც შეგვიძლია.

* * *

ვინც ბატონ ვახტანგ როდონიას პირადად იცნობდა, მისეული ამბის მოყოლის მანერაც ეცოდინება, მოჭუტული და ღიმილიანი თვალები, იუმორი, ირონია და დინჯი თხრობა. გამომცემლობა „პეგასში“ შევხვდი ბატონ ვახტანგს „ნანინებზე“ მუშაობისას. ერთხელაც ამ ამბავს მოჰყვა, როცა სიტყვა ჩამოვარდა თანამედროვე გამოცემებში გაპარულ უხვ შეცდომებზე. ერთხელო, ბრძანა ბატონმა ვახტანგმა, ვმუშაობდით ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ქრესტომათიაზე და მიზნად დავისახეთ, რომ აბსოლუტურად უშეცდომო წიგნი გამოგვეცაო. ძალიან ბევრი ვიშრომეთ და მივაღწიეთ ამ შედეგსო და აი, დაიბეჭდა წიგნი და ამაყად გვიჭირავს თავი, რომ წიგნში არც ერთი შეცდომა არ არისო გაპარული. და უეცრად ვიღაცამ აღმოაჩინა სატიტულე წარწერაში იოანე მინჩხის ნაცვლად მონჩხი წერიაო. ჰოდა, საბოლოოდ დავასკვენით, რომ უშეცდომო წიგნის გამოცემა შეუძლებელიაო და ამ მოვლენას სახელიც მოვუძებნეთ და „მონჩხის კომპლექსი“ დავარქვითო. მართლაც შეუძლებელია იმგვარი წიგნის მოძიება დღეს, რომელშიც შეცდომები არ გვხვდებოდეს. და ყველა შეცდომის აღმოჩენისას გავიძახი მონჩხი და მონჩხი-მეთქი. და რა ხმიანობაა? ხომ შეიძლებოდა შეცდომა სხვა სიტყვაში გაპარულიყო? არადა, სწორედ ისეთში გაიპარა, რომ რაც მეტია შეცდომა, მით მონჩ-მოჩხლართულს ჰგავს ხოლმე წიგნი.

* * *

არა მგონია, ამაზე ზუსტად ქრისტიანობის და, ზოგადად, ადამიანობის კრედო ვინმეს გამოეხატოს ადამიანთაგანს! თორემ მახარებლები ბევრ რამეს წერენ ქრისტესგან გაგონილს. „მგონია, მოწყალებაც დაჩოქილებმა უნდა გავიღოთ... ისევე, როგორც ვითხოვთ მის მიღებას...“ — ამას წერს მარინა ცვეტაევა... — ეს, ალბათ, უმაღლესი საფეხურის ადამიანის თეზაა.

* * *

ერთხელ ერთმა ლექსმცოდნემ მირჩია, ნუ იყენებ ლექსიკაში ისეთ სიტყვებს, რომელიც მეტყველებაში არ იხმარება, რადგან ამ ლექსიკონში მოსაძიებელ სიტყვებზე ისევე წყვეტს აღქმას მკითხველის ყური, როგორც მსმენელი ხარვეზიანი რადიოგადაცემის ეთერის შიშინზეო. არადა, ზოგჯერ სწორედ ერთი სიტყვის გასაცოცხლებლად დამიწერია ლექსი და მგონია, რომ პოეზიის ერთ-ერთი „პოლიტიკა“ სწორედ ენის სიცოცხლისუნარიანობის ფუნქციაა, ენის „გამზეურება“. შეიძლება, ძალიან ნაივურია ეს წარმოდგენაც, რომ ჩემი ლექსი სიტყვას სიცოცოხლეს დაუბრუნებს, ამპარტავნულიც კი... მართლა როგორ გავაღარიბეთ ენა. გავაღარიბეთ თუ გავაბრაზეთ და ბევრი ძვირფასი რამ გადაგვიმალა თავის თავში. მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებადღა ვიყენებთ. ამირან არაბულის „სულუქცევრად საკითხავნი“ ვინც წაიკითხა, დამეთანხმება, რომ მსგავსი მაგალითი ენის ქმნადობისა, იშვიათია. ეს მხოლოდ „მუხლადი“ ქართული არაა, ეს ერთი ინდივიდის სულ-გულგონებაში ენის გამოტარების, გაფერვის საოცარი ნიმუშია. რა კომპოზიტებია ნაწარმოები, რა სიტყვები, რა ენობრივი პლასტებია ამეტყველებული ამ ჩანაწერებში. მწერლის ენა თავადაა კვლევის ობიექტი. ესაა ღირებულებათა ენა, აზროვნების ენა, სულის ენა. გახევებული ტოტი რომ განედლდება, აი, ეგეთია ამირანის ნასიტყვარი. მართლაც, ენის საამირანო ძალას რომ გაგრძნობინებს.

* * *

ერთხელ ეთეროს ნაუბარს ვისმენდი თავის ბავშვობაზე, ცირა ბარბაქაძეს ჰყავდა მიწვეული ილიაუნის პოეზიის კლუბში ახალი წიგნის, „ჩიტ რომ იძახს, წიავ“, წარდგენაზე. მაშინდელმა მონათხრობის მოსმენამ მაფიქრებინა, რომ არსებობს დრამატურგიული ენა და მის მფლობელს შეუძლია, მონათხრობი აქციოს სპექტაკლად ან კინოდ. მასწავლებელზე, ბათო ძიოზე, ჰყვებოდა ეთერო და იმდენად დავიჯერე, რომ კი არ ვისმენდი, ვუყურებდი მის ბავშვობას და მეც იქ ვიყავი, თუშეთის სოფლის სკოლაში. ტაშმა გამომაფხიზლა. ასეთი ამბები იშვიათად დაგემართება. ასეთი თხრობა ახასიათებს დოდო ხიმშიაშვილსაც, უცნაურად ცოცხალი, ხატოვანი, სურათოვანი. და, განუმეორებელ რეზო ესაძეს. ალბათ ამგვარი ნიჭით იყვნენ დაჯიდოვებულები ის გლეხებიც, რომელთა საგვარეულო ბეგარა ბატონისათვის მხოლოდ ზღაპრის მოყოლა იყო. იმედია, ეთეროს ჩანაწერებსაც მალე ვიხილავთ... აი, ენაზე ვსაუბრობდი, და რადგან ეთეროს ლექსების წიგნი ვახსენე, თუთიკოს (არაბულების ნაბოლარას, მარიამ არაბულის) ნახატებით, რა გულმა უნდა გამიძლოს, რომ მის დახატულ ჩიტებზე არაფერი ვთქვა. ზღაპრულია. ეს ჩიტები სამოთხის ბაღის ბინადრები თუ არიან. ჰოდა, აი, ეგეთი ნიჭიერები არიან ყველანი: კალამიც უჭიკჭიკებთ, ფუნჯიც, ენაც და სულიც.

* * *

ლიქოკელი ლია – ჩემთვის იმ მითიურ პერსონაჟს ჰგავს, რომელიც ყრმად და ჩვილად კი არ იბადება, არამედ უკვე ზრდასრული მოევლინება ქვეყნიერებას. არიან ასეთი ხელოვანები, პირველივე მონასმით რომ მწვერვალებს მოხაზავენ; პირველივე გამოჩენით რომ თავიანთ სახეს ნიშნად და ბეჭდად დაადებენ გარემოს. ასეთი პიროვნებების შეუვალობა მიყვარს ძალიან, ცეცხლის ალი და მსხვრევადი მჭვირვალება ერთდროულად. მათ იციან თავიანთი ნიჭის სიგრძე და სიგანე. ამათ რომც აუკრძალო წერა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანო წერის გამო, მაინც მშვიდად გააგრძელებენ საქმეს. ასეთი დედაკაცები გვყავს ჩვენ. ასეთი ქალბატონები-მეთქი, არასდროს ვიტყვი. და, განა ერთი და ორი? ზოგს რომ თან მრავალშვილიანი დედის, ზოგს ტაძრის იღუმენის, ზოგს მეცნიერის და ვინ იტყვის, რა სფეროში მოღვაწე ადამიანის სახით არ ხვდები? და განა ითხოვს ვინმე, ოდესმე, რაიმე შეღავათს? ან რა საკადრებელია?!

* * *

მინდიას განწირულება დაჰყვა ბედად მათ, ვისაც ესმოდა თავისუფლების ენა. მამუკა წიკლაური. სულ გმირის, სულ მხსნელის მომლოდინე, სულ სამართლიანობის გამარჯვების მოიმედე, სულ თავისი კარგახურული დროისა და წარსულის მეჭირისუფლე, სულ მახვილივით შემართული, საკუთარ თუ სამშობლოს სულში სულ წმინდა სიყვარულის გადამრჩენელი, წარსულის ლანდების გამომხმობი, სიმართლის ხატის უნჯი ყმა, სიტყვის რაინდი... მთელი მისი შემოქმედება გამოსაცემია, შესასწავლია. როგორი ძლიერია მისი პოეტური სიტყვა, როგორი ძლიერია მისი პოეზიის სიმართლე და რა რვალივით გაუბზარავია მისი იდეალები! და რა მძაფრია ის სინამდვილეც, რომელსაც მთისიქიდან ამოზრდილი ღრუბელივით ხედავს პოეტი – გარდუვალობა იმისა, რისთვისაც არ ეთმობა არც ადამიანი, არც სამშობლო. და ის ამ განაჩენზე, როგორც მახვილზე, საკუთარი გულით და სიცოცხლით წამოგებული.

* * *

მარტოსულობის დედოფლებიც ხომ არსებობენ?! რა ეშველებოდა უმაგათოდ პოეზიას?! განა ბევრს გადაუდნია ბედისწერა ბაჯაღლოდ? ბევრს დაუურვებია ტკივილები ამგვარ მშვენიერებად? ბევრს ჰქონია ასეთი შეუმცდარი სიტყვის „გეში“?! ბევრს ჰქონია ასეთი ნაყოფიერი მარტოსულობა? სისავსედ ქცეული ეულობა? სად იყვნენ ეს ლექსები შენამდე? სად ითენებდნენ „უმცირესობის მწარე სიმართლეს“? სად იშლებოდნენ ვარდკაჭაჭებივით ტკივილების განთიადებზე, რაში იტევდნენ მზისპირებზე გაალხულ სულთქმას? რა ძალმოსილია შენი სიძლიერე, რა მშვენიერია შენი ნაყოფი, რა მართალია შენი არჩევანი, რა დედოფლურია შენი ერთგულება, ელა!

* * *

ასეთ ჭაპანწყვეტაში, ალბათ, არასდროს უცხოვრია მწერალს. ვიტყვი ამას და ვაჟა-ფშაველა დაგიდგებათ თვალწინ. მე კი ჩემ თანამედროვე მწერლებზე ვამბობ, რამდენს წვალობენ, შრომობენ, წელებზე ფეხს იდგამენ, რომ... და მაინც მშიერი, ჩაუცმელი, ვალებში, უსამსახურო, უწამლისფულო, დაუცველი, პატივმიუგებელი, შვილისთვის არაფერი აქვს, მოკეთეს ვერაფერში ადგება... და თქვენ, ალბათ, ეს სიტყვები მაინც ვაჟა-ფშაველას გაგახსენებენ...

* * *

არცერთ პოეტთან არ ამომიკითხავს ასეთი ძალმოსილებით, ასეთი სიმართლით და ასეთი სიღრმით ომგამოვლილი, ომგადატანილი ადამიანის განცდები, როგორც შაკო ბაკურაძის წიგნში „დასადებელნი წმინდისა აღდგომისანი“. ამ ლექსებიდან ხვდები, რაა არა ნაომარი ჯარისკაცის, არამედ ომნახადი კაცის, ომგადატანილის განცდა, იმ კაცის, რომლისთვის არც არასდროს დამთავრდება ომი, სანამ ცოცხალია! მაგრამ შაკო იმის შაკოა, სიცილით მოკვდება და იტყვის, მარიამო, ამ „ომნახადს“ „ორნახადი“ მირჩევნიაო.

* * *

დროზე ამბობენ, პირუთვნელი მსაჯულიაო. მაგრამ ამის მაგალითებიც ხომ ბევრია, როცა საკუთარი დროის მიერ წაუკითხავი შემოქმედი ძალიან ძნელად იმკვიდრებს თავს სხვა უცხო დროში? პოეტის ცნობილი ფრაზა „დრო, დრო აღნიშნე“, ალბათ, უფრო ღრმა ქვეტექსტის მატარებელი ფორმულაა. იქნებ ასე უნდა მეთქვა: პროცესიდან ამოვარდნილი ავტორი ძნელად პოულობს თავის კუთვნილ ადგილს მერე. ანუ გამოთქმა „ყველაფერს თავის დრო აქვს“, შემოქმედებასაც ეხება?

* * *

კატო ჯავახიშვილს თავისი შინაგანი საკუთარი დროის სისტემა აქვს, თავისი საკუთარი საათი, თავისი საკუთარი ლექსი, თავისი ტკივილები, თავისი სიხარული. და ახალგაზრდული პროტესტი — ყველაზე მშვენიერი და კეთილშობილი ეგოიზმი, სამყაროსთან და ადამიანებთან შეჯახების სისასტიკიდან ცეცხლის ყვავილივით ამოზრდილი. ნუ კითხავთ კატოს, რომელი საათია, თუ დროის გაგება გინდათ, მისი საათი სულ სხვა დროს აჩვენებს. მისი ლექსები უფრო გეტყვით, რა დროა ახლა...

* * *

სადი ნიმარი — ეს სახელი და გვარი, ჩემი საყვარელი პოეტისა, რომლისადმიც მაქვს მიძღვნილი ლექსი „თეთრი ხბორები“, ბევრმა ეძება, დაგუგლა, მაგრამ აბა, ვინ იპოვიდა ჩემ გამოგონილ გვარ-სახელს? ეს ნინია სადღობელაშვილია. ერთი პირობა ვიფიქრეთ, მისი რომანი „ორსული“, ფსევდონიმით გამოსულიყო და რამდენიმე სახელი და გვარი შევარჩიეთ. მერე გადაიფიქრა თავადვე, მე კი ვერ შეველიე ჩემ „გამოგონებას“ სადი, სად-ღობელაშვილ-ი შევამოკლე, ნინოს ნაწილს, ნის, რომელიც შებრუნებით, ჩინურად, არწივს, უფლის რჩეულ ფრთოსანს ნიშნავს, მარიც მივუმატე, ის „მარ“, რომელიც „ღვთიურობის“ აღმნიშვნელია. ჰოდა, ასე გაჩნდა სადი ნიმარი, მართლაც რომ ჩემი უსაყვარლესი პოეტი. ასეთი მოკრძალებული ადამიანი მე სხვა არავინ შემხვედრია, ვაღიარებ. მის ნიჭში მართლა „ღვთის თვალია“, როგორც მზე ყურძნის მწიფე მარცვალში.

* * *

ასეთი ფენომენი ქართულ მწერლობაში, როგორიც ნატო დავითაშვილია, მეორე არაა. ქართული ფენტეზის დედოფალი! ასეთი პასუხისმგებლობით ადამიანი საქმეს ეკიდებოდეს, იშვიათად მინახავს. ნატო ქართველი როულინგია. მისი პროდუქტიულობა სამაგალითოა. თუმცა ძნელია, აკა მორჩილაძის ან როსტომ ჩხეიძის ფონზე ვინმე პროდუქტიულობისათვის შეაქო, ნატო ამას იმსახურებს თავის გამომცემელთან ერთად.

* * *

თანამედროვეობისა და ისტორიზმის იმგვარ ერთობას, რაც ბერძენი ნობელიანტი პოეტის გიორგოს სეფერისის ლექსების თარგმანებზე მუშაობისას ვიგრძენი, აქვს ძალმოსილება, თავისი სამშობლო, როგორც ღირებულება, ნებისმიერ სხვა უცხოს უქციოს სარწმუნოდ, თუნდაც ის საბერძნეთი არ იყოს. დიდი მადლობა მაია კაკაშვილს, რომ ბერძენი ნობელიანტების თარგმნა გადაწყვიტა და მეც დამიმგზავრა ამ გზაზე.

* * *

მითი, ისააო, რაც სულ არსებობს. და გველეშაპიც არ მოისპო, წყაროზე მოკალათებული, ყველაფერი რომ მისია, რასაც მოისურვებს. ახალი მითიური პერსონაჟებიც რომ არსებობენ: მასიური ფსიქოზი, მასიური ცინიზმი, ეკრანული მშვენიერება, მასიური აგრესია, მოწამეობრივი ბოროტება, ქრისტიანული ფანატიზმი, პოეტური აგრესია, მასიური ხათრიანობა, პოლიტიკური აპოლიტიკურობა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

* * *

მეტერლინკის „ნატურფილოსოფიური თხზულებების“ დათო აკრიანისეული თარგმანები მინდა, ვახსენო. საოცრებაა თავად ორგინალური შრომა მწერლისა, მაგრამ არანაკლები საოცრებაა ის ოსტატობა, რითაც მთარგმნელი აქართულებს ამ ტექსტებს. გაოცებული რჩები! ასევე მაოცებს ფილიპ ჟაკოტეს პოეტური პროზის თარგმანების კითხვა. ეს ნისლივით მოსახელთებელი მისტიკა როგორაა გადმოტანილი ერთი ენიდან მეორეზე. აბა, სხვა რაღაა საოცარი ოსტატობა?

* * *

ლელა მეტრეველი, უნიჭიერესი ქალი, პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, დიდი გულშემატკივარია მეორე შესანიშნავი პოეტის, ნოდარ ადეიშვილის. გამზადებული უდევს ნოდარის „100 ლექსი“. ისე მოხდა, გამომცემლობამ ვერ მოახერხა ამ კრებულის საგამომცემლო გეგმაში ჩასმა. როგორ მწყდება გული, როგორ ხშირად მახსენდება ძალიან სიმპატიური ადამიანი თავისი ცისფერი თვალებით და ბავშვური გულით. არსებობენ ადამიანები და ლექსები, რომელთა დავიწყება უბრალოდ არ გვეპატიება, რომლებიც, როგორც არასდროს, ისე ჭირდება დღევანდელ აფორიაქებულ და მშფოთვარე სულს.

* * *

პოეტი და ხელოვანი რომ ყველაზე გაბედული ადამიანი არ იყოს, ვერც ვერაფერს შექმნიდა ახალს. მათგან ყველაზე გაბედულები შემორჩებიან ხოლმე საუკუნეებს. რაც შეეხება მოქალაქეობრივ პოზიციებს და გაბედულებას, ეს ინდივიდუალური თვისებაა. მე მინახავს ადამიანი, ვინც თითქოს შინ არის გამოკეტილი ასკეტი ბერივით, მაგრამ მისი სიტყვით საუკუნეები აიგრაგნებიან და აზროვნების ახალი სივრცეები გადაეშლებათ წინ ადამიანებს. ისეთებიც მინახავს, პარტიულ კონიუნქტურას და ხელოვანის სახელს ერთდროულად რომ იფერებენ და მინახავს შეწირული ადამინებიც, გმირები... დრო თვითონ წარმოშობს ხოლმე ასეთ ადამიანებს, ითხოვს თითქოს, ხატის ყმასავით ხელს ადებს და საკუთარი გზით ატარებს, რათა მათმა სიტყვამ ჭეშმარიტებისათვის იქადაგოს. ასეთი ადამიანების გარეშე საზოგადოება არ ვითარდება, გაბედულება სწორედ ის თვისებაა, რომელზეც მომავალი უნდა დაშენდეს. ბედნიერია ის, ვისაც ეს უნარი „განეჩინება“. მაგრამ აი, ამგვარი დიადი და ეპოქალური სახელოვნებო გაბედულების გვერდით ვაფანატებ უბრალო ადამიანურ გაბედულებას, როცა გაქვს ძალა და უნარიც შეგწევს, სიმართლე მიახალო პირში მოყვასს და ის უთხრა, რისი ღირსიცაა.

* * *

ქართული პოლიფონიური, მრავალხმიანი სიმღერა სხვა ადამიანებთან (და ხალხებთან) თანაცხოვრებისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნების უბრწყინვალესი ნიშანი და მაგალითია. სულის ამ უნარმა მოგვიყვანა დღემდე! საქართველოს ხმა მგონია მარადისობიდან... მშობლიური და მისანდობელი, ხან ხაფი, ხან ძლივს გასაგონი, ხან ამოუცნობი, ათასნაირად მჟღერი, მრავალხმიანი, ვაჟკაცური... ხმა მარადისობიდან, სულ, სულ, გამუდმებით მდინარი, ზოგჯერ სალოსური ხმაა — საკუთარი ღვთაებრივი შეშლილობის მამხილებელი, საკუთარი თავისუფლების მცნობი და ღვთის მოიმედე! და რა არქაულია ქართული ხმა. უსმენ ზოგჯერ ხევისბერს, ან მგალობლებს, ან მომღერლებს და ხვდები, რომ თავად ხმაც გამოცდილია, გამოწრთობილია ჟამებში. და მრავალხმიანობის მეშვეობით ადამიანის განღმრთობის გზასაც გადმოსცემს. უფრო სწორად, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ვიღაც ყოველთვის დაბლა იარსებებს, ვიღაც ავა საშუალო საფეხურზე, ხოლო რჩეული უმაღლეს საფეხურს მიაღწევს, სიმბოლურად წინასწარმეტყველი გამოჩნდება ხოლმე, ან გაჰყვება მას ხალხი, ან ღმერთად იქცევა მესია, ან მხოლოდ რჩეული დარჩება რჩეულად და ხალხი — ხალხად. ო, რა სასწაული სულის გზის მაჩვენებელია ეს მრავალხმიანობაც. ფილოსოფიაა ქართული სიმღერა. კოსმოსის, სამყაროს და ადამიანების ურთიერთმიმართების თავისებური ფილოსოფია.

* * *

მამა ადამი (ახალაძე) რა საოცარ წერილებს წერს პოეტების შემოქმედებაზე. ნეტავ, მედიცინამ დაკარგა ის როგორც ექიმი თუ ლიტერატურამ, როგორც ლიტერატორი? მგონი, არცერთმა – ორთავემ იკმარეს. და განსაკუთრებით შესამჩნევია ამ ბოლო დროს დამკვიდრებული წესი ზეპირი გამოსვლებისა, რომელიც ნათქვამის მიმართ სრულ უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს, თითქოს ქარს და ჰაერს ვანდობთ ჩვენ სიტყვას. ის კი სულ დაწერილს კითხულობს, არა იმიტომ, რომ ზეპირად ვერ შეძლებს ლაპარაკს, არამედ სწორედ ამ სიტყვისადმი, ნათქვამისადმი საკუთარ პასუხისმგებლობას გრძნობს ალბათ (მაკა ჯოხაძესაც მსგავსი რამ ახასიათებს). თანამედროვე სასულიერო პირები ბევრნი არიან ლიტერატურის და, კერძოდ, პოეზიის ტყვეობაში. ხანდახან, სულო ცოდვილო და, მიკვირს, რატომ? ნუთუ მათაც და ჩვენც, საერო პირებს, ერთნაირად შეიძლება ხელს გვრევდეს პოეზიის „ვნება“?! სიტყვა — ერთი უძლიერესი ვნებათაგანი ყველასთვის. მაგრამ ხან ამასაც ვფიქრობ, სიტყვა ვნებაა თუ ადამიანებისათვის მისი მეშვეობით საკუთარი პერსონის გაცხადება-გაზიარების დაუოკებელი სურვილი?! ერთგვარი ვირტუალური და სულიერი სტრიპტიზის მონაწილენი ვართ ყველანი. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ყველა არ ფიქრობს, რას აჩენს, სილამაზეს თუ სიმახინჯეს? ადამიანები მეტად და მეტად მძაფრ ემოციებს ეძიებენ და ამ ემოციების შიმშილით შეპყრობილები არაფერს დაგიდევენ. სულ უფრო გაუცნობიერებელი ხდება სიტყვები „ადამიანო, ეკრძალე თავსა შენსა“.

* * *

გილგამეშიანი... როგორი იქნებოდა კაცობრიობის და სიტყვიერების აზროვნება და განვითარების გზა, თუნდაც ხელოვნების ხასიათი, ამ ტექსტს რომ არ მოეღწია ჩვენამდე?.. ან ასე რომ არ ეაზროვნა და ასე არ განეცადა ადამიანს მარადისობისა და წარმავლობის კატეგორიები? ასე რომ არ სტკენოდა არსებობა?

* * *

ხარანაული წერს: „პოეზიას ჰქონდა შემაღლებული, მოვიდნენ და გადაასწორესო“. ზუსტი ნათქვამია. ჩვენი ეპოქა სხვა „შემაღლებულებზე“ ლოცულობს. მთელ სამყაროში ფულის დიქტატურისა და სიცრუის დიქტატურის „შემაღლებულებია“, მაგრამ ახლა რომ ვიშვიშს მოვყვეთ, რა გამოვა? ის, რომ ზოგადად კულტურაზე მეტი ზრუნვაა საჭირო, ხომ არავინ შემეკამათება? რომ ზრუნვა საჭიროა ცოცხალ კულტურულ პროცესებზეც და არა მხოლოდ სამუზეუმო სექტორზე?! რომ თვითმყოფადობის შენარჩუნებას ჩვენს კულტურაში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ტერიტორიების შენარჩუნებას სამშობლოსათვის? ძალიან რთული ჟამია, მაგრამ მეტი გონიერება გვმართებს. მგონი, ჩვენ თვითონვე უნდა გავხდეთ ეგ „შემაღლებული“, რომ ჩვენში გადავარჩინოთ პოეზია და არა ჩვენი თავი პოეზიაში...

* * *

„ვინც წარმატებას აღწევს მეცნიერებაში, მაგრამ ჩამორჩენილია ზნეობრივად, ის უკან მიდის და არა წინ“ (არისტოტელე). სიმართლეა, რადგან ადამიანი ჯერ ადამიანობით ფასობს და მერე – კარიერული მიღწევებით. თუმცა მაინც პირობითია ეს აზრიც, რადგან შეიძლება ასეთმა მეცნიერმა იმგვარი რამ გამოიგონოს, ზოგადად მთელი კაცობრიობისათვის იქცეს წარმატებისა და კეთილდღეობის გარანტად. ხელოვნებაშიც ასეა, ალბათ, მაგრამ თუ დავუკვირდებით, რაღაც მიზეზების გამო, ადამიანის ფაქტორი არსად აღარ ჩანს ხელოვნებაში. ან იქნებ ჩანს კიდეც? რამდენი ცუდი ადამიანი ქმნის კარგ ხელოვნებას, თითქოს. აქ ცნობილი სუბლიმაციის ფაქტორსაც ენიჭება მნიშვნელობა. უცნაური რესურსია ადამიანისათვის ხელოვნებადქმნადობის, ერთგვარი თამაშის უნარი. ვერც იტყვი ბოლომდე სიმართლეს: ნაკლი ქმნის სისავსეს თუ სისავსე ქმნის ნაკლს?.. პასუხგაუცემელი კითხვაა.

* * *

გარეგნობით მახსოვს ის ტელეეკრანიდან. რამდენი საშინელი საქმე უკეთებია, არადა, რამხელა ავტორიტეტის სახელი თუ ცრუსახელი ჰქონდა. ახლა და ახლა უამრავი ადამიანი წერს ღიად მისი „კაიკაცობის“ შესახებ. სხვების შესახებაც წერენ. მაშინდელი სახელმწიფო იდეოლოგია ეხმარებოდა მას, ფართოდ გაეშალა ბნელი სულისთვის მზაკვრობის ფრთები. ან იქნებ, ასეთ ადამიანებს სულის ნაცვლად რაღაც სხვა აქვთ? თუმცა ამდაგვარი ადამიანების მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ ისევ იუწყებიან ამა თუ იმ სახლებზე აკრული მემორიალური დაფები. ერთი ასეთი დაფა ძველი სამების ეკლესიის გადასწვრივ, ფურცელაძის ქუჩაზე „იწონებს“ თავს. იქნებ, დაფასაც რცხვენია, ასეთი ბედი რომ ერგო? კითხულობდნენ და აფურთხებდნენ... რა ქნას დაფამ? ქვამ რა ქნას, ისიც ადამიანივითაა, უნდა გაუძლოს ბედისწერას. ხომ შეიძლებოდა, ბესო ჟღენტის ნაცვლად სწერებოდა, ვთქვათ, ვახტანგ კოტეტიშვილი? ან რადიანის მაგივრად სწერებოდა, ვთქვათ, ლადო ასათიანი? ბედისწერა ხომ ყველა დაფასაც თავისი დაჰყოლია ადამიანივით, ზოგს დაინახავ და გაგიხარდება, ზოგს დაინახავ და თვალს აარიდებ, ზოგის შეგეშინდება კიდეც, ზოგზე კი იტყვი, ეს ვინღააო და რა უნდაო? ტოვსტონოგოვის ქუჩაზეა ერთი ასეთი დაფა: „აქ, ამა და ამ წლებში, ცხოვრობდა და ქმნიდა გამოჩენილი ქართველი პოეტი იჩქით ბორჯანელი...“ წადი და ეძიე, ვინ იყო, რა დაუწერია...

* * *

ვფიქრობ, რომ არსებობს მდედრობითი, მამრობითი და პოეტის სქესი (ეს ნახევრად ხუმრობით). ადამიანისთვის ის, რაც ღმერთს მიუცია, ბუნებრივია, მათ შორის, სქესიც. და ამ სქესიდან მომდინარეა მისი აზროვნებაც, ესთეტიკაც, მსოფლმხედველობაც. ეს არც ცუდია და არც კარგი. ეს ბუნებრივია! ბუნებრივია ისიც, რომ სქესი იგრძნობოდეს ნაწერში, თუმცა ეს თვითმიზანი არ უნდა იყოს. ყველაფერი ბუნებრივის მომხრე ვარ და მიყვარს, როცა პოეზიაში ჩანს ბუნების იდუმალება, ბუნების სახე, სანახევროდ მოუხელთებელი, მაგრამ ბუნებრივი. იცით, ჩვენთან როგორი სტერეოტიპი არსებობს? აი, იტყვიან ქალზე, თუ ის კარგად და ღრმად აზროვნებს, მამაკაცური პოეზია აქვსო, ანუ არაფრით არ იტყვიან, რომ ის უბრალოდ ძლიერი ქალი პოეტია. ესაა „კლიშე“, რომელიც ჩვენს მანკიერ, აზიატურ აზროვნებას ამჟღავნებს. თითქოს, თუ ქალი კარგია, მაინცადამაინც მამაკაცურია, ხოლო მამაკაცი შეიძლება იყოს ძლიერი პოეტი და მამაკაცურიც. ეს არ მომწონს. გენდერული საკითხი სოციოლოგიის ან რაღაც სხვა სფეროების თემაა, არა მგონია, გენდერზე პოეზია ან პროზა ფიქრობდეს. პოეზია ფიქრობს ადამიანზე, სულ ერთია, ის კაცია თუ ქალი, ხომ?

* * *

ლიტველ ბირიუტე იონაუშკაიტეს და ქართველ ნანა დევიძეს ერთმანეთი რომ არ ეპოვნათ ამხელა სამყაროში, დიდი დანაშაული იქნებოდა. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ მშობლიურ ენაზე ვერ წავიკითხავდით ამ პოლონელი წარმოშობის ლიტველი მწერლის გასაოცარ პროზას — მოთხრობებს, რომელსაც თითქოს რეზო ინანიშვილის სულიერი და წერდა ათასობით კილომეტრით დაშორებული, სულ სხვა ენობრივ წიაღში. ამ ქალბატონის წიგნი „ჩუმი ყვავილობა“ არა მხოლოდ ნანა დევიძის მაღალმხატვრული თარგმანის დონითაა საინტერესო, არამედ იმ ღირებულებებით, რომელსაც ჩვენმა მწერლობის ნაწილმა კარგა ხანია ცხვირი აუბზუა. სრულიად ამაოდ კი. და დღეს, როცა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებისათვის თარგმნილ ლიტერატურას ეძებენ, ბირიუტეს მოთხრობები უნდა ეძებონ ნანა დევიძისეული თარგმანით.

* * *

ერთხელ თანამედროვეობის არაჩვეულებრივმა პოეტმა, მანანა ჩიტიშვილმა რადიოგადაცემაში ასეთი პასუხი გასცა კითხვას, რას წერდა იგი, როგორც პროფესიონალი ლიტერატორი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლექსების გარდა? პასუხი იყო ნამდვილი ქართლელი ქალის პასუხი: მტკიცე, მიკიბმოკიბვის გარეშე, შეუვალი, მოკლე და ნათელი: მე ჩემი სათქმელისათვის ლექსი სრულად მყოფნის! და მე შემრცხვა, ამდენ რამეს რომ ვედები. ნამდვილი პროფესიონალია თავის საქმის! აქვე ერთ ამბავსაც გეტყვით. წლების წინ შორეული მხრიდან წერილი მიიღო პატიმრისგან, რომელსაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაბეჭდილი მისი ლექსები წაეკითხა. წერილი არ იწყებოდა სტანდარტული მიმართვით, როგორიცაა ქალბატონო მანანა, ძვირფასო პოეტო. წერილი იწყებოდა ასე: „გამარჯობა, ჩემო მიწა-წყალო“. განა შეიძლება, ეს ოდესმე დაგავიწყდეს? ჩვენი პოეტები, გულის პოეტები, განა მართლა ჩვენი მიწა-წყალი არ არიან? და განა ტყუილად ამბობს ლია სტურუა – „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი ლიტერატურული სამშობლოაო? განა დიდი განსხვავებაა ამ ორ დეფინიციას შორის?

* * *

პოემები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და მსოფლხედველობის ხერხემალია. ამ ხერხემლის მაღლებს თავის თანმიმდევრობას ნუ დავუკარგავთ, ნუ ავურევთ. ამასაც აქვს მნიშვნელობა, საიდან საითკენ მიემართება ავტორი: „ალუდა ქეთელაური“ – 1888, „ბახტრიონი“ – 1892, „სტუმარ-მასპინძელი“ – 1893, „სისხლის ძიება“ – 1897, „ახუნდი“ – 1898, „გველისმჭამელი“ – 1901. 26 წლის ვაჟა უკვე თავის მთავარ თემას, მთავარ სათქმელს ეჭიდება და წარმატებით წყვეტს „ალუდა ქეთელაურში“. „ბახტრიონი“ – რაზეა ეს პოემა? პატრიოტიზმზე? მტრის დაძლევაზე? რას და როგორ გვასწავლიან სკოლებში? არადა, სკოლაში ნასწავლი იგივეა, რაც მისჯილობაში – განაჩენი „სიკვდილამდე“. ხშირად მახსენდება ეზრა პაუნდის ერთი პატარა ლექსი, დაახლოებით ასე რომ ჟღერს: „მე ვიცი, რა მოგეცი, მაგრამ არ ვიცი, რა აიღე“. ეს ლექსი-ფორმულა აფორისტულ ხასიათს რომ ატარებს, ზუსტად ესადაგება ხელოვნების ნიმუშის აღქმის უცნაურ პროცესს. ბავშვი სხვას გაიგებს, დიდი – სხვას, საკვები ყველასთვის მოიძებნება, მაგრამ არათანაბარი და არაერთნაირი იქნება ის. ეს პოემა ბოროტების გაკეთილშობილების იმედზეა, ბოროტების არსის სიკეთის არსად ქცევაზეა, დიდ სიყვარულზე, საკაცობრიოზე კი არა მხოლოდ, არამედ იმ სიყვარულზე, რაც ღვთისგაჩენილ ბუნებაში ვლინდება ერთურთის მიმართ ყველა არსებათა შორის, რომელიც სწორედ მგლური კანონების, გაუტანლობის, მარადი მტრობის ანტისახე, ანტიარსი და სულაც მეტაარსია. მთელი „ბახტრიონი“ იმისთვის დაიწერა, რომ ბოლოს სწორედ გველს გასჩენოდა სურვილი ლუხუმის დახმარებისა! ყველა სხვა თემა ამ დასკვნამდე მისვლის საშუალებაა, და მიუხედავად ძალიან ქართული პრობლემატიკისა, მიუხედავავად დიდი პატრიოტული სულისკვეთებისა, მიუხედავად ისტორიული ნამდვილობისა და გამონაგონისა, ყველაფერი არაფერია ამ საფინალო აპოთეოზის ფონზე. არც ეროვნება, არც რელიგია, არც დრო-ჟამობის ნიშანი, არც გეოგრაფიული სივრცე-არეალი არ ზღუდავს და არ განსაზღვრავს იმას, რაც ფინალში ხდება: ბოროტი მოექცევა კეთილის სამსახურად! ამაზე მეტი, ამაზე მაღალი, ამაზე სანატრელი კაცთა მოდგმას არასდროს არაფერი ჰქონია და ვეჭვობ, არც ექნება. ეს იგივეა, ყველა ომი მშვიდობად იქცეს, ყველა მავნეობა, ყველა ვნება — სათნოებად. ეს იგივეა, იძლიოს ეშმაკი და დედამიწაზე ახალი ადამიანი, ახალი კაცი იშვას — განიღმრთოს ადამიანი ადამიანშივე! თუმცა, ისიც ყურადღებამისაქცევია, რომ მისი მნიშვნელოვანი და გამორჩეული პოემებიდან 1901 წლითაა დათარიღებული „გველისმჭამელი“, პოემა, რომლითაც დასრულდა ვაჟას დიდი პოემების ციკლი და საბოლოო დასკვნაც დაიდო: ადამიანი, სიბრძნეს ნაზიარები, ჭეშმარიტებას ნაზიარები, განწირულია, რადგან, როგორც კი იგი უფრო მაღალ კატეგორიაში გადავა, როგორც კი იგი ჩვეულებრივი კაცის სამანს გადალახავს, აღარაა მისი ადგილი საზოგადოებაში, იწყება დამღუპველი კონფლიქტი და მარცხიც გარდუვალი ხდება. ანუ, კაცს – კაცისა და კეისარს – კეისრისა! სამანი სამანადვე რჩება. რჩეული განწირულია! ეს დასკვნა იქნებ ზოგისთვის საკამათოც იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაწერილი პოემა ასევე წინასწარმეტყველურია, ზოგადად მეოცე საუკუნის ადამიანის მენტალობისა და ცივილიზაციის მიერ ადამიანისა და ბუნების სრული გათიშულობის მაუწყებელიც. გავა ერთი საუკუნე და მისივე თვისტომი დაწერს პოემას, რომლითაც კიდევ ერთხელ გაცხადდება, რომ ყველა საუკუნეს თავისი ქადაგი ეძლევა. რომ ამ ქადაგს, განსხვავებულს, დახელთილს და სამანგადალახულ ადამიანს, თითქმის სალოსს, ისევ ეუწყება მომავალი. და ისევ კონფლიქტი. რადგან, როგორც ჩანს, საზოგადოება, მასა, ხალხი ყოველთვის ეძებს და ელტვის კალაპოტს და განუდგება თავისაგან განსხვავებულს, არასტანდარტულს, მას, ვისაც აქვს უნარი განჭვრიტოს მომავალი და აიძულოს ადამიანები, იფიქრონ საკუთარ თუ სამყაროს არსთა შეცნობაზე! თუმცა ისინი ყველა დროში განწირულები არიან საიმისოდ, ერქვათ ჩვეულებრივი ადამიანი!

* * *

ძველი თაობის საბავშვო მწერლებს იხსენებდნენ კოლეგები. აღმოვაჩინეთ, რომ მათი უმრავლესობა, იაკობ გოგებაშვილის „თამადობით“, მღვდლის შვილები იყვნენ და ცქვიტი – ანა ხახუტაშვილი (ასევე მღვდლის შვილი) — რომ გაიხსენა ერთერთმა, მოჰყვა მისი ცხოვრების ბოლო პერიოდზე. ერთხელ სტუმრად ვიყავით მოსანახულებლადო, ავად იყო, იწვაო და თავის განუყრელი ხელჯოხიც იქავე ედო საწოლთანო. ვსაუბრობდითო, სუსტად იყო და მიკნავებული ხმით გველაპარაკებოდაო. მოულოდნელად, უცებ ძალუმად წამოიწია, წამოჯდა, მიაშტერდა რაღაცას თავის პირდაპირ, მერე წამოავლო ხელი ჯოხს და მოუღერა, შენ უნდა მაჯობო, შეოხერო, დაიკარგე აქედანო, და ჯოხი მოუქნია მთელი ძალითო. ხმაც ისეთი ხაფი ამოუშვა, გავკვირდითო. მერე მიწვაო ისევეო, და ჩაილაპარაკა: სიკვდილი იყოო...

მწერალი

გივი მარგველაშვილი

ერთი თვის წინ, 2014 წლის 14 დეკემბერს, ცნობილ ქართველ-გერმანელ მწერალს გივი მარგველაშვილს 87 წელი შეუსრულდა. მართალია, ბატონი გივი, ბოლო ხანს, საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ შემოქმედებითი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გერმანიაში გაატარა და იქ უკეთ იცნობენ, მისი წიგნების დიდი ნაწილი გერმანულ ენაზეა დაწერილი და დაბეჭდილი (das Leseleben, Fluchtästhetische Novelle, Kapitän Wakusch 1. In Deuxiland, Kapitän Wakusch 2. Sachsenhäuschen, Der verwunderte Mauerzeitungsleser, Der Kantakt, Vom Tod eines alten Lesers, Zuschauerräume...). საქართველოში მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა წრე შედარებით მცირეა, რის მიზეზადაც, ნაწილობრივ, შეიძლება, მივიჩნიოთ თარგმანის სიმწირე (ქართულად თარგმნილია „კაპიტანი ვაკუშის“ ერთი წიგნი, „მუცალი“, ლექსების კრებული „მე წიგნის გმირი ვარ“, პიესები „მოწმენი სარეში“ და ფილოსოფიურ ნაშრომთა კრებული „ფინალობის პრობლემა ნიკოლაი ჰარტმანისა და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიებში“). ძალზე გულდასაწყვეტი ფაქტია, რომ მისი ვრცელი ავტობიოგრაფიული რომანის „კაპიტანი ვაკუშის“ 7 წიგნიდან მხოლოდ ერთია თარგმნილი ქართულად, არადა, ეს ქართველი ემიგრანტის თვალით დანახული და უაღრესად საინტერესოდ აღწერილი XX საუკუნეა: 20-30-იანი წლების გერმანია, ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკი, შემდეგ საბჭოთა კავშირი... დაზუსტებით იმასაც ვერ ვიტყვით, რა არის ამის შემდეგ, რადგან გერმანულ ენაზეც კი რომანის მხოლოდ 3 ტომია გამოცემული...

ბატონი გივი ძალზე სასიამოვნო მასპინძელი და კარგი მოსაუბრეა, საუბრისას ხშირად გეკითხება აზრს და ყურადღებით გისმენს. ასეთ დროს შთაბეჭდილება გრჩება, რომ მწერლური თვალით შენში რაღაცის ამოცნობას ან დანახვას ლამობს. ეს უთუოდ ის „ადამიანთმცოდნეობის“ თვალია, რომელიც მხოლოდ ნამდვილ მწერლებს აქვთ. ვსაუბრობთ ყველაფერზე: დღევანდელობაზე, საქართველოსა თუ მსოფლიოს პრობლემებზე, კულტურაზე, განათლებაზე; თუმცა, ძირითადად, მაინც ლიტერატურაზე...

— ბატონო გივი, როდის დაიწყეთ წერა და კონკრეტულად როდის გაჩნდა „კაპიტანი ვაკუშის“ დაწერის იდეა?

— მას შემდეგ, რაც საქართველოში მოვხვდი, გერმანიაში არაფერს ვწერდი, თუმცა ყველაფერი ეს უმნიშვნელო იყო. სერიოზულად წერა „კაპიტანი ვაკუშით“ დავიწყე მაშინ, როდესაც თბილისში შევედი ჩემს ბინაში. ეს იყო 1961 წელს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წერას მაშინ დავიწყებდი, როცა მარტო ვიქნებოდი. საერთოდ, წერის დროს მარტო უნდა იყო. ჩემმა ცხოვრებამ თვითონ მიკარნახა ეს და ასე დაიწერა „ვაკუშის“ პირველი, მეორე, მესამე წიგნი. ახლა უკვე 7 ტომია.

— თავიდანვე ფიქრობდით, რომ ამდენი გამოვიდოდა თუ წერის პროცესმა მოიტანა ასე?

— თავიდან არანაირი გეგმა არ მქონია, ჩემთვის წერის პროცესში მთავარი გზის მაჩვენებელი მოგონებები იყო. ასე, თავისთავად, გამოვიდა 7 ტომი.

— რაც შეეხება გამოცემას, დღეს „ვაკუშის“ მხოლოდ 3 წიგნია დაბეჭდილი გერმანულ ენაზე (I-II გერმანიაში, III საქართველოში „კავკასიური სახლის“ მიერ), როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

— ჩვენ ყველანი, მე და ჩემი მეგობრები, მამარდაშვილის ჯგუფში ვიყავით. ვფიქრობდით, რომ, როცა საბჭოთა წყობა დამთავრდება, ყველაფერი ფანტასტიკურად იქნება, ყველა გახდება თავისუფალი და გააკეთებს იმას, რაც უნდა. ასე ფიქრი შეცდომა იყო. ამას მივხვდი მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოვხვდი დასავლეთ გერმანიაში. მათ ჰქონდათ ის თავისუფლება, რასაც ვნატრობდით ჩვენ. მაგრამ გერმანელები ძალიან კონსერვატიული ხალხია, ახალს უნდობლობით ეკიდებიან. ლიტერატურაში თუკი რეალიზმს აღწერ — ეს არ არის ხელოვნება, არ არის ნამდვილი ლიტერატურა. მწერალმა სილამაზე უნდა გამოიგონოს და ეს ყოველთვის რეალიზმის საფუძველზე უნდა მოხდეს. მე რეალისტი არა ვარ. თავიდან მიმიღეს დიდი ინტერესით, დამიბეჭდეს რაღაცები, „მუცალი“ დამიბეჭდეს, მაგრამ აი, შემოვიარე მთელი დასავლეთ გერმანიის ყველა დაწინაურებული გამომცემლობა და არც ერთმა არ მოკიდა ხელი ჩემი ნაწარმოებების ბეჭდვას. რატომ? ამის მიზეზი იყო წერის რეალისტური, გონიერი მანერიდან გადახვევა. 5 წელიწადი ვიჯექი უგამომცემლოდ. ვფიქრე, რომ ყველაფერი დამთავრდა, აქაც, გერმანიაში, ევროპაშიც ვერაფერს მივიღებ — ყველგან ერთნაირად, რეალისტურადაა განწყობილი მკითხველიც და მწერალიც. მერე სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა გამომცემლობა Verbrecher Verlag, ახალგაზრდა ადამიანები, ისეთივე მისწრაფებებითა და სურვილებით სავსე, როგორითაც მე — დაებეჭდათ რაღაც ახალი. სწორედ მათ გადაწყვიტეს „ვაკუშის“ დაბეჭდვა და მივხვდი, რომ რაღაც ახალი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. პრიზები მანამდეც მქონდა მიღებული, უკვე 4 პრიზი. ძალიან საინტერესოა, რომ შეიძლება პრიზები გქონდეს, მაგრამ შენი წიგნები არ იყიდებოდეს. გამომცემელი ყოველთვის დაინტერესებულია მოგებით, თუ ვერ ყიდის წიგნს, მისთვის არ ხარ საინტერესო. შესაბამისად, მწერალი ზარალდება. დღეს გამომცემლობა შემობრუნდა ჩემკენ. რამდენიმე ხნის წინ დამირეკა ჩემმა გამომცემელმა და მითხრა: თქვენ ხართ ჩემი ცენტრალური ავტორი. ეს ახალგაზრდები აპირებენ, გააგრძელონ ჩემი შემოქმედების ბეჭდვა. ასეთია ჩემი შრომითი გზა იქ. მქონდა ისეთი მომენტებიც, რომ თავი სიზმარში მეგონა. ხშირად მიფიქრია, ნუთუ ამ ჩემს შრომას ვერავინ ხედავს ვერც გერმანიაში?

— რადგან მათ გამოიჩინეს ინიციატივა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ადამიანები დღეს უკვე დაინტერესდნენ ამგვარი ლიტერატურით?

— ამ გამომცემლობამ მიიღო დიდი პრიზი. მაშინ არავინ იცნობდა მათ, დღეს კი უკვე ცნობილი არიან. როგორც მითხრეს, მათ დიდი გეგმები აქვთ ჩემთან დაკავშირებით. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. შეიძლება, ეს გამოცემა ისევ ისეთი



„ველოდები, მოხდება რაღაც დიდი“

მოკრძალებული იყოს, როგორიც აქამდე იყო. კიდევ გავიმეორებ, ის დაინტერესებულია შენით მაშინ, როცა დიდი წარმატება მოგაქვს მისთვის. ახლა მოლოდინით ვარ სავსე... მთელი ცხოვრება მოლოდინში ვარ, რომ რამე იქნება, 87 წელია, რაღაცას ველი, მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ შეიძლება, ესეც არ ყოფილიყო?!

— როცა გასული საუკუნის 60-იან წლებში „კაპიტანი ვაკუშის“ წერა დაიწყეთ, საბჭოთა კავშირში მკაცრი ცენზურა იყო. მეორეც, ჩვენთან ამგვარი ტიპის ლიტერატურა (პოსტმოდერნისტულს ვგულისხმობ) არ არსებობდა. ბატონო გივი, მკითხველისთვისაც და ლიტერატურის მკვლევრისთვისაც ძალიან საინტერესოა, იცნობდით იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურას თუ წერის პროცესმა თავისთავად წაგიყვანათ აქეთ? მართალია, თქვენ ენობრივი ბარიერი არ გქონდათ და დედანში შეგეძლოთ წაკითხვა, მაგრამ რამდენად იყო შესაძლებელი საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში ასეთი ლიტერატურის გაცნობა?

— იცით, მე მქონდა ძალიან კარგი ანტენა, უცხოურ არხებს ვიჭერდი რადიოთი და რაღაც გადაცემებს ვუსმენდი. ამას გარდა, ჩემთან დადიოდნენ ტურისტები და მოჰქონდათ წიგნები. არის ასეთი პიროვნება — მზია ბაქრაძე. ის დადიოდა საფრანგეთში და იქიდანაც ჩამოჰქონდა ლიტერატურა ჩემთვის. ყველაფერ ამას ვკითხულობდი. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ რაღაც სხვანაირი უნდა გამეკეთებინა. ამავდროულად, ვმუშაობდი ფილოსოფიაში და ამანაც ბევრი რამ განაპირობა. ფილოსოფია კარგი ნიადაგია ლიტერატურული შემოქმედებისათვის. უცებ დავინახე, რომ რაღაც დავწერე და ეს მომეწონა. მამარდაშვილი ამბობდა, ჩვენ ყველა თვითნასწავლები ვართო. ჩემთვის ეს სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მე რამე ვიპოვე და გავიგე, ყველაფერი თავად ვიპოვე და გავიგე. როდესაც ფილოსოფიით დავინტერესდი უცხო ენათა ინსტიტუტში, მაშინ გავიგე ჰაიდეგერის არსებობა. ძალიან მომეწონა, მოსკოვიდან გამოვიწერე მისი წიგნი და რომ წავიკითხე, საოცრება მოხდა — თითქოს ახალი სამყარო გადაიშალა ჩემ წინაშე. სწორედ ამ წიგნმა დამაყენა ფილოსოფიის გზაზე. რა თქმა უნდა, ამანაც დაამატა ჩემს ლიტერატურას რაღაც, იგი იქცა საფუძვლად. ეს ყველაფერი გამოვიყენე და ამ სიტუაციაში ვარ დღესაც.

— ავტობიოგრაფიული რომანის ჟანრი გულისხმობს როგორც რეალური, ისე ავტორის ფანტაზიით შექმნილი ამბების გადმოცემას, რას იტყვით ამ თვალსაზრისით „კაპიტან ვაკუშზე“?

— მე და ვაკუში არ ვართ აბსოლუტურად იდენტურნი. გადავწყვიტე და გავაკეთე ასე: ცოტა უნდა იყოს ჩემი და უმთავრესი — მისი. ვაკუში არის ისეთი, როგორიც იყო ყველა ახალგაზრდა მაშინ, ემიგრანტზეა ლაპარაკი. ვაკუში უნდა ყოფილიყო განსახიერება ნორმალური ემიგრანტი ახალგაზრდისა. იმედია, გამომივიდა.

— რას იტყვით ვაკუშის ორ მეგობარზე — ვოლფსა და გეორგზე, მათ ჰყავთ პროტოტიპები?

— კი, ისინი რეალური პიროვნებები არიან. ვოლფი დღემდე ცხოვრობს გერმანიაში, გეორგი ფოტოგრაფი გახდა და შემდეგ ერთ-ერთი წამყვანი, ცნობილი არქიტექტორი. ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ ბავშვობაში.

— გქონდათ მათთან რაიმე სახის ურთიერთობა საბჭოთა პერიოდში თუ ეს მაშინ შეუძლებელი იყო? რა ურთიერთობა გაქვთ ახლა?

— ახლა ისეთი ურთიერთობა აღარ მაქვს, გეორგი დღეს მარტო ცხოვრობს თავის ვილაში, მოხუცია უკვე. მაგრამ ჩამოსული იყო საბჭოთა კავშირში და, წარმოიდგინეთ, თვითონ მომძებნა, თბილისში ჩამოვიდა, სასტუმროში უკითხავს ჩემზე, თუ იცნობთო, და ასე ვნახე წლების მერე.

— მინდა, გკითხოთ რომანის მხატვრული სახეების შესახებ. კითხვისას თვალშისაცემია მეცხვარე ამირანის სახელი. გამიჩნდა აზრი, რომ ესაა მითიური ამირანის პაროდირებული სახე...

— ეს კრებითი სახეა ქართველი ემიგრანტის. ქართველი ტყვეები ხშირად ხვდებოდნენ ხოლმე ემიგრაციაში და შემდეგ მოდიოდნენ ჩვენთან. მე იქ გავიცანი ისინი. რაც შეეხება მითოსს, ვიცოდი, რომ ქართულ მითოსში იყო ასეთი სახე. მე მგონი, გამომივიდა...

— გეთანხმებით, ამირანის სახე ძალზე საინტერესოდ გამოჩნდა რომანში. რაც შეეხება „კაპიტანი ვაკუშის“ ქართულ თარგმანს, ეს მთარგმნელის იდეა იყო?

— „ვაკუში“ არ არის სრული ტექსტი, შემოკლებულია. კარლო ჯორჯანელი ჩემი კარგი მეგობარი იყო, თვითონ მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ უნდოდა თარგმნა, ოღონდ მთხოვა, ტექსტში არის ისეთი რაღაცები, რაც ჩვენი ქართული საზოგადოებისათვის ძნელად მისაღები იქნება... მომეცი ნება, რომ არ ვთარგმნო და ამოვიღო. ზედმეტი სექსი და ნარკოტიკები დიქტატურული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ის ებრძვის მას, როგორც თავისუფლების გამოხატულებას. ამიტომ ამ ყველაფერს თავისუფლების სახე აქვს რომანში. ოთხ კედელს შორის გააკეთებ, რასაც გინდა, მაგრამ საჯაროდ ამას ვერ გამოფენ.

— ასევე საინტერესო სიმბოლოებია გოგლიმოგლი და დიქსილენდი, რომანის კითხვისას ჩემთვის ეს იყო დიქტატურისა და თავისუფლების შერკინება.

— გოგლიმოგლი არის ის იდეოლოგია, რომელიც ისე უნდა მიიღო, როგორც გოგლიმოგლი პატარა ბავშვმა, მაგრამ თუ ბევრია, მაშინ უკვე სახიფათოა. „მოგლ“ გერმანულად სიკვდილს ნიშნავს, ზედმეტი გოგლიმოგლიც სასიკვდილოა, პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით.

— მინდა, გკითხოთ გრიგოლ რობაქიძის შესახებ, თქვენს რომანში ვაკუში კითხულობს „გველის პერანგს“, პირადად თუ იცნობდით მას?

— კი, ვიცნობდი. როდესაც ჩვენთან მოდიოდა, პატარა ბიჭი ვიყავი. უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან საინტერესო ადამიანი და მართლაც დიდი პიროვნება იყო.

— დაბოლოს, რა სტადიაზეა ამჟამად „ვაკუშის“ მე-8 წიგნი?

— მერვე წიგნში ჩემი თვალით დანახული თანამედროვე ეპოქა, დღევანდელობა მსურს, აღვწერო. ამჟამად ვაგროვებ მასალებს, ვინიშნავ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, ველოდები, რომ მოხდება რაღაც დიდი, გარდამტეხი და ეს იქნება ჩემი „ვაკუშის“ მერვე წიგნის ბიძგისმიმცემი. ველოდები...

ესაუბრა ადა ნემსაძე

გამა, ერა და რა

მარიამ ჯანელიძე

დებიუტი

...ჩემი ჩანაწერები ხშირად იწყება სამი წერტილით, გაურკვეველი საწყისით, რომლის ახსნაც მკითხველს თავად უწევს ხოლმე. თუმცა, ამჯერად წერტილებს სახელებს დავარქმევ და შევეცდები, გაგიადვილოთ მათი არსის ამოცნობა. ...ესენია გამა, ერა და რა — სამი სუბსტანცია, რომელსაც ყოველთვის თან სდევს სამი არსება, სამი ბიბლიური პერსონაჟი: ადამი, ევა და გველი.

დობისაც ისევე ჰქონდა თავისი ზღაპრული სამყარო, პატარა მინდორში გაშენებული ქალაქი, როგორც ყველა ბავშვს. ერთი ჩვეულებრივი ყურებპარტყუნა ბიჭი იყო, ოდნავ დახრილი, დაღვრემილი თვალებით, რომელმაც არარსებულ მინდორზე თავისთვის ხის ქოხები ააშენა და ნაცნობი სათამაშოები შეასახლა. ყოველდღე მათთვის საკვები და წყალი მიჰქონდა. ახალგამოგონილ თამაშებს ათამაშებდა და დღის ბოლოს, დედამიწაზე დაბრუნებულს, უკვე გვარიანად დაღლილს, მშვიდად ეძინებოდა. დობისთვისაც არსებობდა სამი სუბსტანცია და მათგან ორი იყო ყველგან, იყო დედამიწაზეც — სახლში, იყო თავის გაშენებულ ქალაქშიც, იყო ბაღშიც, პარკშიც, ეზოშიც... ერთხელ პატარა ბიჭმა გადაწყვიტა, ერთ-ერთ მათგანს გამოლაპარაკებოდა და, ქოხებისკენ მიმავალი, ბილიკზე შეჩერდა. გამა დატოტილ ხეზე იჯდა. ის არ ჰგავდა ადამიანს, ის არაფერს ჰგავდა ისეთს, რასაც დედამიწაზე შევხვდრილვართ: არც რაიმე ცხოველი იყო, არც რაიმე მცენარე. იყო უფორმო, როგორც ახალფეხადგმული ბავშვის ნახატი; და იყო ძალიან ფერადი — რა ვარიაციას არ შეხვდებოდით მის აბსტრაქტულ სხეულზე. იმ დღეს, როცა დობი გამოელაპარაკა, გამას ხელში ფუნჯი და პალიტრა ეჭირა და ფოთლებს ღებავდა.

— გამარჯობა! მე დობი ვარ, თქვენ რა გქვიათ?

— გამარჯობა, პატარა ბიჭო, გამა ვარ.

— რატომ ხართ ყველგან, სადაც არ უნდა წავიდე?

— შენ შეიძლება, ჯერ ვერ მიხვდე, ჩემო პატარა: მე ვარ სამყაროს არსიდან ერთ-ერთი და ვიქნები ყოველთვის, სადაც არ უნდა წახვიდე. მაგრამ გავა დრო და შენც, ალბათ, სხვა ადამიანებივით გაგიჭირდება ჩემი დანახვა.

— რატომ? — დაისვა მარადიული კითხვა, რომელსაც ყველა მცირეწლოვანი სვამს და რომელზე პასუხის გაცემაც ყველას უჭირს.

— გაიზრდები და მიხვდები.

— არა, მინდა, ახლა გავიგო: რატომ ხარ? რას აკეთებ ყველგან? და რატომ შეიძლება, ვეღარ გნახო?

— შენ ჯერ პატარა ბიჭი ხარ, სუფთა სულით, და ხედავ ყველაფერს. ადამიანები ზრდასთან ერთად იგებენ ბევრ რაღაცას. ეს რაღაცები ხშირად ბინძურია. აი, ისევე, როგორც შენი მაისური ეზოში თამაშის მერე, და ეს სიბინძურე პალიტრაზე მუქ ლაქებად ჩნდება. პალიტრა, რომელიც ხელში მიჭირავს და შენთვის ჯერ ფერადია, დიდი ადამიანებისთვის მუქდება, შავდება, ყავისფრდება, მეც მეცვლება ფერი და მათთვის უმნიშვნელო ვხდები. დიდ ადამიანებს უამრავი საქმე აქვთ, არ სცალიათ ფერებისთვის... მათთან ხშირად მიდიან ადამი, ევა და გველი... მე უინტერესო ვხდები. ისინი არ ცდილობენ, დამინახონ. ამიტომ ვქრები წლების მატებასთან ერთად. რჩება პალიტრა რამდენიმე ფერით და ამ ფერებში ნაწილდება სიყვარულიც, სიძულვილიც, სიკეთეც და ბოროტებაც... ადამიანები ნელ-ნელა სიყვარულის ნიჭსაც კარგავენ და ამ გრძნობასაც ყველასთვის ერთი ფერი აქვს... ისიც დიდი ადამიანების პალიტრაზეა.

— ვერაფერი გავიგე...

— მე ხომ გითხარი, ჯერ ძალიან პატარა ხარ და ვერ გაიგებ-მეთქი, — გაიღიმა გამამ, — უბრალოდ, ეცადე, არასდროს დამივიწყო და ყოველთვის მომძებნე; ყოველთვის ეცადე, დაინახო ეს პალიტრა, რომ, რაც შეიძლება, დიდხანს იყო ბავშვი!

— და ადამი, ევა და გველი ვინ არიან?

— ამისთვისაც პატარა ხარ, ჩემო ბიჭო! გაიზრდები და აუცილებლად მოგიწევს მათთან შეხვედრა. მერე გამიხსენებ...

— რამდენ რამეს გავიგებ, რომ გავიზრდები! ნეტავ, მალე გავხდე დიდი!..

— არა, ეცადე, რომ, რაც შეიძლება, დიდხანს აარიდო თვალი ამ სამ არსებას! მათ თავიდან ლანდებად დაინახავ ხოლმე, მერე გამოიკვეთება კონტურები... ისინი ყოველდღიურად უფრო და უფრო მოგიახლოვდებიან... გამოგკვეთავენ უცხო ხილით, სხვადასხვა გრძნობებით, ვნებით... მერე გამიხსენებ, ახლა ძალიან პატარა ხარ...

— არ ვარ პატარა, მე უკვე ბევრი რაღაც ვიცი: უკვე კითხვაც ვისწავლე და ამასაც მივხვდები, ოღონდ ამიხსენი, რა არის ლანდი? ან ვნება?

— დაგაგვიანდება, დობი, შენი მეგობრები გელოდებიან და, თუ არ იჩქარე, შემოგაღამდება! სხვა დროს გავაგრძელოთ ლაპარაკი, უნდა მოვასწრო შეღებვა, თორემ დადგა გაზაფხული და ფოთლები ჯერ ისევ უფერულია.

დამშვიდობებაც კი დაავიწყდა დობის, ისე გააგრძელა გზა. ერთი და იგივე სიტყვები უტრიალებდა თავში — ლანდი, ვნება, ადამი, ევა... რა უცნაური ვინმე იყო ეს გამა, ან რა სახელი ჰქონდა. „კიდევ რომ ვნახავ, უნდა ვკითხო, ვინ დაარქვა? ნეტავ, დედა თუ ჰყავს ან მამა?“ — ფიქრობდა დობი.

გამა ფერი იყო. ის იტევდა ყველაფერს. ბიჭის სული კი, ჯერ კიდევ უცოდველი, ვაშლუჭმელი, ხედავდა მას სულითხორცამდე. სახელი ადამიანებმა უსახსოვრეს, ის იყო ფერთა გამა, რომლის დანახვაც დიდ ადამიანებს ყოველთვის ეზარებოდათ...

გავიდა რამდენიმე დღე, უცნაურ არსებასთან დიალოგი დობის მალევე დაავიწყდა — ისევ ყოველდღე ხედავდა გამას, მაგრამ ისევე არ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც საუბრამდე; იშვიათად თუ გაახსენდებოდა მასთან შეხვედრა. პატარა ბიჭისთვის ის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც გაზაფხულისთვის საგულდაგულოდ შეღებილი ფოთლები...

დროის სვლასთან ერთად ჩვენი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს უფრო ხშირად ხვდებოდა თვალში ერა. მას გრძელი კაბა ეცვა, გაურკვეველი ფერის, თითქოს, თეთრი, რომელიც უსასრულობაში იკარგებოდა — ვერ მიხვდებოდი სიგრძესა და ფორმას; ლანდს ჰგავდა, რომელიც ნელ-ნელა მკვეთრდებოდა, როგორც ადამი, ევა და გველი, გამას მოყოლით. ერთი პირობა, დობიმ ისიც იფიქრა: „ამაზე ხომ არ მელაპარაკებოდა გამა?“ მაგრამ ერა ერთი იყო და ისინი — სამნი, თან ჯერ არც იმდენად გაზრდილიყო. იქნებ, ადრე მოაკითხეს? იქნებ, მალე გახდა დიდი? გამა ისე გაურკვევლად ელაპარაკებოდა, არ იყო გამორიცხული, ერა მართლა ყოფილიყო ადამი, ევა და გველი. შეიძლება, სამი სახელი ჰქონდა — ერთი თავისი, მეორე — მოფერებით შერქმეული და მესამე... მმმ... მესამეს, შეიძლება, ეზოში ეძახდნენ მეგობრები და ისიც ისევე ჩუმად იპარებოდა ხოლმე დობის სამყაროში, როგორც თავად დობი. ფიქრები არ შორდებოდა ჩვენს პატარა ბიჭს. ამიტომ გადაწყვიტა, უსხეულო, უცნაური არსება გამასავით გაეცნო და გაეგო, რა ესაქმებოდა ყველგან, სადაც არ უნდა წასულიყო.

— გამარჯობა, თქვენ ადამი, ევა და გველი ხართ?

უცნაურ არსებას არ უპასუხია — ზემოთ აეწია სახე და თვალებგანაბული, თვალდახუჭული, ქანდაკებასავით გაქვავებულიყო. ხელში „ჯოხი“ ეჭირა, ისიც ზემოთ აზიდული.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, რაღაც მინდა გკითხოთ — ისევ სცადა გამოლაპარაკება, — ქალბატონო.

— გამარჯობა, პატარა ბიჭო, — თითქოს, ეძინა და უცებ გააღვიძეს, ან, ფიქრებში წასულს, მყუდროება დაურღვიეს.

— ვინ ბრძანდებით? ადამი, ევა და გველი თქვენ ხართ? მე დობი მქვია.

— არა, დობი! — გაეცინა, — მე ერა ვარ.

— ვახ! ანუ ჯერ ისევ პატარა ვარ! — გაიფიქრა დობიმ.

— მე ხმა ვარ, მე მუსიკა ვარ, ჩემო ბიჭო!

— ვინ ხარ? ხმა მესმის, მუსიკაც მესმის და, როგორ შეიძლება, ვხედავდე?! რაღაცას მატყუებთ!

— მე სამყაროს ხმა ვარ, მუსიკა ვარ, ყველაფერი ვარ, რაც შეიძლება, გაიგო, მოისმინო!.. შენ, შეიძლება, ძალიან პატარა ხარ ამისთვის, მაგრამ მაინც ეცადე, გამიგო: იფიქრე ჩემზე, იფიქრე იმ ხმებზე, რომელიც გესმის და ეცადე, არ დაკარგო ისინი! ეცადე, ყოველთვის მხედავდე და გესმოდე! ეცადე, არ დაემსგავსო დიდ ადამიანებს! ადამი, ევა და გველი მოვლენ. ნუ აჩქარებ დროს. ისინი მოვლენ და შენთან დარჩენას შეეცდებიან. მაგრამ, გახსოვდეს, სამყაროში მარტო დიდი ადამიანები არ არიან! იქ ჩვენც ვართ — იქ მეც ვარ, გამაც, იქ არის კეთილი რა!

— ვერაფერი გავიგე. თქვენც იმავეს მეუბნებით?! რატომ ვერ უნდა დაგინახოთ? ხმები კიდევ ყველას ესმის, დიდ ადამიანებსაც ესმით, და მე ხომ არ დავყრუვდები?!

— არა, ჩემო პატარა ბიჭო, არ დაყრუვდები. მაგრამ, შეიძლება, ვეღარ გაიგო ის ხმები, რომლებიც ახლა გესმის. მე შენ დიდი ადამიანივით გელაპარაკები, რადგან მინდა, რომ ბევრი იფიქრო ამაზე და არასდროს დაგავიწყდეს, რასაც გეუბნები — მინდა, დიდხანს იყო ბავშვი! ცხოვრება რთული გზაა, სულ ეკალ-ბარდებით დაფარული, არ გაძლევს საშუალებას, დამინახო და მომისმინო. იმდენ გამაყრუებელ ბგერას მოგასმენინებს, ისეთ ხმებს ჩაგძახებს, ისეთ ინსტრუმენტებზე დაგაკვრევინებს, ისეთ კონცერტებზე გატარებს, თან სულ გადავსებულ დარბაზებში, სულს აგიფორიაქებს, ყელში დიდ ბურთს მოგაბჯენს და გეტყვის: ლამაზია ცხოვრება, ეს არის მისი ხმა და დატკბი, იცხოვრე და გაივსე ემოციებისგანო! გეტყვის, გიყვარდეს და გჯეროდესო! ეს ყველაფერი იქნება ლამაზი, მაგრამ იქ არ ვიქნები მე, იქ არ იქნება ეს ჟღერადობა. დიდ ადამიანებს არ ესმით ის, რაც ახლა შენ გესმის. ეცადე, არ დაივიწყო ეს ხმები!

— მაინც ვერ გავიგე, რატომ აღარ ესმით ხოლმე? და ეკალ-ბარდები რა არის? სულს აგიფორიაქებს რას ნიშნავს? რა არის სული?

— მთავარია, შენ ყველაფერი დაიმახსოვრო, რასაც გეუბნები, და ნელ-ნელა ყველაფრის მნიშვნელობას მიხვდები. იმიტომ აღარ ესმით, რომ არ სცალიათ. თან მათთან ადამი, ევა და გველი მიდიან, სრულიად შიშვლები, ხელში ვაშლი უჭირავთ და ცდილობენ, მისი გემო გაასინჯონ. ადამიანებიც ვერ ამბობენ ვნებაზე უარს და სუსტდებიან. რომ ჰგონიათ, ვმსუბუქდებით და აფრენა შეგვიძლიაო, ზუსტად მაშინ უფრო და უფრო მყარად დგებიან მიწაზე; კარგავენ ხედვის და სმენის ფართო არეალს. ეკარგებათ გამა. მათთვის იკვეთება უცხო სხეულები და ვიკარგები მეც. მათთვის ისეთივე უსულო ვხდები, როგორც უდირიჟორო ორკესტრი.

— ისევ ეს ვნება, რა არის, ნეტავ?! ან დირიჟორი რა არის?! ორკესტრი კი გამიგია...

— ყველაფერს მიხვდები, ჩემო ბიჭო! არ დამივიწყო! ადამიანები იზრდებიან და მათთვის ვიცვლები ხოლმე მეც, უფრო სწორად, ისინი მცვლიან მე. როგორც ახლა გესმის, როგორსაც ახლა მხედავ, ეცადე, ისეთივე დამინახო და გამიგო. ნუ ჩამაცმევ მუქი ფერის სამოსს, ნუ დაუკარგავ ჩემს სხეულს ფორმას! ეცადე, დამინახო ყოველთვის ასეთი — ნუ დააჭკნობ ჩემში რას!

— ვეცდები, ვეცდები! მაგრამ, მითხარი, რა არის რა?

— რა სულია, ჩემო ბიჭო!

— სული რაღაა? სულ იმეორებ, სული, სულიო. და ვინ არის სული?

— სული ყველას აქვს და ის ყველაფერშია. სული არ ჩანს. ის შენშიც არის, ჩემშიც, გამაშიც. ის ხეებშიც არის, ფოთლებშიც, ყვავილებშიც, პეპლებშიც, ფუტკრებშიც. ის ზღვაშიცაა... სული არის ყველა ნოტში, ყველა ბგერაში, ყველა ინსტრუმენტსა და, შესაბამისად, ყველა კომპოზიციაში. გაგებაა ძნელი იმ ყველაფრის, რაზეც შენ კითხვები გიჩნდება. არ ვიცი, როგორ აგიხსნა ისე, რომ ზუსტად გაიგო, რისი თქმა მინდა. მე ჯერ არასდროს მილაპარაკია შენნაირ პატარა ბიჭთან. ახლა გელაპარაკები, როგორც მოზრდილ, გამოცდილ ადამიანს. შეიძლება, ბევრი რაღაც გაუგებარი იყოს, მაგრამ, კიდევ ერთხელ გთხოვ, დამიმახსოვრო, ბევრი წლის შემდეგ გაიხსენო ეს შეხვედრა და დაფიქრდე... სული არის ხასიათი, ის არის გრძნობა, სული განაპირობებს ქმედებას, აზრს. სულს ჰქვია ადამიანი და არა სხეულს. რასაც ჩვენ ვხედავთ ერთმანეთის დანახვისას, იქნება ეს ტანი, ხელები, ფეხები, თავი თუ სახე, ეს ყველაფერი სულის ნავსაყუდელია, ანუ სულის სახლია. როგორც ადამიანები ცხოვრობენ სახლებში, ისევე ცხოვრობს სული სხეულში. ნოტები ცხოვრობენ ინსტრუმენტებში და მათი გაცოცხლება მათი ახმიანებაა. სულიც ასევეა, ის სხეულში ცხოვრობს და ჩვენი ქმედებებით, ჩვენი საქციელით ვაჟღერებთ მათ. ადამი, ევა და გველი, რომელთაც ასე ელოდები და ასე გაინტერესებს, ცდილობენ, სიმები — აი, ინსტრუმენტებს რომ გაჭიმული ძაფები აქვს — ის სიმები მოუშვან, აღარ იყოს ისე დაჭიმული, რათა ხმა გახდეს არასასიამოვნო. სული ზრდასთან ერთად იცვლება, შენ კი ეცადე, დიდხანს დარჩეს ის ისეთი, როგორიც ახლა გაქვს!

დობი ჩაფიქრებული სახით უსმენდა და ცდილობდა, რამე გაეგო. „ნუთუ დიდ ადამიანებს, ეს ყველაფერი ესმით?! მგონი, ძნელია დიდობა... მაინც ვერ გავიგე, რა არის სული? ან რა არის კომპოზიცია? ქმედება?“ აღარ უნდოდა ზედმეტი კითხვების დასმა, მაინც გაუგებრად ლაპარაკობდა ერა, მუსიკა ვარო, ეუბნებოდა. როგორ შეიძლება, მუსიკას ვხედავდეთ, მუსიკა ხომ გვესმის?! გავა დრო და ვეღარ დამინახავო. გამაც იმავეს ეუბნებოდა. რატომ ვეღარ უნდა დაენახა და ვეღარ გაეგო, თუკი არც დაბრმავდებოდა და არც დაყრუვდებოდა?! კითხვები მოდიო-

→

მარიამ ჯანელიძე

გამა, ერა და რა

დასასრული

და და მოდიოდა, პასუხის გაცემა კი ძალიან უჭირდა. ვინც პასუხობდა, ისე გაურკვევლად ელაპარაკებოდა, აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც იკითხა: — სულს ვერ ვხედავთ?

— ვერა, ჩემო ბიჭო, სული უსხეულოა. ის თავად არის ყველა სხეულში.

— თუ მაინც ვერ ვხედავთ, როგორ შეიძლება, შეიცვალოს? ისეთი დარჩესო, როგორიც ახლა არისო, და, რა ვიცი, როგორია ახლა? როგორ უნდა გახდეს სხვანაირი, თუ არ ჩანს? მგონი, ეს სული თქვენ მოიგონეთ და, გინდათ, მომატყუოთ.

— არა, დობი! უბრალოდ, ძალიან რთულ შეკითხვებს მისვამ და მიჭირს პასუხის გაცემა. შეევეცდები, აგიხსნა და, რასაც გეტყვი, კიდევ ერთხელ გთხოვ, არ დაივიწყო! დიდი ადამიანი რომ გახდები, მერე მიხვდები ყველაფერს, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ. ადამიანები იბადებიან ჩვილები და ნელ-ნელა იზრდებიან. უკვე დიდებს უჩნდებათ ნაოჭები და ბერდებიან. ასევეა სულიც — თავიდან ის პატარა ბავშვივით მიამიტურად სუფთაა, მაგრამ ადამიანების გადადგმული ნაბიჯები მასაც უჩენს ნაოჭებს. ისიც ისევე მახინჯდება, როგორც ჩაღრმავებული ხაზები სახის ნაკვთებზე. თუ თქვენ ჯანმრთელი ცხოვრების წესით იცხოვრებთ და სხეულს გაუფრთხილდებით, გვიან დაბერდებით! იცოდე, სულიც გვიან დაჭკნება, თუკი ადამიანები მასზე იზრუნებენ!

ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო დობიმ — ალბათ, მართლა პატარა იყო და, რომ გაიზრდებოდა, გაიგებდა. დიდმა ადამიანებმა ხომ ყველაფერი იციან, რაც უნდა იკითხო. ისიც გახდება დიდი და ისიც ყველაფერს მიხვდება. ისე წამოვიდა, ერას არც კი დამშვიდობებია, დაავიწყდა ფიქრებში წასულს... თავდახრილი გაუყვა პატარა ბიჭი ბილიკს ქოხებისკენ. გზაში კი უაზროდ ითვლიდა ნაბიჯებს ოცამდე და მერე ისევ თავიდან იწყებდა: ერთი, ორი, სამი...

დასასრული

დის სიღრმეში შეჩურთა და მაშინვე მიივიწყა.

— გინდათ, გაჩუქებთ? — შესთავაზა მოხუცს.

— არა, მე შოკოლადი მირჩევნია, ან ნამცხვარი, — მოიწყინა მოხუცმა.

„რა ვქნა?“ — მერამდენედ გაიფიქრა ელისაბედ-ლიმ, მაგიდას მიუჯდა, ფუნჯი მექანიკურად ამოაწო საღებავში და მექანიკურადვე გაუსვა კერამიკის ჩაიდანს. ხელმა წლების განმავლობაში შეთვისებული მოძრაობა გაიმეორა.

— ეს რა ფოთლებია? — მოესმა ამ დროს მოხუცის ხმა. ელისაბედ-ლიმ ჩაიდანს შეხედა და ახლა აღმოაჩინა, რომ უსახური ანგელოზის ფრთები დაეხატა.

— ფოთლები არაა, ანგელოზის ფრთებია. ასეთებს ვხატავდი, — იმართლა თავი.

— რა სისულელეა მარტო ფრთების ხატვა, — ცხვირი აიბზუა მოხუცმა, — ბარემ ანგელოზიც დაგეხატა.

— არა მგონია, გამომივიდეს, — ელისაბედ-ლიმ სამზარეულოდან კერამიკის თეფში გამოიტანა, მერე უცებ მოხუცს შეხედა, დააკვირდა, ჩაიღიმა და ხატვა დაიწყო.

— ამას არა უშავს, ჩემნაირი კაბა მაინც აცვია, თუმცა ძალიან მსუქანია... მაგრამ კარგია, — თქვა მოხუცმა, როცა ელისაბედ-ლი ხატვას მორჩა, — რომ იცოდე, შეგიძლია, გაყიდო კიდეც. მეც ვიყიდდი, უბრალოდ, ფული არ მაქვს.

— მართლა იყიდდი? — გაუხარდა ელისაბედ-ლის და ბევრი აღარ უფიქრია. ანგელოზიანი თეფში ფრთხილად ჩადო ქაღალდის პარკში, საწვიმარი მოიცვა, ბერეტი ჩამოიფხატა, ფეხები ბოტებში ჩაჰყო და კიბეზე დაეშვა.

— შოკოლადს მომიტან? — აივნიდან გადასძახა მოხუცმა.

— აუცილებლად, ანგელინა! — ხელი დაუქნია ელისაბედ-ლიმ და ქუჩას დაუყვა.

რა თქმა უნდა, პირველსავე წამს მისი თეფში არ გაყიდულა, არც მეორე წამს და, საერთოდ, არც ერთ და ორ საათში, მაგრამ დღის ბოლოს, ვიღაც წითელშარფიანმა ქალმა თეფში იყიდა და თან დააყოლა, ასეთი სასაცილო მოხუცი ანგელოზებით მოხატული სერვიზი რომ მქონდეს, უარს არ ვიტყოდიო.

— თუ გნებავთ, მოგიხატავთ, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ელისაბედ-ლიმ.

— ჰოდა, ძალიან კარგი, — გაუხარდა წითელშარფიან ქალს, — მისამართი მითხარით და ჩემს ჩაის სერვიზს მოგიტანთ მოსახატად.

მალე ჩაის სერვიზს წითელშარფიანის მეზობლისთვის მოსახატი ჩაიდანი მოჰყვა, ჩაიდანს — მეზობლის ბიძაშვილის სარძევე, სარძევეს — ბიძაშვილის თანამშრომლის ფინჯანი და თანდათან ელისაბედ-ლის შეკვეთები მოუმრავლდა.

— მგონი, საქმე კარგად მიდის, არა? — ჰკითხა ერთ დღეს მოხუცმა, როცა ელისაბედ-ლიმ ბინის მეპატრონეს ქირა ჩაუთვალა, დარჩენილი თანხაც გადათვალა და შვებით ამოისუნთქა.

— კი, ძალიან, — კიდევ ერთხელ ამოისუნთქა შვებით ელისაბედ-ლიმ, — წავალ, საღებავებს ვიყიდი, სულ აღარ მაქვს.

— მარტო საღებავებს? ტკბილეულსაც! და შეგიძლია, პალტოც კი იყიდო, — თვალი ჩაუკრა მოხუცმა, — ეს საწვიმარი აღარ გამოგადგება.

— იცი რა, — ელისაბედ-ლი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და სახე თითებში ყვავილივით ჩარგო, — გინდა, ერთად წავიდეთ? შენც გიყიდი რამეს, მაგალითად, თბილ კაბას, ან ქუდს, ან თავშალს, არ გინდა?

— აჰ, — თავი და ხელები ერთად გააქნია მოხუცმა, — ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელსაც შეყვარებული არ ჰყავს, ქუჩაში მარტომ უნდა იაროს. რა იცი, რა ხდება?

— რა მეშველებოდა, შენ რომ არ გამოჩენილიყავი ჩემს ცხოვრებაში, — გაეცინა ელისაბედ-ლის, მოხუცთან მივიდა და ლოყაზე აკოცა.

— ოჰ, კაი ერთი, — მოხუცი სარწეველა სავარძელში ჩაჯდა და გადაქან-გადმოქანდა, — იმედია, დღეს ბევრი ტკბილეული მექნება.

ლელა ცუცქირიძე

ამბავი, როგორც ნამდვილი



— რა თქმა უნდა, — გაუცინა ელისაბედ-ლიმ და კარი გაიხურა.

ზამთარი სქელტანიანი, უინტერესო წიგნივით გადაშლილიყო ქუჩაზე და ცხენის წაბლის ხები სანიშნეებივით გამოჩროდა. ელისაბედ-ლი ვიტრინებს ათვალიერებდა და მაღაზიიდან მაღაზიაში გადადიოდა. ჯერ ჩაის ვარდებიანი ქიშმირის თავშალი იყიდა ანგელინასთვის, მერე ტკბილეული ორივესთვის, მერე ფუნჯები და საღებავები თავისთვის და ის იყო, სახლისკენ უნდა გაბრუნებულიყო, რომ საოცნებო ყვითელმა ზურგჩანთამ მოულოდნელად ანთებული ფარანივით გამოუნათა ერთ-ერთი ვიტრინიდან.

„ესეც რომ ვიყიდო, რა მოხდება?“ — ვიტრინასთან ძალაუნებურად გაშეშდა ელისაბედ-ლი.

— რამე გნებავთ? — საათის გუგულივით გამოხტა ამ დროს ახალგაზრდა მამაკაცი მაღაზიიდან და ელისაბედ-ლის გაუღიმა.

— მე?.. — ცოტა არ იყოს, დაიბნა ელისაბედ-ლი, — ზურგჩანთას ვუყურებდი და...

— არაჩვეულებრივი ზურგჩანთაა! ხელნაკეთი! იცით, ფასდაკლებაა და შემიძლია, ნახევარ ფასადაც კი მოგცეთ. იყიდეთ, არ ინანებთ, ძალიან მოგიხდებათ... მობრძანდით, ახლოდან ნახეთ...

ახალგაზრდა მამაკაცმა ელისაბედ-ლი მაღაზიაში შეიყვანა, სავარძელზე დასვა, მერე ზურგჩანთა ფრთხილად ჩამოხსნა ვიტრინიდან, წინ დაუდო, თავად კი ერთ წამში ფარდის უკან გაქრა და იმავე წამს ჩაის ჭიქებით გამოჩნდა.

ელისაბედ-ლიმ ვერ გაიგო, ახალგაზრდა მამაკაცი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ზურგჩანთის გაყიდვა უნდოდა, თუ იმიტომ, რომ ელისაბედ-ლი მოეწონა.

„ალბათ ორივე,“ — გაიფიქრა და კიდევ უფრო დარწმუნდა, როცა ახალგაზრდა მამაკაცმა გაცილება შესთავაზა.

ელისაბედ-ლის უარი არ უთქვამს. ცხოვრებაში პირველად აცილებდა მამაკაცი!

ასე, კაკაოსფერი ქაღალდის პარკებით, პარკებში — ტკბილეულით, საღებავებით, ფუნჯებით, ჩაის ვარდებიანი ქიშმირის თავშლითა და ყვითელი ზურგჩანთით ისე გაიარეს ცენტრალური ქუჩა, ვერც გაიგეს;

აიარეს ტურისტულ რუკაზე მოუნიშნავი ქუჩა და ვერ გაიგეს;

გადაჭრეს აკაციების ძირში არხეინად წამოწოლილი ეზო და ვერ გაიგეს;

აიარეს ბულვარული რომანის ფურცლებივით გაცვეთილი კიბე და ვერ გაიგეს;

და ვერც სახლში შესვლას გაიგებდნენ, რომ არა ოთახის სიღრმიდან ბადმინტონის ვოლანივით გამოვარდნილი ხმა:

— წამოდი-მეთქი, გეუბნები!

— რა ხდება? — ახალგაზრდა მამაკაცს ისე გადახედა ელისაბედ-ლიმ, თითქოს ის მასთან ერთად კი არ მოვიდა, ოთახიდან გამოვარდნილ ვოლანს გამოჰყვა.

— რა ხდება? — გაიმეორა უკვე ოთახში და გაოცებისგან ამჯობინა, გაჩუმებულიყო. ოთახში ერთის ნაცვლად ორი მოხუცი იდგა — დედაზარივით და ზანზალაკივით. ერთი მაღალი, მსუქანი და გვარიანად მოსული, მეორე — დაბალი გამხდარი და გვარიანად მოუსვლელი. მხოლოდ თმა ჰქონდათ ერთნაირი: სიგარეტის გაფანტული კვამლივით ასდიოდათ თავზე.

— ანგელინა, ეს ვინ არის? — რა თქმა უნდა, მსუქან მოხუცს ჰკითხა ელისაბედ-ლიმ.

— ეს ჩემი უფროსი დაა, სერაფიმა, — ჩიბურტყუნა ანგელინამ.

— უფროსი და? — ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ელისაბედ-ლის, მაგრამ ეცადა, არ შემჩნეოდა, — იცით, ახლავე წყალს ავადუღებ ჩაისთვის. ისეთი ტკბილეული მოვიტანე, შოკოლადიც, ნამცხვარიც, დაშაქრული თხილიც, რომ...

— ვის მოუტანე? — უხეშად შეაწყვეტინა სერაფიმამ, — ამ ქალბატონს? ბევრი ტკბილეულის ჭამა რომ არ შეიძლება, არ იცით? მით უმეტეს, ამის ასაკში.

— თორემ შენ მყავხარ ახალგაზრდა, — აშკარად იწყინა ანგელინამ.

— მე ტკბილეულს არ ვჭამ, — წარბი აუწია უფროსმა დამ და ქვევიდან ახედა.

— მაინც ვერ გავიგე, როგორ მომაგენი, — ამოიოხრა ანგელინამ.

— როგორ, — უკმეხად მიუგდო სერაფიმამ, — ყველგან შენ ბრძანდები გამოჭიმული: ფინჯნებზე, ლამბაქებზე, სარძევეებზე... ვითომ ის მყავხარ, რა ჰქვია იმას... სოფი ლორენი!

— მე ანა მანიანი მირჩევნია, — ლამის გაიბუტა ანგელინა.

— სოფი ლორენი-მეთქი! — ფეხი დაუბაკუნა სერაფიმამ, — მაგაზეც მადლობა მითხარი. წამოდი ახლა, დროზე!

— კი მაგრამ... — შეწუხდა ელისაბედ-ლი და უკან მდგარ ახალგაზრდა მამაკაცს ისე გადახედა, თითქოს მოუბოდიშა ამ უცნაური სიტუაციის გამო, — თუ არ უნდა, რატომ უნდა წამოვიდეს? თქვენ ხომ გამოაგდეთ და...

— რაო? გამოვაგდე? მე გამოვაგდე?! ეს უსაქმური თავად წამოვიდა! ასე იცის ხოლმე, დაადებს თავს, გაიპარება და მე ვეძებ და ვეძებ. ისე კი, ნამდვილად უნდა გამომეგდო, ისეთი ზარმაცია, მაგრამ არ მინდა, მერე ჩემზე იჭორაონ, გააგდოო, რაც უნდა იყოს, უმცროსი დაა... — დაქოქილი სათამაშო თაგვივით ვეღარ გაჩერდა უფროსი და.

— მართლა? — ელისაბედ-ლიმ ანგელინას შეხედა. მოხუცი ჭერს ისე უყურებდა, თითქოს არაფერი ესმოდა.

— წამოდი, გეყოფა, — სერაფიმამ ჯერ ლურჯი კაბის კალთა ჩამოუქაჩა ანგელინას, მერე ფეხის წვერებზე აიწია, მკლავი მოუჩქმიტა.

— კარგი, ჰო, მოვდივარ ისედაც. აქ ყველაფერი კარგადაა. მაგრამ იქნებ... იქნებ ტკბილეული მაინც... — აწუწუნდა ანგელინა, მერე ელისაბედ-ლის გაუღიმა და თვალი მხიარულად ჩაუკრა.

ელისაბედ-ლის მხოლოდ მათი გასვლისას გაახსენდა ჩაისვარდებიანი ქიშმირის თავშალი და აივანზე გავარდა:

— ანგელინაა! ანგელინაა! — ყვიროდა და თავშალს იქნევდა, თუმცა არც ეზოში და არც ქუჩაზე ჩამი-ჩუმი არ ისმოდა და არც მოხუცები ჩანდნენ. თითქოს არც არავინ გასულა სახლიდან.

* * *

სწორედ იმ წუთას, როცა ახალგაზრდა მამაკაცმა ელისაბედ-ლი აივნიდან შემოიყვანა, ოთახის ლიმონის სიმწვანე გასკდა და ყვითელი ნაყოფი კვერცხუჯრედივით გამოიტყორცნა გარეთ.

ნუკრი ფირცხალავას ნახატები

„ლიტერატურული გაზეთის“ გამოწერის მსურველები
დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com